ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

23 ოქტომბერი **სამშაბათი** 2012 №251 (13 857) ფასი 80 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

↳15

GAME OVER

არმსტრონგი: ოფიციალურად უტიტულო

რიბერი სახლში ბრუნდება

ბაიერნისგან რეაბილიტაციას ელიან
გატეხავს ბატე ნავსს?

↳5

UEFA CHAMPIONS LEAGUE

წილისყრის თარიღი გადაიდო

ჩემპიონთა ლიგისა და ევროპის ლიგის პლეი ოფის წილისყრა 14-დან 20 დეკემბერს გადაიტანეს, - წერს უეფას ოფიციალური ვებგვერდი. ცერემონია, ტრადიციულად, შვეიცარიის ნიონში გაიმართება. ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალისა და ევროპის ლიგის 1/16-ფინალის წყვილების გამოვლენა თბილისის დროით, შესაბამისად, 13:30 და 16:00-ზე დაიწყება.

ეგვიპტელებთან ამხანაგური დადასტურდა

გუშინ, ოფიციალურად დადასტურდა, რომ 14 ნოემბერს, საქართველოს ეროვნული ნაკრები საკუთარ მოედანზე საერთაშორისო ამხანაგურ შეხვედრას გამართავს ეგვიპტის ეროვნულ გუნდთან.

„ჯვაროსნები" ეგვიპტელებს პირველად ხვდებიან. ფიფას რეიტინგში, საქართველოს ნაკრები 65-ე ადგილზეა. აფრიკის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი კი, მსოფლიო კლასიფიკაციაში მე-40 პოზიციას იკავებს. საქართველოს ნაკრების მომავალი მეტოქე მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე აფრიკის ზონის G ჯგუფში ასპარეზობს. ეგვიპტელ ფეხბურთელებს ზედიზედ ორი მოგება აქვთ და თავიანთ ჯგუფს ლიდერობენ. „ფარაონებმა" მოზამბიკი 2:0 დაამარცხეს; გვინეას კი 3:2 სძლიეს. ეგვიპტის ნაკრებს, 2011 წლიდან ამერიკის შეერთებული შტატების საფეხბურთო ნაკრების ყოფილი მთავარი მწვრთნელი - **ბობ ბრედლი** ავარჯიშებს.

კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ საქართველოსა და ეგვიპტის ეროვნულ ნაკრებთა შეხვედრა 14 ნოემბერს, თბილისში, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე გაიმართება. მატჩის დაწყების დრო ჯერ არ გარკვეულა და შეთანხმების მიღწევისთანავე, სფფ გულშემატკივრებს ოპერატიულად გაცნობებთ.

სფფ-ის პრესსამსახური

ვიქტორი MVP... ლიტვიდან ირანში... ელისი წავიდა...

საკალათბურთო ამბები ↳12

სეზონის შეჯამება იწყება

სტამბოლში წლის რვა საუკეთესო ჩოგბურთელი შეიკრიბა

TEB BNP PARIBAS WTA CHAMPIONSHIPS ISTANBUL

დღეს სამი მატჩია
ა. რადვანსკა-კვიტოვა
ს. უილიამსი-კერბერი
შარაპოვა-ერანი

↳14

სიტუაცია

მილეთი ჟორდანიას მოლოდინში

მერაბ ჭორდანია თბილისში ჩამოდის, შესაძლოა, უკვე აქ იყოს კიდეც. მისი ჩამოსვლა ვერ იქნება ოდენ კერძო ვიზიტი - ჟორდანიას მეგობრები "დინამოს" დაბრუნებისთვის აპირებენ ბრძოლას.

დრომ ბევრი რამე შეცვალა. ჟორდანიაც არ არის ის ფიგურა, რაც რამდენიმე წლის წინათ იყო, ის უკვე საერთაშორისო სარბიელზეა გასული.

ჟორდანია საფეხბურთო წიაღიდანაა გამოსული, ხელოვნურად არ მომხდარა მისი გამოჩენა არც "დინამოს" ხელმძღვანელობაში და არც ფეხბურთის ფედერაციის სათავეში. მისთვის არც ერთი აქაური თანამდებობა არ მიურთმევიათ ლანგარზე დადებულივით.

ჟორდანია ბევრისთვის მიუღებელი ფიგურაა, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ არნემის "ვიტესის" პრეზიდენტია და კლუბს მის ხელში წარმატებები აქვს.

ჟორდანიას ყოველთვის ეხერხებოდა ადამიანებთან ურთიერთობა, ჟურნალისტებთან და ოფიციალურ საუბრებში ყოველთვის მოზომილი, განონასწორებული იყო. მე არ მახსოვს მისი კონფლიქტური გამოსვლები თუ განცხადებები.

ჟორდანიას საქართველოდან წასვლამ მოუწია და კარგა ხანს არ ჩანდა საფეხბურთო ასპარეზზე. გარკვეული პაუზის შემდეგ კი ჰოლანდიის პერიფერიულ კლუბ "ვიტესში" გამოჩნდა. იქაური მედია ცნობისმოყვარეობით იყო შეპყრობილი, ჟორდანიას ბევრ კითხვაზე უწევდა პასუხის გაცემა. გაქვთ ფული? რა აქტივების მფლობელი ბრძანდებით? - მეტწილად ამას ეკითხებოდნენ "ვიტესის" ქართველ მფლობელსა და პრეზიდენტს.

ჰოლანდია ევროპაა და რეპუტაცია იქ დიახაც ფასეულობაა, რასაც მხოლოდ ფულით ვერ მოინაგრებ. ჟორდანიამ მოახერხა ჰოლანდიურ საზოგადოებაში გაჯერება, ამას კი შეძლება უნდა.

ჟორდანიას ხელში "ვიტესმა" ათწლიანი პაუზის შემდეგ პირველად ითამაშა ევროსარბიელზე. "ვიტესი" ერედივიზიონის მიმდინარე გათამაშებაში მესამე ადგილზეა, უკან ჰყავს მოტოვებული "აიაქსი" და "ფეიენოორდი". არნემულ კლუბში სამი ქართველია და იქ კიდევ ორ ნიჭიერ ჩვენებურს ელოდებიან – **ლუკა ზარანდიას** და **ცოტნე მესხს**. "ვიტესი" თავისებური არხი გახდა ქართველი ფეხბურთელებისთვის, რუსეთის და უკრაინის ალტერნატივა, უკეთესი პერსპექტივა, რადგან თუ ჰოლანდიაში თავს გამოიჩენს, ტოპ-ევროპული ლიგები ლამის ხელის განძდენაზეა.

ჟორდანიას ახლო და პარტნიორული ურთიერთობა აქვს **რომან აბრამოვიჩთან,** რაც პატარა საქმე არ უნდა იყოს. ჟორდანია "გაზპრომთანაც" კი აწარმოებდა მოლაპარაკებას "ვიტესის" სპონსორობაზე და ვნახოთ, რა გამოვა ამ ყველაფრიდან.

ჟორდანია ახლოს იცნობს **მიშელ პლატინის** და ფრანგი უეფას პრეზიდენტობისთვის რომ იყრიდა კენჭს, ჟორდანიას მხარდაჭერის იმედიც ჰქონდა.

ჟორდანიას დღეს მეტი გამოცდილება და მეტი საერთაშორისო კონტაქტები აქვს. ის კარგად არის შეიარაღებული, მის არსენალში უკვე არაერთი ეფექტური მექანიზმია.

ჟორდანიას ბევრი რამ ექნება მოსაყოლი ქართულ ამბებზეც, განსაკუთრებით "დინამოზე". ის ალბათ მზად იქნება ნებისმიერი კითხვებისთვის. მისი საქართველოში ჩამოსვლა თითქოს მომწიფდა. საქართველო სულ სხვა სპეციფიკაა, აქ განსაკუთრებული ალღოა საჭირო და ვნახოთ, ამჯერად როგორ გაართმევს საქმეს თავს ჟორდანია.

ის არ ჰგავს არც **ზვიად სიჭინავას**, არც უმცროს **ნოდარ ახალკაცს**, არც **რომან ფიფიას** და არც არავის – ამასაც შეძლება უნდა.

და წარსული? აბა რა გითხრათ, ალბათ არც ეს იქნება უხერხული თემა ჟორდანიასთვის...

დავით თავართქილაძე

ლეგიონერები

ქართული გოლები სკანდინავიასა და ბალტიისპირეთში

ფინეთის ჩემპიონატის დასრულებამდე ერთი ტურიღა დარჩენილი და **ირაკლი სირბილაძის** "ინტერ ტურკუმ" ტიტულის მოპოვების შანსი შეიმცირა. გუშინ "ინტერი" საკუთარ მოედანზე ტპს-სთან 0:0-ს დასჯერდა და ლიდერ ჰიკ-ს 3 ქულით ჩამორჩა. სირბილაძემ ამ მატჩში შეუცვლელად ითამაშა.

რუსეთის პრემიერლიგაში ბოლოადგილოსანი "ვოლგა" "კრილია სოვეტოვს" ეწვია და 1:0 სძლია. "ვოლგას" შემადგენლობაში **გია გრიგალავამ** სრულად ითამაშა და პირველ ტაიმში ყვითელი ბარათი მიიღო.

დანიაში "ორჰუსმა" "რანდერსს" უმასპინძლა და 1:1-ს დასჯერდა. შეხვედრის 52-ე წუთზე "ორჰუსის" შემადგენლობიდან ანგარიში **დავით სხირტლაძემ** გაათანაბრა. **მათე ვაწაძე** თამაშში 63-ე წუთიდან ჩაერთო, **დავით დევდარიანი** კი სათადარიგო იყო.

თურქეთში "ქაისერისფორი" შინ 0:1 დამარცხდა "ბუიუქშეჰირთან". **ზურაბ ხიზანიშვილი** "ქაისერის" განაცხადში არ გამოჩენილა.

ლატვიაში "დაუგავამ" სტუმრად ლიეპაიას "მეტალურგსს" 3:1 სძლია. ერთი ბურთია **მამუკა ღონღაძის** ანგარიშზე. 56-ე წუთზე მან ანგარიში 0:2 გახადა.

ესტონეთში დუბლი შეასრულა **ზაქარია ბეგლარიშვილმა**, რომლის "ფლორამაც" სტუმრად "პაიდე" 6:0 გაანადგურა. ახალგაზრდა ქართველმა ნახევარმცველმა 45-ე და მე-60 წუთზე მესამე და მეოთხე გოლები გაიტანა.

ლევან ჯანეზაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს 19

განაცხადი ცნობილია

კახა კაჭარავა

ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურის ცნობით, საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **კახა კაჭარავამ** ხორვატიაში გასამართი ელიტრაუნდის შესარჩევი ეტაპის მატჩებზე წამსვლელი 18 ფეხბურთელის ვინაობა დაასახელა.

მეკარეები: **გაბრიელ თებიძე ("ჩიხურა"), ბაჩო მიქავა ("ლოკომოტივი" თბილისი);**

მცველები: **ოთარ კაკაბაძე ("დინამო," თბილისი), ნიკა სანდოხაძე ("ტორპედო"), ნიკა ჭანტურია ("ლოკომოტივი", თბილისი), ლაშა დვალი ("იბერია", თბილისი), ლევან გეგეჭკორი ("მერანი", მარტვილი);**

ნახევარმცველები: **ავთო ენდელაძე ("ზუგდიდი"), გიორგი აბურჯანია ("დილა"), გურამ სამუშია ("ზესტაფონი"), დავით უბილავა ("ვიტ ჯორჯია"), თემურ მარკოზაშვილი ("ტორპედო"), საბა ლობჟანიძე ("დინამო," თბილისი), ლუკა ჰუფნაგელი ("უნტერჰაჰინგი", გერმანია)**

თავდამსხმელები: **ნიკა კაჭარავა ("ვანდიში", შვეიცარია), გიორგი ფანცულაია ("ტორპედო"), ვაჟა მათიაშვილი ("დინამო", თბილისი), ბაჩანა არაბული ("საბურთალო").**

19-წლამდელები ხორვატიაში დღეს 23 ოქტომბერს, გამთენიისას გაემგზავრნენ. ჩვენი გუნდი მე-11 ჯგუფში ხორვატიის, აზერბაიჯანისა და ისლანდიის ნაკრებებს დაუპირისპირდება.

მატჩების განრიგი

26 ოქტომბერი

საქართველო - ხორვატია 17:30 *(თბილისის დროით)*

აზერბაიჯანი - ისლანდია.

28 ოქტომბერი

საქართველო — აზერბაიჯანი 17:30

ხორვატია - ისლანდია

31 ოქტომბერი

ისლანდია - საქართველო 17:30

აზერბაიჯანი — ხორვატია

შეგახსენებთ, რომ საკვალიფიკაციო ეტაპიდან ჯგუფურ ეტაპზე ორი საუკეთესო გადის

მერაბ მამულაშვილი

ლეგიონერი

ლევან ყენია:

მიხარია, რომ არ დამივიწყეს

უკრაინის პრემიერლიგის ერთ-ერთმა აუტსაიდერმა, ლვოვის „კარპატმა" მე-12 ტურში მიზანს ვერ მიაღწია და უშუალო კონკურენტ უგგოროდის „გოვერლასთან" შინ ფრედ, 1:1-ს დასჯერდა.

მატჩი სრულად ჩაატარა და ყვითელი ბარათი დაიმსახურა **ბუბა დაუშვილმა**, ხოლო **ლევან ყენიასთვის** ეს შეხვედრა გამორჩეული იყო: საქართველოს ნაკრების შემტევმა ნახევარმცველმა „კარპატის" ძირითად შემადგენლობაში პირველად ითამაშა და უკრაინული მედიის შეფასებით, მოედანზე ყველაზე ეფექტური იყო რამდენიმე კარგი გადაცემა გააკეთა და 55-ე წუთზე გოლის გატანაც შეეძლო, მაგრამ საჯარიმოს მისადგომებიდან ბურთი ძელს მოარტყა.

ყენიამ მოედანი 82-ე წუთზე იძულებით, კოჭლობით დატოვა, რადგან დაშავდა, მაგრამ საშიში არაფერია და ვარჯიშს გუნდთან ერთად განაახლებს.

„კარპატი" კი აუტსაიდერთა ზონაშია და მე-14 ადგილზე იმყოფება. ლვოველებმა 12 ტურში მხოლოდ 10 ქულა დააგროვეს და "გოვერლას" სულ რაღაც ორი ქულით უსწრებენ, ბოლოადგილოსან ზაპოროჟიეს "მეტალურგს" კი - 8 ქულით.

"ნიკოლაი კოსტოვმა შემადგენლობით ძალიან გაგვაკვირვა. მთავარი მოულოდნელობა ძირითად შემადგენლობაში ლევან ყენიას გამოჩენა იყო. როგორც ჩანს, "კარპატის" მთავარ მწვრთნელს სურდა, მეტოქე ტექნიკასა და სისწრაფეში დაეჭაგრა. გუნდი მოკლე პასებით ათამაშდა, მაგრამ ჩანაფიქრის განხორციელება ყოველთვის ვერ ხერხდებოდა. არც არის გასაკვირი, "კარპატი" ხომ ახალი სტილით თამაშს სწავლობს. ვერ ვიტყვით, ლვოველები მოახერხებენ თუ არა "ბარსელონასავით" შეტევას, მაგრამ არის იმედი, რომ ასე თამაშს შეეჩვევიან... "გოვერლა" ძელმა ორჯერ იხსნა. მეორედ უგგოროდელები აქტიური ყენიას დარტყმის შემდეგ გადარჩნენ - ქართველი ნახევარმცველი რამდენიმე მცველს ლამაზად გასცდა და შორეულ კუთხეში ელეგანტურად დაარტყა" – წერს "კარპატის" ვებგვერდი.

მატჩის შემდეგ ლვოველთა პრესსამსახურმა 22 წლის ქართველ ლეგიონერს ინტერვიუ ჩამოართვა და ასეთი შესავალი უძღვნა: *"სწრაფი და ტექნიკური ქართველი მუდმივად სთავაზობდა თანაგუნდელებს დახმარებას, გონივრულად იხსნებოდა და შეტევების დაგვირგვინებას ცდილობდა".*

ლევან ყენიას ინტერვიუს კი შემოკლებულად გთავაზობთ.

"დიდი ხნის შესვენების შემდეგ, გუნდის ძირითად შემადგენლობაში პირველად გამოვჩნდი. ორი წელი საერთოდ ვერ ვთამაშობდი. ამდენად, შეუძლებელია, შემადგენლობაში გამოჩენა არ მახარებდეს. სასიამოვნოა, რომ მწვრთნელმა ეს შანსი მომცა. სტადიონ "უკრაინაზე" პირველი წუთებიდან თამაში კი დიდი პატივია.

... მატჩის შედეგმა კი არ გამახარა. შეგვეძლო და უნდა მოგვეგო კიდეც, მაგრამ არ გაგვიმართლა. ძელმა მეტოქე ორჯერ იხსნა, მათ შორის, ჩემი დარტყმის შემდეგაც. შორეულ კუთხეს ვუმიზნებდი, მაგრამ სანტიმეტრებში შევცდი.

... "კარპატი" ახლებურად ათამაშდა და ჩვენ კიდევ ბევრი შრომა დაგვჭირდება, ეს სტილი რომ დავხვეწოთ. რა თქმა უნდა, ასეთი ფეხბურთი მომწონს, "ბარსელონასა" და ესპანეთის ნაკრებივით თამაში მეც ძალიან მსურს. მაგრამ ამ უჩვეულოდ ლამაზი ფეხბურთის ჩვენება ძალიან ძნელია.

... ჩვენ არ გვყოფნის შეთამაშება და დრო. ამაზეც ვმუშაობთ. მაგრამ ვერ ვიტყვი, გულშემატკივარი შედეგს მხოლოდ გაზაფხულისთვის უნდა დაელოდოს თუ არა. ფეხბურთში ყველაფერი ხდება. უნდა მოვინდომოთ, სხვაგვარად, შედეგი არ გვექნება.

... ახლახან დავბრუნდი საქართველოს ნაკრებიდან, სადაც მიმიწვიეს იმის მიუხედავად, რომ "კარპატის" ძირითადში ვერ ვხვდებოდი. რა თქმა უნდა, სასიამოვნოა, რომ არ დამივიწყეს. მიმაჩნია, საქართველოს გუნდისთვის სარგებლობის მოტანა შემიძლია. თუმცა, ბოლო ორ შეხვედრიდან მხოლოდ ერთი დავასრულეთ ფრედ. რაც შეეხება გამოძახებას, ჩვენი ნაკრების მთავარი მწვრთნელი თემურ ქეცბაია "კარპატის" თავკაცს, ნიკოლაი კოსტოვს ეკონტაქტება და იცოდა, როგორ ფორმაში ვიყავი" – ამბობს ყენია.



ლევან ყენია

მერაბ მამულაშვილი

სფფ

არსაიდან არ მივდივარ

ნამეტანი თავისუფლებაც თურმე არ ვარგა. საფეხბურთო სამყაროს მარწუხები მოუშვეს და ნახეთ, რა ხდება – აქეთ "დინამოზეა" ატეხილი ერთი ამბავი, იქით კი ფეხბურთის ფედერაციის პოსტს უმიზნებენ. არ გინდოდათ, ტოტალური კონტროლი ყველაფერზე? ჰოდა, ახია თქვენზე...

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **დომენტი სიჭინავა** გადადგომას არ აპირებს, საპრეზიდენტო ვადა 2015 წელს გაუდის. ახალი ხელისუფლებაც ჯერჯერობით არ ჰგავს უწინდელს და არ ეუბნება სიჭინავას, უნდა წახვიდე და თუ არ წახვალ...

ახალ ხელისუფლებას ჯერ არ გამოუყენებია ცივილური ბერკეტები – არ გემუქრები, მაგრამ ნებით თუ არ წახვალ, წლიურ შვიდ მილიონ ლარს აღარ გაჩუქებ და თუ მაგარი ბიჭი ხარ, შენით შეინახე მაღალ დონეზე ფედერაციის ოფისიც და საქართველოს ყველა ნაკრებიც.

მაგრამ მილეთი არ ისვენებს: საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობა ჯერაც სანუკვარი თანამდებობაა, ძალიან პრესტიჟული და გაპრანჭული, ძნელად მისაწვდომი და ელიტარული, თუ ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი გახდი, ეს იმას ნიშნავს, რომ ყველას აჯობე.

და რატომ არის ასე ნანატრი ფედერაციის პრეზიდენტობა? შესაძლოა იმიტომ, რომ ეს ძალიან რესპექტაბელურია საქართველოში, ეს ის თანამდებობაა, ქვეყნის მეთაურის თანხმობა რომ იყო აუცილებელი.

მთავრობა იცვლება, სიჭინავა კი არ მიდის – არ გამოდგა ის მარტივი ადამიანი, მან ხასიათი დაგვანახა – აქ ვდგავარ და არსად წასვლასაც არ ვაპირებ.

სიჭინავა არ ყოფილა წინა ხელისუფლების ლიბერტარიანული ფლანგის ფავორიტი. ამის დასტურად ისიც გამოდგება, რომ მან ორჯერ ისე წამოაყენა საკუთარი კანდიდატურა ფედერაციის პრეზიდენტის პოსტზე, რომ მეტოქე არ ჰყოლია. ყველას შეეშინდა, ყველა მიხვდა, რომ სიჭინავასთან ბრძოლას აზრი არ ჰქონდა, სიჭინავასთან ბრძოლა ძალოვანებთან ბრძოლას ნიშნავდა.

შიშის კანკალი დიდხანს გაგრძელდა და რა მივიღეთ – პრეზიდენტობის ბევრი მსურველი, რომელთაც ოფიციალურად ჯერ არ უთქვამთ ამის შესახებ.

ეს ჩვეულებრივი უკურეაქცია უნდა იყოს. დღეს საშიში აღარ არის ის, რომ ფედერაციის პრეზიდენტობა გინდა, ოღონდაც დღეს იმის საშუალებაც არის, რომ დაფიქრდე – რატომ გინდა ფედერაციის პრეზიდენტობა, რა გამოცდილება გაქვს და რისი გაკეთება შეგიძლია.

გიორგი დემეტრაძის გათავისუფლების თხოვნაზე წერილი რომ დაიწერა, მას ფეხბურთის ფედერაციის მაღალჩინოსნებმაც მოაწერეს ხელი, სიჭინავაც ძალოვანებში დაიბარეს და უბრძანეს, ვინც ამ წერილს ხელი მოაწერა, სამსახურიდან უნდა გაუშვაო, ტკბილი საუბარი არ ყოფილა, მაგრამ სიჭინავა კურდღელივით არ დამფრთხალა და ბრძანება არ შეუსრულებია – მე ასე ვიცი ეს ამბავი და თუ რამე მეშლება, ბოდიში მომითხოვია.

სიჭინავას არ ჰქონდა საზოგადოებასთან ურთიერთობის გამოცდილება იმ დონეზე, რაც ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს მოეთხოვება. ის ვერ ერკვევა კარგად წმინდა საფეხბურთო საკითხებში, სამაგიეროდ არის მუყაითი მაღალჩინოსანი.

სიჭინავა არ აურჩევიათ სამართლიან არჩევნებში – იურიდიულად ამის დამტკიცება ალბათ შეუძლებელია, მაგრამ ყველამ კარგად ვიცით, რომ ის ხელისუფლების ფავორიტი იყო და ამიტომაც დაიკავა ეს თანამდებობა.

და რა იქნება შემდეგ? ფედერაციის პრეზიდენტობის მსურველებს 2015 წლამდე მოუწევთ მოცდა?

მე მაინც მგონია, რომ თუ სიჭინავას გადადგომას მთავრობიდან აიძულებენ, ეს დასაგმობი იქნება. მაგრამ თუ საფეხბურთო სამყარო მოახერხებს ფედერაციის პრეზიდენტის იმპიჩმენტს, ეს უკვე რაღაც ახალი და საინტერესო გამოდგება.

მოთმინება ყველა საქმეში აუცილებელია. ქართული საფეხბურთო სამყარო დიდი პრინციპულობით არასდროს არ გამოირჩეოდა, ბევრი ცუდი ამბავი გადაუყლაპია, ბევრჯერ უთქვამს, მანონი შავიაო და ხშირად ციხე შიგნიდან არ გაუტეხავს. სიჭინავას პრეზიდენტობაც მხოლოდ წინა ხელისუფლების ცოდვა ვერ იქნება.

უკეთესი გვინდა? კი ბატონო, ოღონდაც მაშინ სხვებზე უკეთესები უნდა ვიყოთ, მათ შორის მოქმედების ფორმებითაც.

დავით თავართქილაძე

სიტუაცია

ვეტერანებმა დემეტრაძე მოინახულეს და პატიმრებთან ითამაშეს

სექტემბრის ბოლოს ტელევიზიებით გავრცელებული კადრების შემდეგ, როდესაც ციხეებში არსებული საშინელი ვითარება გამოაშკარავდა, "ლელოსთან" ინტერვიუში თბილისის „დინამოსა" და საქართველოს ნაკრების ყოფილმა ნახევარმცველმა ლადო ბურდულმა პატიმრებსა და მათ ოჯახებს სოლიდარობა გამოუცხადა და ფეხბურთელებს მოუწოდა, ციხეში გიორგი დემეტრაძე მოენახულებინათ და გაეშხვეებინათ.

როგორც შევიტყვეთ, რუსთავის №2 სასჯელაღსრულების დანესებულების ხელმძღვანელებმა ვეტერან ფეხბურთელთა თხოვნა დააკმაყოფილა და ორიოდე დღის წინ საქართველოს ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი მოინახულეს ლადო ბურდულმა, **ლევან ცქიტიშვილმა, ზვიად სტურუამ, მიხეილ ბობოხიძემ, კოკა მიკუჩაძემ, დავით დათვაძემ** და **დავით გოგოლაძემ**.

მეგობრები გიორგის საკანში შეხვდნენ, დაინტერესდნენ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობით, იქ საკმაოდ დიდხანს გაჩერდნენ. მისვლით დემეტრაძეც გაახარეს და დანარჩენი პატიმრებიც. როგორც გვითხრეს, გიორგი წონაში დაკლებულია, მაგრამ მხნედ გამოიყურება და ყოველდღე ვარჯიშობს.

ბოლოს პატიმრებისა და ვეტერანების ამხანაგური მატჩი გაიმართა, რომელსაც უფრო მეტი მაყურებელი ჰყავდა, ვიდრე ჩვენი ჩემპიონატის ბევრ შეხვედრას – როგორც გვითხრეს, ამ "დაპირისპირებას" დაახლოებით 1000-მდე მაყურებელი უცქერდა.

ვეტერანებმა და თავისუფლებააღკვეთილებმა ერთმანეთში ორჯერ ითამაშეს, პირველი მატჩი დემეტრაძის გუნდმა 9:8 მოიგო, მეორე კი ფრედ, 4:4 დასრულდა.

საქართველოს ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი 2010 წელს ქურდული სამყაროს წევრობის ბრალდებით დააკავეს. დემეტრაძე ბრალდებას კატეგორიულად უარყოფდა და აცხადებდა, რომ მოედანზე ტრუსით გასული ფეხბურთელი ქურდული სამყაროს წევრი ვერც იქნებოდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ ცნობილი ფეხბურთელის საჩივარი არ დააკმაყოფილა და საქალაქო სასამართლოს განაჩენი ძალაში დატოვა. გიორგიმ და მისმა ადვოკატმა საქმე სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში გაასაჩივრეს, საპროცესო გარიგებაზე კი უარი თქვეს, რადგან დემეტრაძე თავს უდანაშაულოდ თვლიდა.

2011 წლის ბოლოს საფეხბურთო სამყაროს წარმომადგენლებმა საქართველოს პრეზიდენტს გიორგის გათავისუფლების თაობაზე წერილით მიმართეს და ჰქონდათ იმედი, რომ ის გაითვალისწინებდა ვეტერანი ფეხბურთელის დამსახურებას და საახალწლოდ ამნისტიით გაათავისუფლებდა.

სამწუხაროდ, ასე არ მოხდა და დემეტრაძე ციხის გისოსებში დარჩენილ 5 წელსაც გაატარებდა, რომ არა 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში "ქართული ოცნების" გამარჯვება. ამის შემდეგ, საქართველოს პრეზიდენტმა **მიხეილ სააკაშვილმა** დემეტრაძე სასჯელის განახევრების ფორმით შეიწყალა, თუმცა შესაბამისი თხოვნიდ არც მას და არც ფეხბურთელის ოჯახს არ მიუმართავს.

ციხეში შესულ ვეტერანთა თქმით, გიორგი დემეტრაძე იმედოვნებს, რომ ახლა მაინც მოექცევიან სამართლიანად და მალე გაათავისუფლებენ.

მერაბ მამულაშვილი

სავარაუდო ტრანსფერი

კრივბასში მორიგ ქართველს ელიან

16 ოქტომბერს მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე საქართველოს **ახალგაზრდული ნაკრები დანიელ თანატოლებს შეხვდა. ამხანაგური მატჩისთვის გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ალექსანდრე ჩივაძემ ახალი ფეხბურთელები გამოიძახა, მათ შორის იყო კიშინიოვის „ზიმბრუს" ნახევარმცველი თორნიკე სტეფნიაშვილი.**

შესაძლოა, ეს ახალგაზრდა ფეხბურთელი მალე უკრაინის პრემიერლიგის კრივოი როგის "კრივბასში" ჩაირიცხოს. სტეფნიაშვილი 19 წლის არის და მოლდოვურ "ზიმბრუში" ნლეულს გამოჩნდა.

თავიდან საფეხბურთო სკოლა "ავაზაში" ვარჯიშობდა, შემდეგ კი "საბურთალოში", საიდანაც ჯერ რუსთავის "ოლიმპის" დუბლშემადგენლობაში აიყვანეს, შემდეგ - ბოლნისის "სიონი- 2"-ში. მოლდოვაში გამგზავრებამდე თორნიკე გორის "დილაში" **გია ცეცაძემ** წაიყვანა – ეს ის დროა, როდესაც გორელთა კლუბი უმაღლეს ლიგაში გადავიდა, სტეფნიაშვილმა კი გუნდის მაისურით საქართველოს ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის რამდენიმე მატჩში ითამაშა.

სხვათა შორის, თორნიკეს ჩამოყალიბებაში საკმაოდ დიდი როლი ითამაშა საქართველოს ნაკრების მცველის, **გიორგი ფოფხაძის** მამამ, **იური ფოფხაძემ**, რომელიც თორნიკეს ინდივიდუალურად ამზადებდა.

"ზიმბრუში" სტეფნიაშვილი მენეჯერმა, ყოფილმა ფეხბურთელმა **დავით გოგოლაძემ** წაიყვანა. ის კიშინიოველთა ამჟამინდელ გენერალურ დირექტორთან, **იგორ ოპრიასთან** ერთად თამაშობდა და მასთან კავშირი კარიერის შემდეგაც შეინარჩუნა. გოგოლაძის რეკომენდაციით, სტეფნიაშვილი კიშინიოველებმა სინჯებზე მიიწვიეს, მოეწონათ და 3-წლიანი კონტრაქტი გაუფორმეს.

სტეფნიაშვილი თავიდანვე იმედოვნებდა, რომ "ზიმბრუში" დიდი ხანი არ დარჩებოდა და გუნდს ტრამპლინად გამოიყენებდა. წლეულს გუნდის შემადგენლობაში 9 შეხვედრა ჩაატარა. ახალგაზრდულ ნაკრებში კი დებიუტი 16 ოქტომბერს დანიელებთან ჰქონდა, როდესაც მოედანზე მეორე ტაიმში **ლაშა პარუნაშვილის** ნაცვლად გამოჩნდა.

თორნიკე კრივოი როგში დღეს მიემგზავრება და შესაძლოა, "კრივბასში" ჩაირიცხოს. სავარაუდოდ, ტრანსფერის პასუხი კვირის ბოლოს გვეცოდინება. ამჯერადაც მოლაპარაკება დავით გოგოლაძის დახმარებით მიმდინარეობს.

შესაძლოა, უკრაინაში გააგრძელოს კარიერა სტეფნიაშვილის ყოფილმა თანაგუნდელმა, კიშინიოვის "დაჩიას" დუბლშემადგენლობის 19 წლის მცველმა **ლუკა თათხაშვილმაც**. ეს ახალგაზრდა მოთამაშეც მოლდოვაში აგვისტოს დასაწყისში გოგოლაძის რეკომენდაციით მოხვდა და ახლა კი ცდილობს, რომ უკრაინაში მოაწყოს.

მერაბ მამულაშვილი

თორნიკე სტეფნიაშვილი

ლუკა თათხაშვილი

ფუტსალი

ნაკრები პორტუგალიაში ჩავიდა

ბუშინ გამთენიისას, თბილისი-სტამბული-ლისაბონის რეისით საქართველოს ფუტსალის ნაკრები პორტუგალიაში გაემგზავრა, სადაც ამ ქვეყნის ეროვნულ ნაკრებს 24 და 25 ოქტომბერს ამხანაგურად ეთამაშება. ტაილანდში გასამართ მსოფლიოს ჩემპიონატზე გამგზავრებამდე ეს პორტუგალიელთა ბოლო შეხვედრა იქნება.

გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **ავთანდილ ასათიანმა** და მისმა თანაშემწემ **ბესო არველაძემ** ფეხბურთელები სექტემბრის ბოლოს შეკრიბეს და გუნდს სპორტკომპლექს "არენაში" ამზადებდნენ. საბოლოოდ, გაფართოებული სიიდან ასათიანმა პორტუგალიაში შემდეგი მოთამაშეები წაიყვანა:

მეკარეები: **ზაქაიძე (თსუ), ჯამბურია ("იბერია სტარი")**;

მოთამაშეები: **ასათიანი, ხოსრუაშვილი, სოზაშვილი, შელეგია (ყველა - "თელასი"), ჭანუყვაძე, ბობოხიძე, ჯაფარიძე, კაკაბაძე, კობაიძე (თსუ), სებისკვერაძე, მაისაია (ორივე – "ნეფთჩი"), ალთუნაშვილი ("იბერია სტარი")**.

ნაკრებს ამჯერადაც ვერ დაეხმარებიან კვიპროსის "ომონიას" ლიდერები, დევდარიანი და თოთლაძე, აგრეთვე "იბერია სტარის" ტრავმირებული მოთამაშე ძაბირაძე.

შემადგენლობა დაასახელა პორტუგალიელთა თავკაცმა **ჟორჟ ბრაზიმაც**:

მეკარეები: ბებე ("ბენფიკა"), ჟოაო ბენედიტუ ("სპორტინგი");

მოედნის მოთამაშეები: **გონსალო ალვეში, მარინიო, ჟოელ კეირუში (ყველა - "ბენფიკა"), ჟო ლეიტაო, ჟოაო მატოში, პაულინიო, პედრო კარი (ყველა – "სპორტინგი"), ანდრე სოუზა ("ოპერარიო"), კარდინალი ("რიუ ავე"), არნალდო ("ნიკარსი"), რიკარდინიო ("ნაგოია ოუშენსი")**.

მერაბ მამულაშვილი

● საქართველოს ჩემპიონატი. პრემიერლიგა. X ტურის მიმოხილვა

ერთი ბიბლიოთეკა

დამაჯერებელი ფავორიტები

ერთი ტურიც და საქართველოს ჩემპიონატის პირველი ეტაპის პირველი წრეც დასრულდება. სატურნირო ცხრილს თვალი რომ გადავავლოთ, ვნახავთ, რომ საუკეთესო ექვსეულში მოსახვედრად წინ დიდი ბრძოლები გველის. იმავე ცხრილიდან ისიც ნათლად ჩანს, ვის შეუძლია უმაღლეს მიზნებთან შეჭიდება და ვინ შემოიფარგლება მოკრძალებული ამოცანებით. ქართული რეალობისთვის უცხო არ არის მოვლენების უსწრაფესი ცვლა და ნუ გამოვრიცხავთ, პოლიტიკურმა ვითარებამ გავლენა საქართველოს ჩემპიონატში მიმდინარე ამბებზეც მოახდინოს, თუმცა მოვლენებს არ უნდა გავუსწროთ და ჯერ მხოლოდ ის სიტუაცია შევაფასოთ, რაც უმაღლეს ლიგაში დღეისთვის არის შექმნილი.

გამარჯვება ნახევარი ძალით

სწორედ ასე შეგვიძლია ვუწოდოთ "დინამოს" მოგებას მარტვილში. **დუშან უჰრინის** გუნდმა საქმე პირველივე ტაიმში მოამთავრა და ჩეხი სპეციალისტი სწორადაც მოიქცა, შესვენების შემდეგ შეგირდებს შედარებით მშვიდი თამაშის მითითება რომ მისცა. "დინამოს", ალბათ, 4:0-ზე უფრო შთამბეჭდავი ანგარიშით გამარჯვებაც შეეძლო, მაგრამ ამ შემთხვევაში რისკი გაუმართლებელი იქნებოდა – ამას შეიძლებოდა, დედაქალაქელთა რომელიმე ფეხბურთელის ტრავმა მოჰყოლოდა. გარდა ამისა, მოახლოებული მატჩების წინ არც მოთამაშეთა ზედმეტად გადაღლა ივარგებდა.

"დინამოს" გამარჯვებაში უდიდესია ესპანური წვლილი – **მიკელ ალვარომ** დუბლი შეასრულა, ერთხელ კი თავი **ჩისკომ** გამოიჩინა. არც ის უნდა გაგვიკვირდეს, თუ ერთადერთი ქართული გოლის ავტორი **ჯაბა დვალია**, რომელმაც მიმდინარე ჩემპიონატში მერვე ბურთი გაიტანა და ბომბარდირთა დავაში ლიდერობა განიმტკიცა.

"მერანი" კი, რომელმაც წინა სეზონში "დინამოს" ოთხი ქულა აართვა, ამჯერად უშანსოდ იყო, თუმცა ამით მარტვილელთათვის ცხოვრება არ მთავრდება – ფაქტია, რომ ამჟამინდელი "დინამო" შარშანდელზე ძლიერია, "მერანს" უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნების რიგიანი შანსი აქვს.

დაგეგმილი ტორპედომაც მოიჯოვა

ტურის ცენტრალური მატჩი ქუთაისში გაიმართა, სადაც ერთმანეთს ორი იმერული კლუბი დაუპირისპირდა. მეორე და მესამეადგილოსნების ბრძოლაში ფავორიტად მასპინძელი "ტორპედო" მიიჩნეოდა და **გია გეგუჩაძის** გუნდმა ეს სტატუსი სრულად გაამართლა. საჩხერელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მასპინძლებს საკმაოდ გაუძალიანდნენ და პირველ ტაიმში წონასწორობაც აღადგინეს, მაგრამ შეხვედრის მეორე ნახევარში "ტორპედომ" თვალში საცემად იძალა და ეს უპირატესობა ანგარიშში ასახა. დუბლით თავი გამოიჩინა ქუთაისელთა ახალგაზრდა ფორვარდმა **ნიკოლოზ საბანაძემ, გრიგოლ დოლიძე** კი, რომელიც ბოლო დროს თავის გუნდში აშკარად ერთ-ერთი გამორჩეულია, ორი საგოლე პასის ავტორია.

"ტორპედომ" ამ გამარჯვებით ლიდერ "დინამოს" შორს გაქცევის საშუალება არ მისცა და დედაქალაქელებთან ერთქულიანი ჩამორჩენა შეინარჩუნა.

ამ მარცხით "ჩიხურა" მესამედან მეხუთე საფეხურამდე დაეშვა, მაგრამ **სოსო ფრუიძის** გუნდზე დადებითის მეტს ვერაფერს ვიტყვით – დარწმუნებულები ვართ, უმაღლეს ლიგაში დაბრუნებული საჩხერელები ნებისმიერი ფავორიტისთვის ანგარიშგასაწევ ძალად დარჩებიან და ზეექვსეულში მოხვედრაზეც რეალურ პრეტენზიას განაცხადებენ.

დილა ჯვლავ შეუჩერებელია

გიორგი დარასელიას ხელმძღვანელობით "დილამ" მეექვსე მატჩი ჩაატარა და მეექვსე გამარჯვებას მიაღწია. შეგახსენებთ, გორელებმა ჯერ ერთიმეორის მიყოლებით დაამარცხეს უშუალო კონკურენტები, შემდეგ კი "სავალდებულო" პროგრამაც შეასრულეს და ნელ-ნელა ინაზღაურებენ იმ დანაკარგს, რაც სეზონის სტარტზე განიცადეს.

"დილა" ფოთში მხოლოდ პირველ ტაიმში წააწყდა დიდ წინააღმდეგობას, შესვენების შემდეგ კი "კოლხეთმა" კლასით მასზე მაღლა მდგომ მეტოქესთან ვერაფერი გააწყო და სამი უპასუხო ბურთი მიიღო. ფოთელები სამი ქულითა და ნული გამარჯვებით კვლავ ბოლო ადგილზე არიან და დღეისთვის მათი უმაღლეს ლიგაში დარჩენის პერსპექტივები არცთუ სახარბიელოა, გორელები კი წინ მიიწევენ და უახლოეს ტურებში პოზიციების კიდევ უფრო განმტკიცების საშუალებაც მიეცემათ.

ჩემპიონი და ვიცე-ჩემპიონი გამოცოცხლდნენ

მნიშვნელოვანი გამარჯვებები მოიპოვეს საქართველოს ჩემპიონმა და ვიცე-ჩემპიონმა. "ზესტაფონისა" და "მეტალურგის" უახლოესი ამოცანა ზეექვსეულში დამკვიდრებაა – არასახარბიელო სტარტმა ორივე კლუბი ამგვარი რეალობის წინაშე დააყენა და საინტერესოა, როგორ გამოვლენ ამ უსიამოვნო სიტუაციიდან ზესტაფონელები და რუსთაველები. გასულ ტურში მიზანს ორივე მათგანმა მიაღწია და შინ ერთბურთიანი უპირატესობით გაიმარჯვა.

"მეტალურგის" გულშემატკივრები, ფეხბურთელები და სამწვრთნელო შტაბი მსაჯობით დარჩნენ უკმაყოფილონი, თუმცა ამის მიუხედავად, მასპინძლებმა ქვემოქართლური დერბი შეუპოვარ ბრძოლაში მოიგეს და "სიონს" ისედაც არცთუ სახარბიელო მდგომარეობა კიდევ უფრო გაურთულეს. ამ გამარჯვებით "მეტალურგი" საუკეთესო ექვსეულის ზონას დაუბრუნდა. ეს **გიორგი ყიფიანის** პირველი გამარჯვებაა რუსთაველთა თავკაცის თანამდებობაზე.

"ზესტაფონი" კი, რომელმაც "ზუგდიდს" მატჩის დებიუტში გატანილი გოლით სძლია, "მეტალურგს" ორი ქულით უსწრებს და, შესაბამისად, ლიდერთა ჯგუფთან უფრო ახლოსაა. ვნახოთ, როგორ წარიმართება ბრძოლა პირველ ეტაპზე და ვინ შეძლებს აღზევებული გუნდებისთვის მედგარი წინააღმდეგობის გაწევას.

"ზუგდიდის" უსიამოვნება კი მხოლოდ ზესტაფონში დამარცხებით არ ამოიწურება და ამის შესახებ "ლელოს" ამავე ნომერში ნაიკითხავთ...

■ ■ ■

"ვიტ ჯორჯია" კი კვლავ გვაკვირვებს უჩვეულო სტატისტიკით – **მერაბ კოჭლაშვილის** გუნდმა მიმდინარე ჩემპიონატში სამი გამარჯვება მოიპოვა და სამივე გასვლაზე. ასეთივე შინაარსის მაჩვენებელი აქვთ ვეტერინარებს საქართველოს თასზეც, რომლის მეთექვსმეტედფინალშიც ჯერ შინ დამარცხდნენ პირველლიგელ "ლოკომოტივთან", შემდეგ კი მას სტუმრად სძლიეს და მერვედფინალისკენ ამგვარად გაიკვლიეს გზა.

ჩემპიონატის რიგით მესამე მოგებას "ვიტ ჯორჯიამ" ქობულეთში, ბათუმის "დინამოსთან" მიაღწია. როცა ერთმანეთს უშუალო კონკურენტები ებრძვიან, ფავორიტად, როგორც წესი, მასპინძელი მიიჩნევა ხოლმე, მაგრამ სტუმართა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მძიმე ბრძოლაში სამი ქულა სწორედ მათ მოიპოვეს.

მატჩის გმირი ვიტელთა 23 წლის თავდამსხმელი **ლაშა გაბრიჭიძე** გახდა, რომელმაც მწვრთნელს ძირითად შემადგენლობაში გამწესებით გამოცხადებული ნდობა გამარჯვების გოლით გაუმართლა.

ლევან ჯანეზაშვილი

დუგლეზის ჩემპიონატი

X ტური

კოლხეთი – დილა	0:0
დინამო (თბ) – ვიტ ჯორჯია	0:3
ზესტაფონი – ზუგდიდი	1:1
მერანი – დინამო (თბ)	0:3
ტორპედო – ჩიხურა	1:1
მეტალურგი – სიონი	3:1

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. დინამო (თბ)	10	8	1	1	32-9	25
2. ზესტაფონი	10	7	3	0	32-15	24
3. ვიტ ჯორჯია	10	5	3	2	19-10	18
4. მეტალურგი	10	5	3	2	23-16	18
5. ზუგდიდი	10	4	4	2	13-11	16
6. ტორპედო	10	4	3	3	14-9	15
7. დილა	10	3	3	4	9-10	12
8. კოლხეთი	10	3	2	5	11-21	11
9. ჩიხურა	10	2	3	5	10-15	9
10. დინამო (თბ)	10	2	2	6	12-17	8
11. მერანი	10	1	1	8	3-27	4
12. სიონი	10	0	4	6	8-26	4

X ტურის სიმბოლური ნაკრები

ად	გუნდი	თ	გ	ფ	წ	გატ	გაშვ	ქ
1	დინამო (თბ)	10	7	2	1	29	7	23
2	ტორპედო	10	7	1	2	24	8	22
3	დილა	10	6	1	3	16	7	19
4	ზესტაფონი	10	5	2	3	11	6	17
5	ჩიხურა	10	5	2	3	12	11	17
6	მეტალურგი	10	5	0	5	7	12	15
7	ზუგდიდი	10	3	5	2	10	7	14
8	მერანი	10	4	0	6	6	18	12
9	ვიტ ჯორჯია	10	3	2	5	8	14	11
10	დინამო (თბ)	10	2	2	6	10	18	8
11	სიონი	10	1	4	5	9	18	7
12	კოლხეთი	10	0	3	7	4	20	3

ცხრილი შედგენილია gff.ge-ს მიხედვით

ბომბარდირები

დვალი (დინამო თბ)	8
ჯორგენაძე (დინამო გთ)	6
საბანაძე (ტორპედო)	6
ალვარო (დინამო)	6

X1 ტური

27 ოქტომბერი, შაბათი

დილა-მერანი
ვიტ ჯორჯია-კოლხეთი
ჩიხურა-დინამო (გთ)
სიონი -ტორპედო
ზუგდიდი-მეტალურგი
დინამო (თბ)-ზესტაფონი

ამონარიდი რეგლამენტიდან

თანაბარი ქულების შემთხვევაში ადგილები გაირკვევა შემდეგი პრიორიტეტული პრინციპით:

1) ჩემპიონატში უშუალოდ ურთიერთშეხვედრების შედეგები (ქულათა რაოდენობა და შემდეგ ბურთების უკეთესი სხვაობა. ბურთების ერთნაირი სხვაობის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება გუნდს, რომელსაც ერთმანეთთან შეხვედრებში სტუმრად მეტი გოლი აქვს გატანილი);

2) ჩემპიონატში მოგებათა მეტი რაოდენობა;

3) ჩემპიონატში გატანილი და მიღებული ბურთების უკეთესი სხვაობა;

4) ჩემპიონატში გატანილი გოლების მეტი რაოდენობა;

5) ჩემპიონატში სტუმრად გატანილი გოლების მეტი რაოდენობა;

6) ჩემპიონატის განმავლობაში გუნდის მიერ მიღებული ნითელ-ყვითელი ბარათების რაოდენობა (ნითელი - 3 ქულა, ყვითელი — 1 ქულა. თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება ნაკლებ ნითელ ბარათს);

7) თუ გუნდებს ეს მაჩვენებელიც თანაბარი აღმოაჩნდებათ, ადგილების გამოსავლენად მოეწყობა კენჭისყრა.

ძაბუკია ლიგა (1995-96 წლებში დაბადებულნი)

VII ტური

კოლხეთი (ფ) – მერანი	2:1
ბაია – მეტალურგი	0:4
ჩიხურა – სიონი	1:1
ტორპედო – საბურთალო	3:1
ვიტ ჯორჯია – ლოკომოტივი	4:2
დინამო (თბ) – ზესტაფონი	0:1
ზუგდიდი – დინამო (გთ)	2:0
დილა – 35-ე სპ. სკოლა	2:1

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. მეტალურგი	7	5	0	2	19-8	15
2. ლოკომოტივი	7	4	2	1	20-7	14
3. ვიტ ჯორჯია	7	4	2	1	19-6	14
4. ზესტაფონი	7	4	2	1	13-7	14
5. დინამო (თბ)	7	4	1	2	16-9	13
6. დილა	7	4	1	2	7-8	13
7. ტორპედო	7	3	2	2	15-10	11
8. ბაია	7	2	3	2	14-18	9
9. კოლხეთი (ფ)	7	2	3	2	5-12	9
10. 35-ე ს.ს.	7	2	3	2	9-11	8
11. საბურთალო	7	2	1	4	13-14	7
12. დინამო (გთ)	7	1	3	3	6-9	6
13. ჩიხურა	7	1	3	3	6-19	6
14. სიონი	7	1	2	4	7-12	5
15. ზუგდიდი	7	1	2	4	5-15	5
16. მერანი	7	1	1	5	6-15	4

ძაბუკია ლიგა 1997-98 წლებში დაბადებულნი

VII ტური

ტორპედო – საბურთალო	0:7
კოლხეთი (ფ) – მერანი	1:1
ბაია – მეტალურგი	2:1
ჩიხურა – სიონი	1:1
დილა – 35-ე ს.ს.	0:2
დინამო (თბ) – ზესტაფონი	10:0
ვიტ ჯორჯია – ლოკომოტივი	1:0
ზუგდიდი – დინამო (გთ)	1:2

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. საბურთალო	7	5	2	0	31-6	17
2. ბაია	7	5	2	0	19-8	17
3. ლოკომოტივი	7	5	1	1	31-5	16
4. დინამო (თბ)	7	4	2	1	31-9	14
5. ვიტ ჯორჯია	7	4	1	2	9-8	13
5. 35-ე ს.ს.	7	4	0	3	11-7	12
7. ტორპედო	7	3	2	2	14-14	11
8. კოლხეთი (ფ)	7	3	2	2	9-10	11
9. დილა	7	3	1	3	7-9	10
10. ზესტაფონი	7	3	1	3	11-29	10
11. მეტალურგი	7	3	0	4	8-13	9
12 დინამო (გთ)	7	2	1	4	4-10	7
13. მერანი	7	0	4	3	8-13	4
14. ზუგდიდი	7	1	0	6	3-16	3
15. ჩიხურა	7	0	2	5	4-25	2
16. სიონი	7	0	1	6	4-22	1

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. სამშაბათის მატჩების წინ

რიბერი სახლში ბრუნდება

გალათასარაი უკვე მძიმე მდგომარეობაშია და ვალდებულია, მოიგოს

მესამე ტურის პირველ დღეს ჩემპიონთა ლიგა გამორჩეულ და განსაკუთრებულ ჯახს არ გვთავაზობს - ყველა მატჩი მეტ-ნაკლებად საინტერესოა. „შახტარისა“ და „ჩელსის“ სახით უკრაინისა და ინგლისის ჩემპიონატების ლიდერები ხვდებიან; F ჯგუფში ფრანკ რიბერი „ბაიერნთან“ ერთად სამშობლოში ბრუნდება და ეთამაშება კლუბს, სადაც, მისივე თქმით, „კარიერის უმნიშვნელოვანესი წლები გაატარა.“ G ჯგუფში, ლიონელ მესი შოტლანდიური დაცვის გარღვევას ეცდება, ხოლო H ჯგუფში „გალათასარაის“ მერვედფინალის საგზურისთვის გაბრძოლების ბოლო შანსი ეძლევა.

ფრანკ რიბერიმ ლილში კარიერის უმნიშვნელოვანესი პერიოდი გაატარა

E ჯგუფი

ლიდერების დუელი

შახტარი–ჩელსი 22:45

„ჩელსი“ პრემიერლიგას შვიდი მოგებითა და ერთი ფრით ერთპიროვნულად ლიდერობს. გასულ უქმეებზე ლონდონელებმა „ტოტენჰემი“ 4:2 დაამარცხეს, მატჩის გმირი კი **ხუან მატა** გახდა, რომელმაც დუბლი შეასრულა. „სპურზის“ თავკაცმა და „ჩელსის“ ექსმწვრთნელმა **ანდრე ვილაშ ბოაშმა** თქვა, მატა უდიდეს პროგრესს განიცდის და აი, ნახავთ, უფრო უკეთესადაც ათამაშდებაო. მორიგი შანსი მატას დღეს, დონეცკში მიეცემა - „ჩელსი“ ასევე 4-ქულიან „შახტარს“ სტუმრობს, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს არის დუელი ლიდერობისთვის. დღესდღეობით ლონდონელები ბურთების უკეთესი შეფარდების გამო არიან პირველ ადგილზე.

„ჩელსის“ ფავორიტად შერაცხვა შეუძლებელია, რადგან დონეცკელები ძალიან კარგ ფორმაში არიან, რაც უკრაინის ჩემპიონატის გარდა (36 ქულა 12 ტურის შემდეგ), მეორე ტურში, ტურინში მიღწეული ფრითაც (1:1) დაამტკიცეს. ლონდონელებს ჯონ ტერი უბრუნდებათ, რომელმაც 4-მატჩიანი დისკვალიფიკაცია მოიხადა.

სავარაუდო შემადგენლობები

შახტარი (4-2-3-1): პიატოვი - სრნა, ჩიგრინსკი, რაკიცკი, რაცი - ჰიუბშმანი, ფერნანდინიო - ილსინიო, მხითარიანი, ვილიანი - ლუის ადრიანო.

ჩელსი (4-2-3-1): ჩეხი - ივანოვიჩი, ტერი, დავიდ ლუისი, ე. კოული - ობი მიკელი, ლემპარდი - აზარი, ოსკარი, მატა - ტორესი.

არბიტრი: დამირ სკომინა (სლოვენია)

ნორდსიელანდი–იუვენტუსი 22:45

„ჩელსისთან“ და „შახტართან“ ფრეების შემდეგ იტალიის ჩემპიონი და სერია A-ს ლიდერი „იუვენტუსი“ აუტსაიდერ „ნორდსიელანდს“ სტუმრობს და ვალდებულია, დანიიდან სამი ქულა წაიღოს. ალსანიშნავია, რომ შაბათს ტურინელებმა უმძიმესი მატჩი გადაიტანეს „ნაპოლისთან“, რომელშიც 2:0 იმარჯვეს. „ნორდსიელანდმა“, როგორც მოსალოდნელი იყო, ორივე თამაში წააგო და ერთი გოლიც ვერ გაიტანა. ლოგიკურად, ნაკლებად სავარაუდოა, რომ დანიის ჩემპიონმა მაინცდამაინც „იუვესთან“ გაიბრწყინოს. თანაც, „ბებერ ქალბატონს“ ტრავმამოშუშებული **ჯანლუიჯი ბუფონი** უბრუნდება.

სავარაუდო შემადგენლობები

ნორდსიელანდი (4-2-3-1): ჰანსენი - პარხურსტი, ოკორე, რუნიე, მტილიგა - სტოკჰოლმი, ადუ - ლორენტცენი, კრისტიანსენი, იონი - ნორდსტრანდი.

იუვენტუსი (3-5-2): ბუფონი - ბარცალი, ბონუჩი, კიელინი - ისლა, მარკიზიო, პირლო, ვიდალი, დე ჩელიე - ჯოვინკო, ვუჩინიჩი.

არბიტრი: დენიზ აითექინი (გერმანია)

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ჩელსი	2	1	1	0	6-2	4
2. შახტარი	2	1	1	0	3-1	4
3. იუვენტუსი	2	0	2	0	3-3	2
4. ნორდსიელანდი	2	0	0	2	0-6	0

F ჯგუფი

ლილი მედგრად იბრძოლებს

ლილი–ბაიერნი 22:45

მიუხედავად იმისა, რომ „ბაიერნი“ წინა ტურში ბატე-სთან დამარცხდა (1:3), მიუნხენური გრანდის ფეხბურთელები „ლილს“ მაინც თავდაჯერებულები სტუმრობენ, რადგან რეკორდმაისტერმა სეზონი იდეალურად დაიწყო - ბუნდესლიგაში რვავე თამაში მოგებული აქვს. საფრანგეთში მხოლოდ სამი ქულისთვის მივდივართო, თქვა გუშინ ბავარიელთა ნახევარმცველმა **ტონი კროოსმა** და მის აზრს მთავარი მწვრთნელი **იუპ ჰაინკესიც** იზიარებს - ორი აზრი არ არსებობს, ლილში უნდა მოვიგოთო.

ფრანგულ კლუბს საკადრო პრობლემები აქვს: საფრანგეთის ნაკრების უკანახაზელი დებუში დისკვალიფიცირებულია, მისი მეწყვილე **ბაშა** კი - ტრავმირებული. შესაბამისად, ფაქტია, რომ დღეს „ლილის“ დაცვის ცენტრში **როზენალისა** და **შედიუს** ტანდემს ვიხილავთ. ტრავმა აწუხებს და „ბაიერნთან“ ვერ ითამაშებს კაპიტანი **მავუბაც**.

„მისი არყოფნა უდიდესი დანაკლისია, მაგრამ გულშემატკივრებს ვპირდებით, რომ „ბაიერნთან“ პირველიდან ბოლო წუთამდე მედგრად ვიბრძოლებთ,“ - ეს „ლილის“ მწვრთნელ **რუდი გარსიას** სიტყვებია.

ეს შეხვედრა ძალიან მნიშვნელოვანია „ბაიერნის“ ფრანგი გარემარბისთვის **ფრანკ რიბერისთვის**, რომელიც ლილიდან 110 კილომეტრში დაიბადა და ბავშვობაში „ლილში“ 4 წელი ითამაშა. მისი თქმით, ეს მის კარიერაში ყველაზე მნიშვნელოვანი 4 წელიწადი იყო.

სავარაუდო შემადგენლობები

ლილი (4-3-3): ლანდრო - ბერია, როზენალი, შედიუ, დინიე - ბალმონტი, პედრეტი, მარტინი - კალუ, რუ, პაიე.

ბაიერნი (4-2-3-1): ნოიერი - ლამი, ბოატენგი, დანტე, ალაბა - ხავი მარტინესი, შვაინშტაიგერი - თ. მიულერი, კროოსი, რიბერი - მანჯუკიჩი.

არბიტრი: მარტინ ატკინსონი (ინგლისი)

ბატე–ვალენსია 22:45

ბატე, რომელსაც ორი ტურის შემდეგ 6 ქულა აქვს და ჯგუფს ყველასათვის მოულოდნელად ლიდერობს, ამჯერად „ვალენსიას“ მასპინძლობს. „ლამურები“ ბელარუსის წარმომადგენელს ჩემპიონთა ლიგაში პირველად ხვდებიან, ბატე-ს კი ესპანურ კლუბებთან თამაშის საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვს, თუმცა ბორისოვში ყველა ეს შეხვედრა ცუდად ახსენდებათ: ბატე-მ ესპანურ კლუბებთან ექვსივე თამაში წააგო (ბურთების შეფარდება: 1:18).

სავარაუდო შემადგენლობები

ბატე (4-3-2-1): გორბუნოვი - პოლიაკოვი, ფილიპენკო, შიმიჩი, ბორდაჩევი - ოლეხნოვიჩი, ლიხტაროვი, ვოლოდკოვი - პავლოვი, გლები - როდიონოვი.

ვალენსია (4-2-3-1): გუაიტა - ბარაგანი, რამი, რუისი, სისოკო - გაგო, ტინო კოსტა - ფეგული, ჟონასი, გუარდადო - სოლდადო.

არბიტრი: კრეიგ ტომსონი (შოტლანდია)

ლეო მესიმ დეპორტივოსთან პრიმერადივიზიონში თავისი მე-15 ჰეთ-თრიკი შეასრულა, დღეს კი სელტიკს ემუქრება

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ბატე	2	2	0	0	6-2	6
2. ვალენსია	2	1	0	1	3-2	3
3. ბაიერნი	2	1	0	1	3-4	3
4. ლილი	2	0	0	2	1-5	0

G ჯგუფი

მესი შოტლანდიელების წინაღმდეგ

სპარტაკი–ბენფიკა 20:00

მოსკოვის „სპარტაკის“ საშინაო მატჩი ტრადიციულად ადრე, ჩვენი დროით საღამოს 8 საათზე დაიწყება. **ჯანო ანანიძის** გუნდი ლისაბონის „ბენფიკას“ მასპინძლობს და პირველ რიგში ის უნდა ვთქვათ, რომ წაგება უკვე ორივე გუნდს აკრძალული აქვს, რადგან რუსები ორი ტურის შემდეგ უქულოდ არიან, პორტუგალიელებს კი მხოლოდ ერთი ქულა აქვთ მოპოვებული. მოსკოველებს მეკარის სერიოზული პრობლემა აქვთ, რადგან პირველი მეკარე **დიკანი** ტრავმირებულია, დაშავებულია მისი შემცვლელი **პესიაკოვიც** და ამრიგად „სპარტაკის“ კარი რანგით მესამე მეკარემ, **რებროვმა** უნდა დაიცვას. **უნაი ემერის მაკგიდიც** დაუშავდა, რაც ანანიძის თამაშის შანსებს კი ზრდის, მაგრამ ჯანოს ძირითად შემადგენლობაში მაინც არ უნდა ველოდოთ.

სავარაუდო შემადგენლობები

სპარტაკი (4-2-3-1): დიკანი - მაკეევი, ბრიზგალოვი, სუხი, კომბაროვი - რაფაელი, კალსტრიომი - ხურადო, არი, ბილიალეტდინოვი - ველიტონი.

ბენფიკა (4-3-2-1): მორაესი - პერეირა, ჟარდელი, გარაი, მელგარეხო - სალვიო, მატიჩი, მარტინსი - აიმარი, გაიტანი - კარდოსო.

არბიტრი: მარკ კლატენბურგი (ინგლისი)

ბარსელონა–სელტიკი 22:45

„ბარსამ“ ორივე თამაში მოიგო - კატალონიელები მშვიდად არიან და ჩემპიონთა ლიგის თასისკენ მიმავალ გზაზე მათი მორიგი მეტოქე გლაზგოს „სელტიკია“. ფაქტია, რომ შოტლანდიური გრანდი ესპანურს ღრმა დაცვაში ჩაუდგება და წესით, **ლეო მესის** და კომპანიას არც ამ ზღუდის გარღვევა უნდა გაუჭირდეთ. პრიმერადივიზიონის მორიგ ტურში კატალონიელებმა „დეპორტივო“ უხვგოლიან მატჩში 5:4 დაამარცხეს, მესიმ კი ესპანეთის ჩემპიონატში თავისი მე-15 ჰეთთრიკი შეასრულა.

სავარაუდო შემადგენლობები

ბარსელონა (4-3-3): ვალდესი - მონტოია, სონგი, მასკერანო, ალბა - ფაბრეგასი, ჩავი, ინიესტა - ალექსის სანჩესი, მესი, ვილია.

სელტიკი (4-2-3-1): ფორსტერი - ლუსტიგი, ვილსონი, მულგრევი, ისაგირე - ვანიამა, ბრაუნი - ფორესტი, ლედლი, კომონსი - ჰუპერი.

არბიტრი: ჯანლუკა როკი (იტალია)

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ბარსელონა	2	2	0	0	5-2	6
2. სელტიკი	2	1	1	0	3-2	4
3. ბენფიკა	2	0	1	1	0-2	1
4. სპარტაკი	2	0	0	2	4-6	0

H ჯგუფი

გალათასარაი წნეხის ქვეშ

მანჩესტერ იუნ.–ბრაგა 22:45

„მანჩესტერ იუნაიტედი“ ჯგუფის სატურნირო ცხრილს ასპროცენტიანი შედეგით ლიდერობს და საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ **სერ ალექს ფერგიუსონის** შეგირდები არც „ბრაგასთან“ წააგებენ, რადგან „იუნაიტედი“ „ოლდ ტრაფორდზე“ პორტუგალიურ კუბთან არასდროს დამარცხებულა (8 მოგება, 3 ფრე). თუმცა „ბრაგა“ გასვლით მატჩებში საკმაოდ კარგად გამოიყურება - წინა ტურში „ბრაგამ“ „გალათასარაი“ მისსავე არენაზე 2:0 დაამარცხა. თანაც, „ბრაგას“ ინგლისურ კლუბებთან ხუთმატჩიანი წაუგებელი სერია აქვს.

სავარაუდო შემადგენლობები

მანჩესტერ იუნაიტედი (4-4-1-1): დე ხეა - რაფაელი, უოკონი, ევანსი, ბოუტნერი - ვალენსია, კერიკი, კლევერლი, იანგი - რუნი - ვან პერსი.

ბრაგა (4-2-3-1): ბეტუ - ბაიანო, დუგლაო, ვინისიუსი, ელდერსონი - კუშტოდიო, ვიანა - ალანი, მოსოროო, ბარბოზა - ედერი.

არბიტრი: მილორად მაჟიჩი (სერბეთი)

გალათასარაი–კლუჟი 22:45

„გალათასარაი“ კი უკვე ძალიან მძიმე მდგომარეობაშია - თურქეთის თავმოყვარე ჩემპიონმა და თურქული საკლუბო ფეხბურთის სიამაყემ ორივე თამაში ისე წააგო, რომ ერთი გოლიც კი არ გაუტანია. **ფათიჰ თერიმის** ბიჭები ახლა „კლუჟს“ მასპინძლობენ და თუ ჯგუფიდან გასვლის შანსის შენარჩუნება უნდა, აუცილებლად უნდა მოიგოს. „კლუჟს“ მთელი ყურადღება ჩემპიონთა ლიგისკენ აქვს მიმართული, რაც იმით დასტურდება, რომ რუმინეთის ჩემპიონატში მე-9 ადგილზეა, ჩემპიონთა ლიგაში კი უკვე მოასწრო ერთი თამაშის მოგება.

სავარაუდო შემადგენლობები

გალათასარაი (4-4-2): მუსლერა - ებუე, კაია, ნოუნეკო, რიერა - ამრაბატი, სელჩუკ ინანი, ფელიპე მელო, ჩოლაქი - ბ. ილმაზი, უმუთ ბულუთი.

კლუჟი (4-4-2): ფელგეირასი - სეპსი, კადუ, რადა, პინტუ - სოუგუ, აგირეგარაი, მურესანი, კამორა - ბასტოსი, კაპეტანოსი.

არბიტრი: პაოლო ტალიავენტო (იტალია)

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. მანჩესტერ იუნ.	2	2	0	0	3-1	6
2. კლუჟი	2	1	0	1	3-2	3
3. ბრაგა	2	1	0	1	2-2	3
4. გალათასარაი	2	0	0	2	0-3	0

გოტფრიდ ლენცი

ესპანეთი. ლა ლიგა. VIII ტური

სევილია–მალიორკა 3:2

სევილია (4-3-3): პალოპი – სისინიო, ფასიო, სპაჰიჩი, ფ. ნავარო – კამპანია (56. პეროტი), მადურო (77. კონდობია), რაკიტიჩი – ხესუს ნავასი, ნეგრედო, დელ მორალი (80. ერვასი).

მალიორკა (4-4-2): ავატე – ჩ. ნავარო, ჟერომელი, ა. კონსეისაო, ბიგასი – ვიქტორი, პინა (76. ალფარო), ფონტასი (82. მარტი), მ. პერეირა – ჰემედი, ჯოვანი დოს სანტოსი (59. არისმენდი).

გოლები: 0:1 ბიგასი (26), 1:1 ნეგრედო (29), 1:2 ჰემედი (30), 2:2 ნეგრედო (56), 3:2 სისინიო (74)

გაფრთხილება: სისინიო – პინა, ჩ. ნავარო

კუთხური: 15-1; **ჯარიმა:** 7-11; **თამაშგარე:** 2-1; **კარში დარტყმა:** 19-3 (9-2); **ბურთის ფლობა:** 68%-32%.

მაყურებელი: 30 000

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ბარსელონა	8	7	1	0	24-11	22
2. ატლეტიკო	8	7	1	0	19-8	22
3. მალაგა	8	5	2	1	13-5	17
4. რეალი	8	4	2	2	16-7	14
5. სევილია	8	4	2	2	11-9	14
6. ბეტისი	8	4	1	3	12-13	13
7. ლევანტე	8	4	1	3	9-13	13
8. მალიორკა	8	3	2	3	10-9	11
9. ვალენსია	8	3	2	3	11-11	11
10. ვალიადოლიდი	8	3	1	4	12-9	10
11. ხეტაფე	8	3	1	4	8-11	10
12. ვალეკანო	8	3	1	4	11-17	10
13. სელტა	8	3	0	5	9-10	9
14. სარაგოსა	8	3	0	5	7-10	9
15. სოსიედადი	8	3	0	5	8-12	9
16. გრანადა	8	2	2	4	7-12	8
17. ბილბაო	8	2	2	4	11-17	8
18. დეპორტივო	8	1	3	4	13-19	6
19. ესპანიოლი	8	1	2	5	11-15	5
20. ოსასუნა	8	1	2	5	7-11	5

უცხოური ფეხბურთი

● ბრაზილია. სერია A. XXXII ტური.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ატლეტიკომ სხვაობა შეამცირა

პალმეირასი-კრუზეირო 2:0
გოლები: 1:0 ბარკოსი (67), 2:0 ბარკოსი (77).

კორინთიანსი-ბაია 1:1
გოლები: 1:0 დუგლასი (12-პენ), 1:1 ფაელი (33).

გრემიო-კორიტიბა 0:0

ფლამენგო-სან პაულო 1:0
გოლი: 1:0 მარკოს გონსალესი (71).

ატლ. მინეირო-ფლუმინენსე 3:2
გოლები: 0:1 ველინგტონ ნემი (56), 1:1 ჟო (69), 2:1 ჟო (82), 2:2 ფრედი (85), 3:2 ლეონარდო სილვა (90).

ნაუტიკო-პორტუგეზა 0:0

პონტე პრეტა-სანტოსი 1:0
გოლი: 1:0 ლუანი (13).

ატლ. გოიან.-სპორტ რესიფე 0:1
გოლი: 0:1 უგო (49).

ვასკო-ინტერნასიონალი 24.10

ფიგეირენსე-ბოტაფოგო 24.10

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ფლუმინენსე	32	20	9	3	53-24	69
2. ატლ. მინეირო	32	18	9	5	54-28	63
3. გრემიო	32	17	8	7	46-27	59
4. სან პაულო	32	17	4	11	48-30	55
5. ვასკო და გამა	31	14	8	9	38-34	50
6. ინტერნასიონ.	31	11	12	8	40-30	45
7. ბოტაფოგო	31	12	8	11	45-41	44
8. კორინთიანსი	32	11	11	10	39-34	44
9. კრუზეირო	32	12	7	13	38-41	43
10. კორიტიბა	32	12	6	14	45-49	42
11. სანტოსი	32	10	12	10	39-40	42
12. ნაუტიკო	32	12	5	15	38-47	41
13. პონტე პრეტა	32	10	10	12	35-42	40
14. ფლამენგო	32	10	10	12	32-41	40
15. პორტუგეზა	32	9	12	11	35-35	39
16. ბაია	32	8	12	12	31-36	36
17. სპორტი	32	8	9	15	30-49	33
18. პალმეირასი	32	9	5	18	31-41	32
19. ფიგეირენსე	31	7	7	17	36-59	28
20. ატლ. გოიანიენსე	32	5	8	19	31-56	23

ბომბარდირები: 16 – ფრედი (ფლუმინენსე); 15 – ლუიზ ფაბიანო (სან პაულო); 14 – ბრუნო მინეირო (პორტუგეზა); 12 – ალოიზიო (ფიგეირენსე), კიეზა (ნაუტიკო)

ინტრიგა ცოცხალია

ლიდერების მატჩმა ბოლომდე გაამართლა გულშემატკივართა მოლოდინი. შეხვედრა ძალიან სანახაობრივი, დაძაბული, უხვგოლიანი და რაც მთავარია, დრამატული გამოდგა - ზუსტად ისეთი, როგორიც ლიდერების შეხვედრა უნდა ყოფილიყო. მორიგი ბრწყინვალე მატჩი ჩაატარეს **რონალდინიომ** და **ფრედმა**. "გაუჩერებელმა" ორი საგოლე პასი მიითვალა, ხოლო "ფლუს" ფორვარდმა გოლი და საგოლე გადაცემა ჩაიწერა აქტივში.

ორივე გუნდი იდეალური შემადგენლობით იყო გამოსული, დანაკლისი პრაქტიკულად არც ერთს ჰქონდა და არც მეორეს. შეხვედრის პირველ ტაიმში "ატლეტიკო" უპირატესობას ფლობდა, მომენტსაც უხვად ქმნიდა, მაგრამ ვერ იყენებდა. "ფლუს" მხრიდან **დეკუ** და **ტიაგო ნევეში** აქტიურობდნენ, თუმცა სტუმრებს მეტოქის ნახევარზე ხეირიანად გადასვლა უჭირდათ.

ამ ყველაფრის ფონზე, მეორე ტაიმის დასაწყისში **ველინგტონ ნემის** გოლი ძალიან ალოგიკური იყო. 20 წლის ფორვარდმა, ფრედის გადაცემა მიიღო და 56-ე წუთზე საკუთარი გუნდი დაანინაურა. აქამდეც არაერთხელ მომხდარა, რომ "ფლუ" მეტოქეს ვერაფრით სჯობდა, მაგრამ მატჩებს იგებდა. როგორც ადრე ბევრჯერ აღვნიშნეთ, ეს საჩემპიონოდ გამზადებულ გუნდებს ახასიათებთ...

ამჯერად **აბელ ბრაგას** გუნდს აღარ გაუმართლა, რადგან გაშვებულმა გოლმა მასპინძლებზე კარგად იმოქმედა. 69-ე წუთზე რონალდინიომ შესანიშნავი რეიდი წამოიწყო და დასარტყმელ პოზიციაზე ერთბაშად ორი პარტნიორი დატოვა, მასპინძელთა საბედნიეროდ, **ჟომ** და **ბერნარდმა** ერთმანეთს ხელი არ შეუშალეს, ახალგაზრდა ფორვარდმა გამოცდილს დაუთმო და არც უნანია – ანგარიში გათანაბრდა, 1:1. ზუსტად 13 წუთში კი ბერნარდმა უკვე საგოლე პასი გაუკეთა ჟოს, რომელმაც მიმდინარე სერია A-ში თავისი მე-10 გოლი გაიტანა.

"ატლეტიკო" მეტოქეს მთელი მატჩის განმავლობაში სჯობდა და დამსახურებულად დაწინაურების შემდეგ, ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ უპირატესობა დაეთმო, მაგრამ "ფლუს" ჰყავს ფრედი... 30 წლის თავდამსხმელმა, შეხვედრის დამთავრებამდე 5 წუთით ადრე, ჩემპიონატში მე-16 გოლი გაიტანა და პირველობის ინტრიგა საფრთხის ქვეშ დააყენა. მატჩის ფრედ დასრულების შემთხვევაში, გუნდებს შორის სხვაობა ისევ 9 ქულა იქნებოდა, ხოლო ტურნირის დამთავრებამდე 6 ტურით ადრე, ამხელა უპირატესობის გამნიავებელი

ჟომ ლიდერთან დუბლი შეასრულა

ლიც გავიტანეთ. *ამის შემდეგ კი რაღაც დაგვემართა, არადა ჯერ კიდევ 0:1-ზე მეორე ბურთის გატანა და შეხვედრის დასრულება შეგვეძლო. ძალიან სამწუხაროა, რომ ბოლო წამებზე, რონალდინიოს გენიის წყალობით დავმარცხდით, მაგრამ ვფიქრობ, დიდად არაფერი შეცვლილა, რადგან ისევ ლიდერები ვართ და სათამაშო კიდევ 6 ტურია".*

ბრაგასგან განსხვავებით, ძალიან ბედნიერი იყო "ატლეტიკოს" მთავარი მწვრთნელი **კუკა**: *"შესანიშნავი მატჩი გამოდგა, რომელიც საჩემპიონო შეხვედრის ყველა ინგრედიენტს შეიცავდა. ჩვენ უძლიერესი მეტოქის წინააღმდეგ ძალიან კარგად ვითამაშეთ, გასაკუთრებით პირველ ტაიმში. ვფიქრობ, რომ ეს, ამ სეზონში, "ატლეტიკოს" საუკეთესო თამაში იყო. წინ კიდევ ექვსი რთული მატჩი გველის, მაგრამ ჩვენ იმედიანად ვართ და ჩემპიონობისთვის ბრძოლას ბოლომდე ვაპირებთ".*

აქვე ვთქვათ ისიც, რომ რბოლას საბოლოოდ ჩამოშორდა "გრემიო", რომელმაც შინ "კორიტიბას" ვერ მოუგო, არადა ეს უკანასკნელი, მთელი ბრაზილიის მასშტაბით, სტუმრად ერთ-ერთი ყველაზე სუსტი გუნდია. წინა ტურში, "ფლუსთან" ნათამაშები ფრის შემდეგ, **ვანდერლეი ლუშემბურგომ** მეტოქეს ჩემპიონობა წინასწარ მიუღოცა და როგორც ჩანს, მწვრთნელის ეს განცხადება, "გრემიოს" ფეხბურთელთა განწყობაზეც აისახა, რადგან მასპინძლები მთელი მატჩის განმავლობაში ძალიან ინერტული იყვნენ და მოედანზე უბრალოდ დადიოდნენ.

პალმეირასის ზედიზედ მეორე

32-ე ტური შაბათს, ბრაზილიური ფეხბურთის ორი გრანდის, "პალმეირასის" და "კრუზეიროს" მატჩით გაიხსნა. "პალმეირასმა" წინა ტურში კონკურენტი "ბაია" დაამარცხა და ლიგაში ადგილის შენარჩუნების შანსი დაიტოვა. იმისთვის, რომ ეს შანსი მიზერული არ გამხდარიყო, **ჟილსონ კლეინას** ბიჭებს, "კრუზეირო" უნდა დაემარცხებინათ. საბოლოოდ ორი "პალესტრა იტალიის" (დაარსებისას ორივე გუნდს ეს სახელი ერქვა) ჯგუფში მოიგო იმან, ვისაც ქულები უფრო მეტად სჭირდებოდა. შეხვედრის გმირი **ერნან ბარკოსი** გახდა, რომელიც სან პაულოს გუნდს არგენტინის ნაკრებში ჩატარებული 2 მატჩის შემდეგ დაუბრუნდა და უმალ დუბლი გაიფორმა. ახლა ბარკოსის ანგარიშზე 11 გოლია და ის ბომბარდირთა დავაში **ვაგნერ ლავს** წამოეწია, რომელმაც ამ ტურში გოლი ვერ გაიტანა, მაგრამ მისმა "ფლამენგომ" ამის გარეშეც მოიგო...

"ფლას" მეტოქე შესანიშნავ ფორმაში მყოფი "სან პაულო" იყო. **ნეი ფრანკოს** შეგირდებს ზედიზედ 4 მოგება ჰქონდათ და თავს 7-მატჩიანი დაუმარცხებელი სერიით იწონებდნენ. ფავორიტი, მიუხედავად იმისა, რომ სტუმრად თამაშობდა, სწორედ "სან პაულო" გახლდათ და 30-ე წუთზე სტუმრებმა გოლის გატანის შესანიშნავი შანსიც მიიღეს, თუმცა გუნდის საუკეთესო ბომბარდირმა **ლუიშ ფაბიანომ** პენალტი ვერ გამოიყენა. "სან პაულო", ამის გამო მეორე ტაიმში დაისაჯა: "ფლას" ჩილელმა ცენტრალურმა მცველმა **მარკოს გონსალესმა**, 17 წლის **ადრიანის** პასით ისარგებლა და ბრაზილიის ჩემპიონატში პირველი გოლი გაიტანა, ეს ძალიან მნიშვნელოვანი გამოდგა, რადგან ამ მოგების წყალობით მისმა გუნდმა 40 ქულა მოაგროვა და "სპორტ რესიფე"-"პალმეირასის" დუეტს მიახლოვების საშუალება არ მისცა.

● ამბები

ჟინიაკი 6 ყვირით

ანდრე-პიერ ჟინიაკმა "ტრუასთან" მატჩის 23-ე წუთზე ტრავმა მიიღო და მოედნის დატოვებამ მოუწია. თამაშის შემდეგ გაირკვა, რომ ფორვარდს დაახლოებით 6 კვირა გაუცდება, რაც "მარსელისთვის" ძალიან დიდი დანაკლისი იქნება, ჟინიაკი ხომ შესანიშნავ ფორმაში გახლდათ. 26 წლის ფორვარდი იმედგაცრუებულია, მაგრამ ცდილობს იხტიბარი არ გაიტეხოს: *"კიდევ ერთხელ არ გამიმართლა და მორიგი ტრავმა მივიღე, თანაც დღეს დავმარცხდით და ამის გამო ორმაგად იმედგაცრუებული ვარ"* – განუცხადა ჟინიაკმა საკლუბო ტელეარხს, ხოლო საკუთარ ტვიტერზე კი დანერა: *"მე სულით მებრძოლი ადამიანი ვარ და უფრო ძლიერი დავბრუნდები. უარესებიც მინახავს".*

სახოს და ნენეს გარეშე

"პარი სენ ჟერმენი" ზავრებში გაემგზავრა, სადაც ხვალ ჩემპიონთა ლიგის მესამე ტურის მატჩში, "დინამოს" დაუპირისპირდება. პარიზელებს ზავრებში ნენე და **მამადუ სახო** არ გაჰყვნენ, ვინაიდან მათ "რეიმსთან" შეხვედრაში ტრავმები მიიღეს. 31 წლის ბრაზილიელმა ყვრიმალი დაიზიანა და მოედანი პირველი ტაიმის შემდეგ დატოვა, ხოლო სახო **კარლო ანჩელოტიმ** 78-ე წუთზე შეცვალა. ამ ორი ფეხბურთელის გარდა, ანჩელოტის ზავრებში ასევე **კლემან შანტომი, ესეკილ ლავეცი, დიეგო ლუგანო** და **ტიაგო მოტა** არ წაუყვანია, ასე რომ, როგორც ხედავთ, ჯსუ-ს საკმაოდ სერიოზული დანაკლისი აქვს.

მარკო ბაშა საეჭვოა

"ლილს" მიუნხენის "ბაიერნთან" შეხვედრაში შესაძლოა **მარკო ბაშა** არ ჰყავდეს. 29 წლის ჩერნოგორიელმა მცველმა, "ბორდოსთან" შეხვედრის უკანასკნელ წუთზე გაიტანა გოლი და საკუთარი გუნდი მარცხისგან იხსნა, თუმცა ამავე დროს ცხვირი გაიტეხა და ახლა ჩემპიონთა ლიგაში მისი თამაში ძალიან საეჭვოა. ეს ვერ იქნება კარგი ამბავი **რუდი გარსიასთვის**, რომელსაც მესამე ტურში, ასევე **მატიო დებუშის** (დისკვალიფიკაცია), **იდრისა გეიეს** (საზარდული) და **რიო მავუბას** (მენისკი) იმედი არ ექნება.

გვერდი მოამზადა
ტატო ბაციკაძემ

● არგენტინა. ტორნეო ინისიალი. XI ტური.

თითქმის უგოლო ტური

10 შეხვედრაში სულ 12 გოლი გავიდა

არსენალი-კოლონი 2:0
გოლები: 1:0 ლისანდრო ლოპესი (45), 2:0 ხ. ორტისი (90).

არ. ხუნიორსი-ინდეპენდ. 0:1
გოლი: 0:1 ველასკესი (67).

ოლ ბოისი-ბელგრანო 1:0
გოლი: 1:0 მატოსი (66).

უნიონი-სან მარტინი 1:2
გოლები: 0:1 ბოგადო (38), 0:2 ოსორიო ბოტელიო (45), 1:2 ლანდა (90-საკ. კარში).

ტიგრე-ველესი 0:1
გოლი: 0:1 ა. კაბრალი (84).

კილმესი-რივერი 1:0
გოლი: 1:0 კაუტერუკიო (60).

ატლ. რაფაელა-ლანუსი 1:2
გოლები: 0:1 გოლტცი (40), 0:2 კ. არაუხო (76), 1:2 გრაცინი (77).

რასინგი-ნიუელსი 0:0

გოდოი-სან ლორენსო 0:0

ბოკა-ესტუდიანტესი 0:0

ამერიკო გალიეგომ "ინდეპენდიენტე" აზრზე მოიყვანა

ბომბარდირები: 6 – ბორგელიო (ოლ ბოისი), კაუტერუკიო (კილმესი), სკოკო (ნიუელსი); 5 – კარინიანო (ატლეტიკო რაფაელა), როხელიო ფუნეს მორი (რივერ პლეიტი), ოსორიო ბოტელიო (სან მარტინი).

საარელიგაციო ცხრილი:

	თ	ქ	სამ.
15. ატლ. რაფაელა	49	63	1.286
16. კილმესი	11	14	1.273
17. სან მარტინი	49	61	1.245
18. ინდეპენდიენტე	87	103	1.184
19. სან ლორენსო	87	102	1.172
20. უნიონი	49	53	1.082

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ნიუელსი	11	6	5	0	11-4	23
2. რასინგი	11	6	3	2	15-5	21
3. ველესი	11	6	2	3	15-9	20
4. ბელგრანო	11	5	4	2	13-8	19
5. ბოკა	11	5	3	3	14-14	18
6. ლანუსი	11	5	2	4	12-7	17
7. ესტუდიანტესი	11	5	2	4	9-9	17
8. გოდოი კრუსი	11	5	2	4	9-12	17
9. რივერი	11	4	3	4	19-12	15
10. კოლონი	11	4	3	4	15-15	15
11. არსენალი	11	4	3	4	9-14	15
12. კილმესი	11	3	5	3	11-12	14
13. სან მარტინი	11	4	1	6	15-15	13
14. ატლ. რაფაელა	11	3	4	4	14-14	13
15. ოლ ბოისი	11	3	4	4	14-15	13
16. ინდეპენდიენტე	11	3	4	4	9-11	13
17. არ. ხუნიორსი	11	3	4	4	13-18	13
18. სან ლორენსო	11	2	5	4	6-11	11
19. ტიგრე	11	0	6	5	9-17	6
20. უნიონი	11	0	3	8	9-19	3

ამ ტურში, ბრაზილიის მსგავსად, არგენტინაშიც ლიდერთა დაპირისპირება უნდა გამართულიყო - მეორე ადგილზე მყოფი "რასინგი", ჯერ კიდევ დაუმარცხებელ "ნიუელს ოლდ ბოისს" მასპინძლობდა. განსხვავებით სერია A-სგან, არგენტინის ჩემპიონატის ლიდერთა მატჩი მოსაწყენი გამოდგა.

მასპინძელთა თავკაცმა **ლუის სუბელდიამ** ძირითადში არც **მაურო კამორანეზი** დააყენა და არც **ხოსე სანდი**, სტუმრებს კი ტრავმების გამო **მაქსი როდრიგესი** და **მაურისიო სპერდუტი** არ ჰყავდათ. მატჩი ორივე გუნდისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო, შესაბამისად ეს ფეხბურთელთა მოქმედებებზეც აისახა: ბევრი იყო ბრძოლა და უხეშობა, რაც საბოლოოდ უამრავ ყვითელ ბარათში გამოისახა. **ხერარდო მარტინო** მოპოვებული ქულით უკმაყოფილი არ დარჩენილა – მისი გუნდი კვლავ დაუმარცხებელია და რაც უფრო მნიშვნელოვანია, ისევ ლიდერობს.

"რასინგმა" მეორე პოზიცია შეინარჩუნა, რადგან მისმა კონკურენტმა "ბელგრანომ" სტუმრად "ოლ ბოისთან" წააგო და 5-მატჩიანი წაუგებელი სერია შეწყვიტა. მესამე ადგილზე კი "ველესი" გადავიდა, რომელმაც სტუმრად "ტიგრეს", ბოლო წუთებზე გატანილი გოლით მოუგო, არადა სტუმრები, 69-ე წუთიდან მოყოლებული, კაცნაკლულნი იყვნენ, თუმცა **როდოლფო არუაბარენას** "ტიგრემ" ვერც ამით ისარგებლა და "ველესის" "კრუზეირო" უნდა დაემარცხებინათ. საბოლოოდ ორი "პალესტრა იტალიის" (დაარსებისას ორივე გუნდს ეს სახელი ერქვა) ჯგუფში მოიგო იმან, ვისაც ქულები უფრო მეტად სჭირდებოდა. შეხვედრის გმირი **ერნან ბარკოსი** გახდა, რომელიც სან პაულოს გუნდს არგენტინის ნაკრებში ჩატარებული 2 მატჩის შემდეგ დაუბრუნდა და უმალ დუბლი გაიფორმა. ახლა ბარკოსის ანგარიშზე 11 გოლია და ის ბომბარდირთა დავაში **ვაგნერ ლავს** წამოეწია, რომელმაც ამ ტურში გოლი ვერ გაიტანა, მაგრამ მისმა "ფლამენგომ" ამის გარეშეც მოიგო...

"ფლას" მეტოქე შესანიშნავ ფორმაში მყოფი "სან პაულო" იყო. **ნეი ფრანკოს** შეგირდებს ზედიზედ 4 მოგება ჰქონდათ და თავს 7-მატჩიანი დაუმარცხებელი სერიით იწონებდნენ. ფავორიტი, მიუხედავად იმისა, რომ სტუმრად თამაშობდა, სწორედ "სან პაულო" გახლდათ და 30-ე წუთზე სტუმრებმა გოლის გატანის შესანიშნავი შანსიც მიიღეს, თუმცა გუნდის საუკეთესო ბომბარდირმა **ლუიშ ფაბიანომ** პენალტი ვერ გამოიყენა. "სან პაულო", ამის გამო მეორე ტაიმში დაისაჯა: "ფლას" ჩილელმა ცენტრალურმა მცველმა **მარკოს გონსალესმა**, 17 წლის **ადრიანის** პასით ისარგებლა და ბრაზილიის ჩემპიონატში პირველი გოლი გაიტანა, ეს ძალიან მნიშვნელოვანი გამოდგა, რადგან ამ მოგების წყალობით მისმა გუნდმა 40 ქულა მოაგროვა და "სპორტ რესიფე"-"პალმეირასის" დუეტს მიახლოვების საშუალება არ მისცა.

● ამბები

ჟინიაკი 6 ყვირით

ანდრე-პიერ ჟინიაკმა "ტრუასთან" მატჩის 23-ე წუთზე ტრავმა მიიღო და მოედნის დატოვებამ მოუწია. თამაშის შემდეგ გაირკვა, რომ ფორვარდს დაახლოებით 6 კვირა გაუცდება, რაც "მარსელისთვის" ძალიან დიდი დანაკლისი იქნება, ჟინიაკი ხომ შესანიშნავ ფორმაში გახლდათ. 26 წლის ფორვარდი იმედგაცრუებულია, მაგრამ ცდილობს იხტიბარი არ გაიტეხოს: *"კიდევ ერთხელ არ გამიმართლა და მორიგი ტრავმა მივიღე, თანაც დღეს დავმარცხდით და ამის გამო ორმაგად იმედგაცრუებული ვარ"* – განუცხადა ჟინიაკმა საკლუბო ტელეარხს, ხოლო საკუთარ ტვიტერზე კი დანერა: *"მე სულით მებრძოლი ადამიანი ვარ და უფრო ძლიერი დავბრუნდები. უარესებიც მინახავს".*

სახოს და ნენეს გარეშე

"პარი სენ ჟერმენი" ზავრებში გაემგზავრა, სადაც ხვალ ჩემპიონთა ლიგის მესამე ტურის მატჩში, "დინამოს" დაუპირისპირდება. პარიზელებს ზავრებში ნენე და **მამადუ სახო** არ გაჰყვნენ, ვინაიდან მათ "რეიმსთან" შეხვედრაში ტრავმები მიიღეს. 31 წლის ბრაზილიელმა ყვრიმალი დაიზიანა და მოედანი პირველი ტაიმის შემდეგ დატოვა, ხოლო სახო **კარლო ანჩელოტიმ** 78-ე წუთზე შეცვალა. ამ ორი ფეხბურთელის გარდა, ანჩელოტის ზავრებში ასევე **კლემან შანტომი, ესეკილ ლავეცი, დიეგო ლუგანო** და **ტიაგო მოტა** არ წაუყვანია, ასე რომ, როგორც ხედავთ, ჯსუ-ს საკმაოდ სერიოზული დანაკლისი აქვს.

მარკო ბაშა საეჭვოა

"ლილს" მიუნხენის "ბაიერნთან" შეხვედრაში შესაძლოა **მარკო ბაშა** არ ჰყავდეს. 29 წლის ჩერნოგორიელმა მცველმა, "ბორდოსთან" შეხვედრის უკანასკნელ წუთზე გაიტანა გოლი და საკუთარი გუნდი მარცხისგან იხსნა, თუმცა ამავე დროს ცხვირი გაიტეხა და ახლა ჩემპიონთა ლიგაში მისი თამაში ძალიან საეჭვოა. ეს ვერ იქნება კარგი ამბავი **რუდი გარსიასთვის**, რომელსაც მესამე ტურში, ასევე **მატიო დებუშის** (დისკვალიფიკაცია), **იდრისა გეიეს** (საზარდული) და **რიო მავუბას** (მენისკი) იმედი არ ექნება.

გვერდი მოამზადა
ტატო ბაციკაძემ

ჩემპიონსლიგა. VIII ტურის შეჯამება

ჩელსის გულშემატკივრებს ოს კარის, მატასა და აზარის დიდი იმედი აქვთ

ლონდონელთა დიდი სამეული

პრემიერლიგის VIII ტურის უმთავრესი მოვლენა "უაით ჰართ ლეინზე" გამართული ლონდონური დერბი იყო, რომელშიც "ჩელსიმ" "ტოტენჰემს" მასტერკლასი ჩაუტარა. თავიდანვე ცხადი იყო, რომ გუნდების მთავარი მწვრთნელებისთვის ეს დაპირისპირება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნებოდა. **რობერტო დი მატეოს** უნდა დაემტკიცებინა, რომ **ანდრე ვილაშ ბოაშის** დათხოვნის შემდეგ ამბიციური გუნდის მთავარი მწვრთნელობა ტყუილად არ მიანდეს. პორტუგალიელს კი ყოფილ გუნდზე შური უნდა ეძია, მიუხედავად იმისა, რომ მატჩამდე მსგავს განწყობას კატეგორიულად უარყოფდა.

ვილაშ ბოაშს პრობლემები ჯერ კიდევ თამაშამდე დაეწყო. **გარეთ ბეილის** მეგობარ გოგონას სწორედ თამაშის დღეს დაეწყო მშობიარობა. ცხადი გახდა, რომ უელსელი ვერ ითამაშებდა. ბეილის გარდა გუნდს **მუსა დემბელეც** გამოაკლდა. ამ უკანასკნელმა კუნთი დაიჭიმა. იმის გათვალისწინებით, რომ კაპიტანი **სკოტ პარკერიც** დიდი ხანია ვერ თამაშობს, "დეზების" ძირითადში **სანდრო** და **ტომას ჰადლსტოუნი** გამოჩნდნენ, რომელთაც **ხუან მატას, ოსკარისა** და **ედენ აზარის** შეტევები უნდა შეეჩერებინათ. ამოცანა თავიდანვე წარუმატებლობისთვის იყო განწირული. ეს ასეც მოხდა, მიუხედავად იმისა, რომ მეორე ტაიმის 10-12 წუთის განმავლობაში მასპინძლებმა შეძლეს მრისხანე მეტოქისთვის არათუ ცენტრი წაერთმიათ, არამედ ორი გოლიც კი გაეტანათ. მატას დუბლმა და საგოლე გადაცემამ ყველაფერს თავისი ადგილი მიუჩინა. მიმდინარე სეზონში ლონდონელების წარმატების უპირველესი წინა პირობა სწორედ მათი ნახევარდაცვა უნდა იყოს. არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ დი მატეოს დიდი სამეული ამოუწურავ პოტენციალს ფლობს.

ბომბარდირები

6 - **დემბა ბა** (ნიუკასლი), **მიგელ მიჩუ** (სუონსი), **რობინ ვან პერსი** (მანჩესტერ იუნაიტედი).

5 – **ედინ ჯეკო** (მანჩესტერ სიტი), **სტივენ ფლეტჩერი** (სანდერლენდი), **ჯერმეინ დეფო** (ტოტენჰემი), **ლუის სუარესი** (ლივერპული).

4 - **პიტერ კრაუჩი** (სტოკ სიტი), **კევინ ნოლანი** (ვესტ ჰემი), **რიკი ლამბერტი** (საუთჰემპტონი), **ნიკიცა იელავიჩი** (ევერტონი), **ფერნანდო ტორესი** (ჩელსი).

ასისტენტები

5 - **ხუან მატა** (ჩელსი), **ედენ აზარი** (ჩელსი).

4 - **ადამ ლალანა** (საუთჰემპტონი), **უეინ რუტლეჯი** (სუონსი), **უეინ რუნი** (მანჩესტერ იუნაიტედი).

3 - **ბრაიან რუისი** (ფულჰემი), **ჯობი მაკანუფი** (რედინგი) **სტივენ პიენაარი** (ტოტენჰემი), **ჯონათან დე გუზმანი** (სუონსი), **კარლოს ტევესი** (მანჩესტერ სიტი), **რობინ ვან პერსი** (მანჩესტერ იუნაიტედი).

გოლი+პასი

9 - **რობინ ვან პერსი** (მანჩესტერ იუნაიტედი) - 6+3.

8 - **ხუან მატა** (ჩელსი) – 3+5.

7 - **მიგელ მიჩუ** (სუონსი) 6+1, **ჯერმეინ დეფო** (ტოტენჰემი) – 5+2, **ლუის სუარესი** (ლივერპული) - 5+2, **ედენ აზარი** (ჩელსი) – 2+5.

6 - **დემბა ბა** (ნიუკასლი) – 6+0, **უეინ რუტლეჯი** (სუონსი) – 2+4, **ედინ ჯეკო** (მანჩესტერ სიტი) – 5+1, **კევინ ნოლანი** (ვესტ ჰემი) – 4+2, **კარლოს ტევესი** (მანჩესტერ სიტი) – 3+3, **უეინ რუნი** (მანჩესტერ იუნაიტედი) – 2+4.

გაფრთხილებები

4 – **ჯეიმს მაკარტური** (უიგანი), **ერიკ ლიშაი** (ასტონ ვილა), **პოლ სქოულზი** (მანჩესტერ იუნაიტედი), **კარიმ ელ-აჰმადი** (ასტონ ვილა), **ანხელ რანხელი** (სუონსი);

3 – **გაბრიელ ტამაში** (ვესტ ბრომვიჩი), **სამბა დიაკიტე** (ქუინზ პარკი), **იოს ჰოიველდი** (საუთჰემპტონი), **მორგან შნაიდერლინი** (საუთჰემპტონი), **რამირესი** (ჩელსი), **მარტინ შკრტელი** (ლივერპული), **ლუის სუარესი** (ლივერპული), **დინ უაიტჰედი** (სტოკ სიტი), **კრეიგ გარდნერი** (სანდერლენდი), **დავიდ ლუისი** (ჩელსი), **ჯეიმს პერჩი** (ნიუკასლი), **ფილ ნევილი** (ევერტონი), **ჯეიმს კოლინზი** (ვესტ ჰემი), **ხონას გუტიერესი** (ნიუკასლი), **მარუან ფელაინი** (ევერტონი), **უინსტონ რიდი** (ვესტ ჰემი), **მიგელ მიჩუ** (სუონსი);

გაძევება ორი ყვითლით

1 - **დინ უაიტჰედი** (სტოკ სიტი), **სამბა დიაკიტე** (ქუინზ პარკი), **ნათან დაიერი** (სუონსი), **სტივენ პიენაარი** (ევერტონი);

გაძევება

1 - **კირან კლარკი** (ასტონ ვილა), **ჯეიმს მილნერი** (მანჩესტერ სიტი), **შეიკ ტიოტე** (ნიუკასლი), **ჩიკო** (სუონსი), **ჯონჯო შელვი** (ლივერპული), **პიტერ ოდემვინგე** (ვესტ ბრომვიჩი), **ტომ ჰადლსტოუნი** (ტოტენჰემი), **დანიელ აგერი** (ლივერპული), **ხორდი გომესი** (უიგანი).

სეზონის 5 საუკეთესო ფეხბურთელი EA SPORTS-ის მიხედვით

1. **ხუან მატა (ჩელსი)**
2. **ფერნანდო ტორესი (ჩელსი)**
3. **ედენ აზარი (ჩელსი)**
4. **რობინ ვან პერსი (მანჩესტერ იუნ.)**
5. **ბრანისლავ ივანოვიჩი (ჩელსი)**

ზოგადი სტატისტიკა დღემდე

79 მატჩი
54 მოგება
25 ფრე
37 მშრალად შენახული კარები
235 გოლი
2.97 საშუალო შედეგიანობა
9 ავტოგოლი
1135 ზუსტი დარტყმა კარებში
902 აცილება
417 ფეხბურთელი
276 ლეგიონერი
69 ეროვნების მოთამაშე
2 ჰეთთრიკი
236 ყვითელი ბარათი
13 წითელი ბარათი
2 805 775 ფანი ტრიბუნებზე

ტურის გმირი

უეინ რუნიმ პრემიერლიგის კერკეტ კაკლად ცნობილ "სტოკ სიტისთან" ბრწყინვალედ ითამაშა. შეიძლება ვინმეს ცოტა ალოგიკურად მოეჩვენოს, რომ ტურის გმირად იმ ფეხბურთელს ვასახელებთ, ვინც საკუთარი კარი დალაშქრა, მაგრამ 27 წლის თავდამსხმელმა ავტოგოლის მერე ცოდვები სრულად გამოისყიდა. დუბლის გარდა მან **დენი უელბეკს** საგოლე გადაცემაც გაუკეთა. ეს ყველაფერი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, რომ მას რიგითი წარუმატებლობები ვერას აკლებს. აი, რა თქვა ფეხბურთელმა მატჩის შემდეგ: *"ასეთი რამ კარიერაში პირველად დამემართა. შოუკროსს ვაკვირდებოდი, მან მოულოდნელად ხელი მკრა, ბურთი მომხვდა და ბადეში გაეხვია. საბედნიეროდ, ჩემი შეცდომა თავად გამოვასწორე. არ დავნებდი. ერთი შეცდომის გამო არ ღირს ხელების ჩამოშვება. ამ შეხვედრაში სამ ქულას ნამდვილად ვიმსახურებდით".*

ტურის მწვრთნელი

რობერტო დი მატეომ ლონდონურ დერბიში ულაპარაკოდ დაჯაბნა ყოფილი "მასწავლებელი" **ანდრე ვილაშ ბოაში**. ვფიქრობთ, "ლურჯების" დარიგებელმა საბოლოოდ დაამტკიცა, რომ უმაღლესი დონის სპეციალისტია. *"წინ კიდევ 30 ტურია სათამაშო, ასე რომ, ჩემპიონობაზე ლაპარაკი ამ ეტაპზე ძალიან ადრეა. წარმატებული თამაში ჩვენში ძალების რწმენას აორმაგებს. გულწრფელად გეტყვით, ჩემმა გუნდმა იმაზე უკეთესი სტარტი აღარ ჩემპიონატში, ვიდრე ამას წარმოვიდგენდი,"* – განაცხადა დი მატეომ.

მომდევნო ტური

27 ოქტომბერი: ასტონ ვილა-ნორვიჩი, არსენალი-ქუინზ პარკი, რედინგი-ფულჰემი, სტოკ სიტი-სანდერლენდი, უიგანი-ვესტ ჰემი, მანჩესტერ სიტი-სუონსი

28 ოქტომბერი: ევერტონი-ლივერპული, ნიუკასლი-ვესტ ბრომვიჩი, საუთჰემპტონი-ტოტენჰემი, ჩელსი-მანჩესტერ იუნაიტედი

ამბები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლემპარდი და ამერიკა?



ფრენკ ლემპარდი

ბრიტანული პრესის ცნობით, **ეშლი კოულის** შემდეგ "ჩელსიდან" წასვლის გადაწყვეტილება **ფრენკ ლემპარდმაც** მიიღო, რადგან ვეტერანს ძალიან არ მოსწონს ერთი მხრივ ლონდონური გრანდის მმართველთა დამოკიდებულება მისდამი, როცა ერთწლიანზე ხანგრძლივ კონტრაქტზე უარს ეუბნებიან და მეორე მხრივ მთავარი მწვრთნელის მიერ მისთვის გამოყოფილი სათამაშო დრო. „დეილი მეილის" მტკიცებით, ფეხბურთელი იანვარში შესაძლოა ამერიკულ MLS-ში წავიდეს სათამაშოდ. ოკეანის გაღმა 34 წლის ვარსკვლავს **დევიდ ბექჰემის** "ლოს ანჯელეს გალაქსის" იწვევს და 2-წლიან თანამშრომლობას სთავაზობს.

დემბელეს ამოუცნობი ტრავმა

"ტოტენჰემის" 23 წლის ბელგიელმა ცენტრალურმა ნახევარმცველმა **მუსა დემბელემ** ბარძაყის ტრავმა "ჩელსისთან" მატჩის დაწყებამდე გაირთულა. ფეხი მას ეროვნული ნაკრების შეკრებაზეც ანუხებდა, მაგრამ დემბელემ სერბეთთან მოედანზე 90 წუთი გაატარა, შოტლანდიასთან კი პირველი ტაიმის დასრულებისთანავე შეცვალეს. ამ ეტაპზე სიტუაცია ბუნდოვანია. ექიმებს პასუხი არ აქვთ. *"ვერაფერს გეტყვით. მუსას კომპიუტერული ტომოგრაფია ჩაუტარდა, მართალია პრობლემის მიზეზს ვერ მივაკვლიეთ, მაგრამ ფაქტი ის არის, რომ მას ფეხი სტკივა. "ფულჰემის" ექიმების თქმით, მას ანალოგიური პრობლემა იანვარშიც ჰქონდა და ორ კვირაში დისკომფორტი თავისით გაქრა. ვნახოთ, რა იქნება ამჯერად,"* – აცხადებს ვილაშ ბოაში.

მანიუმ გადაიფიქრა, მაგრამ მოიფიქრა

"ტელეგრაფის" ინფორმაციით, **ალექს ფერგიუსონი რიო ფერდინანდს** ორი კვირის ხელფასით (220 ათასი ფუნტი) აღარ დააჯარიმებს, თუკი 33 წლის ფეხბურთელი მის არგუმენტებს გაიზიარებს და "სტოკ სიტისთან" შეხვედრამდე ჩადენილი საქციელისთვის პირადად მოუხდის ბოდიშს. შეგახსენებთ, რომ პრემიერლიგის VIII ტურის მატჩის დაწყებამდე რიომ ანტირასისტული შინაარსის წარწერიანი მოსასხამის ჩაცმაზე თქვა უარი და ამას იმით ხსნიდა, რომ საფეხბურთო ასოციაციის მიერ შექმნილმა დამოუკიდებელმა კომისიამ **ჯონ ტერი** არასათანადოდ დასაჯა მისი ძმის შეურაცხყოფისთვის. ამ გამოხდომის გამო სერ ალექსი შეგირდზე ძალიან იყო გაბრაზებული. ამას გარდა, "იუნაიტედი" ფეხბურთელს ვითარების განსამუხტად ხელშეკრულების 2014 წლამდე გახანგრძლივებას სთავაზობს, ოღონდ იმ პირობით, რომ მოქმედი ხელშეკრულების ვადით ის ძველ ანაზღაურებას მიიღებს, 2013-ის 1-ლი ივლისიდან კი 120 ათასის ნაცვლად კვირაში 70 ათას ფუნტს დასჯერდება. დათანხმდება თუ არა ფეხბურთელი შეთავაზებას, უცნობია. "იუნაიტედის" გარდა მასთან კონტრაქტის გაფორმებას "ვესტ ჰემი" და "ნიუ იორკ რედ ბულსი" ცდილობენ.

სტერლინგი ჰოჯსონის სიაში

ინგლისის ნაკრების მთავარი მწვრთნელის, **როი ჰოჯსონის** თქმით, ის მოხიბლულია **რაჰიმ სტერლინგის** ბოლოდროინდელი პროგრესით და ნოემბერში მას შეიდეთთან ამხანაგური მატჩისთვის შეკრებაზე აუცილებლად დაუძახებს. *"სკანდინავიელებთან ამხანაგური მატჩი გველის, რითაც აუცილებლად ვისარგებლებთ და შეკრებაზე ახალგაზრდა ფეხბურთელებს გამოვცდით. სტერლინგი ერთ-ერთი მათგანი იქნება. დარწმუნებული ვარ, რომ ის, ჯონსი, სმოლინგი და კოლკერი მომავალში სერიოზულ კონკურენციას გაუწევენ ნაკრების გამოცდილ ნევრებს,"* – განუცხადა 65 წლის სპეციალისტმა ჟურნალ "ფიფსს".

4 თვე ხულიგანს

"ლიდს იუნაიტედის" 21 წლის ვაიგულშემატკივარ **აარონ კოულის** შეფილდის სასამართლომ "შეფილდ იუნაიტედის" მეკარე **კრის კერკლანდზე** (მკითხველს ის შესაძლოა "ლივერპულიდან" ახსოვდეს) თავდასხმისთვის 4 თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. ინციდენტი 19 ოქტომბერს შეფილდის "ჰილსბოროზე" მატჩის 77-ე წუთზე მოხდა. ვერ გეტყვით, რამ დააკარგვინა წონასწორობა ახალგაზრდა კაცს, მაგრამ ფაქტია, რომ ის მოედანზე გადაიჭრა, კერკლანდს ჯერ სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა და მერე მუშტები დაუშინა. თავდასხმა იმდენად მოულოდნელი იყო, რომ სტიუარდებს ხულიგნის დაკავება არც უცდიათ. სტადიონიდან ის დაუბრკოლებლად გაიქცა, თუმცა პოლიციამ მისი აყვანა მავანი თვითმხილველის დახმარებით მაინც მალე მოახერხა.

გვერდი მოამზადა
ლევან გიგილაშვილმა

VIII ტურის სიმბოლური ნაკრები ლელოს ვერსიით

● გერმანია. ბუნდესლიგა. VIII ტურის შეჯამება

ერთგვარი ბიბლიოთეკა

ბაიერნი მეცხრე ცაზე, ვოლფსბურგი ქვესკნელში

იუპ ჰაინკესი: ამაზე უკეთეს ფეხბურთს ვერავინ ვერასდროს ითამაშებს!

ბავარიელებმა მერვე თამაშიც მოიგეს

„ბაიერნის“ გაჩერება, რასაკვირველია, ვერც დიუსელდორფის „ფორტუნამ“ შეძლო და რეკორდმაისტერმა მორიგი აბსოლუტური რეკორდი სრულყო. ფაქტია, რომ მიუნხენური გრანდი იუპ ჰაინკესის ხელში სრულყოფილ სეზონს ატარებს, კონკურენტები კი „ბაიერნს“ უკვე ჩემპიონობას ულოცავენ. საპირისპირო უკიდურესობაა „ვოლფსბურგში“: ფელიქს მაგათის გუნდი ბოლო ადგილამდე ჩამოქვეითდა, რაც ამბიციური და, რაც მთავარია, საკმაოდ მდიდარი კლუბისთვის კატასტროფის ტოლფასია, მაგრამ „დესპოტი ფელიქსი“ ამაში მხოლოდ თავის შეგირდებს ადანაშაულებს.

„ეს იყო საუკეთესო ფეხბურთი, რომელზე უკეთესსაც ვერავინ ვერასდროს ითამაშებს,“ - ასეთი ატესტატი მიანიჭა „ბაიერნის“ დამრიგებელმა **იუპ ჰაინკესმა** თავისი გუნდის დიუსელდორფში გასეირნებას (5:0). „ფორტუნას“ შეფმა **პეტერ ფრიმუთმა** კი რეკორდმაისტერს გერმანიის ჩემპიონობა მიულოცა - მას, ისევე, როგორც ბევრს გერმანიაში, ეჭვი არ ეპარება, რომ „ბაიერნი“ „ვერცხლის სინს“ აუცილებლად დაიბრუნებს. ამის გადაჭრით თქმა ჯერ, რა თქმა უნდა, ნაადრევია, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ჰაინკესის გუნდმა რვავე მატჩი იდეალურად ჩაატარა, ყველა მოიგო და შეუძლია, რომ ამიერიდან კონკურენტებთან კატა-თაგვობანა გააჩაღოს.

რვა ტურის შემდეგ „ბაიერნს“ ასპროცენტიანი შედეგი და 24 ქულა აქვს - იმდენი, რამდენიც მოქმედ ჩემპიონ დორტმუნდის „ბორუსიას“ და „ლევერკუზენს“ ერთად. მიუნხენურ გრანდს 26 გოლი აქვს გატანილი, საკუთარ კარში კი მხოლოდ ორი მიიღო, რაც იმას ნიშნავს, რომ ბავარიელებს საუკეთესო თავდასხმა და ყველაზე ძლიერი დაცვის ხაზი აქვთ. ამასთან, სანყისი რვა თამაშის მოგება ბუნდესლიგისთვის ყველა დროის საუკეთესო მაჩვენებელია, „ფორტუნასთან“ დაფიქსირებული 5:0 კი ბრწყინვალე საჩუქარი იყო ჰაინკესისთვის, რომლისთვისაც ეს გამარჯვება მწვრთნელის რანგში რიგით მე-300 გამოდგა (616 თამაშიდან). შედარებისთვის: ბუნდესლიგაში „დონ იუპზე“ მეტი თამაში მხოლოდ ერთ მწვრთნელს აქვს მოგებული - **ოტო რეჰაგელს**.

„რეკორდი ჩემთვის არაფერს ნიშნავს. რეკორდი მხოლოდ სტატისტიკისთვისაა საჭირო,“ - განაცხადა 67 წლის „დონ იუპმა“ მატჩის შემდეგ და ცხადია, არ იცის, კიდევ ერთ, არანაკლებ მნიშვნელოვან რეკორდს რომ უმიზნებს. საქმე იმაშია, რომ მიმდინარე და წინა სეზონების გადაბმით, „ბაიერნმა“ ზედიზედ 11 მატჩი მოიგო, რაც იმას ნიშნავს, რომ თავისივე რეკორდის გაუმჯობესების შანსი აქვს - 2005 წელს „დონ იუპმა“ ზედიზედ 15 თამაში მოიგო.

„ასეთ რეკორდებს ყოველთვის „ბაიერნი“ ამყარებს ხოლმე და იმედია, სერიას დიდხანს არ შევწყვეტთ. ეს ყველაფერი ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ უკვე გერმანიის ჩემპიონები ვართ, მაგრამ საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ამ სეზონში სერიოზულ წინააღმდეგობას ვერავინ გაგვიწევს,“ - ეს რეკორდმაისტერის კაპიტან **ფილიპ ლამის** სიტყვებია. ლამი და კომპანია დღეს ჩემპიონთა ლიგაში თამაშობენ - „ბაიერნი“ „ლილს“ სტუმრობს და ბატე-სთან წაგების შემდეგ ვალდებულია, მინიმუმ ერთი ქულა აიღოს.

მაგათი ბეჭებით მიწაზე

„ვოლფსბურგში“ ჩემპიონთა ლიგაზე აღარც ოცნებობენ - „მგლების“ თავკაც **ფელიქს მაგათს** სერიოზული პრობლემები აქვს. „ფრაიბურგთან“ საკუთარ მოედანზე სამარცხვინოდ (0:2) წაგების შემდეგ „ვოლფსბურგი“ ბოლო ადგილზე ჩამოქვეითდა, რაც ამ გუნდისთვის კატასტროფის ტოლფასია. ამბიციურმა „ვოლფსბურგმა“, რომლის მიზანი მინიმუმ ევროპალიგის საგზურის მოპოვება და მაქსიმუმ გერმანიის ჩემპიონობა უნდა ყოფილიყო, რვა ტურში მხოლოდ ერთი მატჩი მოიგო, ხუთი ქულა აქვს და „მგლებმა“ ოდენ ორი გოლის გატანა მოახერხეს, სამაგიეროდ, 15 გაუშვეს. რეკორდი „ვოლფსბურგმაც“ დაამყარა - ოღონდ, ანტირეკორდი: 6 სათამაშო საათზე მეტია, „მგლებს“ გოლი არ გაუტანიათ. ეს იმ დროს, როცა „ვოლფსბურგის“ რიგებში ჰოლანდიის გასული ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი **ბას დოსტი** თამაშობს.



ვოლფსბურგის მწვრთნელი ფელიქს მაგათი: წასვლის დროა?

მაგათის აზრით, ამ ყველაფერში დამნაშავეები მხოლოდ და მხოლოდ ფეხბურთელები არიან, თავის თავზე კი არაფერს იღებს. არადა, „დესპოტი ფელიქსი“ „ვოლფსბურგში“ არა მარტო მთავარი მწვრთნელი, არამედ მენეჯერიცაა და აკეთებს იმას, რაც უნდა, როგორც უნდა. სწორედ ფელიქსმა გადასცა სკამზე ბრაზილიელი გამთამაშებელი **დიეგო** და მის ნაცვლად ძირითად შემადგენლობაში ყველასათვის უცნობი **ფერჰან ჰასანი** გაამწესა. ეს უკანასკნელი ფლანგის ფეხბურთელია და როგორც ჩანს, მაგათს „ფრაიბურგთან“ წარმატების მიღწევა ფლანგებიდან ზეწოლით სურდა. ტაქტიკის შეცვლამ ისევ არ გაამართლა, ფელიქსმა კი აი, რა თქვა: *„ტაქტიკა არანაირად არ იყო ცუდი. პრობლემა ისაა, რომ ფეხბურთელებმა ვერ შეასრულეს ჩემი დავალებები.“*

ფანებს ფელიქსის დანახვაც აღარ უნდათ

„ვოლფსბურგის“ გულშემატკივრებმა მატჩის შემდეგ, რა თქმა უნდა, სტვენის „კონცერტი“ მოაწყვეს.

„ფანების რეაქცია ჩემთვის გასაგებია და სწორადაც იქცევიან, - თქვა 59 წლის მაგათმა, - *ჩვენ დღეს ბევრი რამ დავგეგმეთ, მაგრამ ბიჭებმა ვერაფერი გააკეთეს. წესით, „ფრაიბურგი“ პირველივე წუთებიდან უნდა დაგვეწნეხა, მაგრამ ვერც ეს შევძელით. იმ გულშემატკივრებს, რომლებმაც ჩემი გათავისუფლება მოითხოვეს, ვეტყვი: ეს არ მოხდება!“*

მოგვიანებით, გერმანიის ნაკრების ყოფილმა ფეხბურთელმა, დღესდღეობით სატელევიზიო ექსპერტმა **თომას ჰელმერმა** თქვა ის, რისი მოსმენაც „ვოლფსბურგის“ ფანებს ახლა ყველაზე მეტად სურდათ - ფაქტია, რომ „ვოლფსბურგისთვის“ ასე გაგრძელება აღარ შეიძლება, რაღაც უნდა მოხდეს, რაღაც უნდა შეიცვალოსო. ორიოდე დღის წინ „ვოლფსბურგის“ შეფებმა „დესპოტ ფელიქსს“ სრული ნდობა გამოუცხადეს და თქვეს, რომ მის გაგდებას არ აპირებენ, მაგრამ შაბათს ავტოკონცერნ „ფოლკსვაგენის“ მთავარმა ბოსმა **მარტინ ვინტერკორნმა** „ფოლკსვაგენ-არენა“ კომენტარის გარეშე დატოვა, რაც ჩვენს გერმანელ კოლეგებს სწორედ იმად ენიშნათ, რომ ვინტერკორნი მწვრთნელ-მენეჯერის შეცვლაზე დაფიქრდა.

საუკეთესო ფეხბურთელები

VIII ტურის შემდეგ, „კიკერის“ შეფასებების მიხედვით

ფეხბურთელი	კლუბი	შეფასება	ს/შ
1. რენე ადლერი	ჰამბურგი	8	1.81
2. ფრანკ რიბერი	ბაიერნი	5	1.90
3. თომას მიულერი	ბაიერნი	7	1.92
4. კევინ ტრაპი	აინტრახტი	8	2.25
5. ბასტიან შვაინშტაიგერი	ბაიერნი	8	2.29
6. აარონ ჰანტი	ვერდერი	8	2.38
7. უაგოლჩ ჰუშტი	ჰანოვერი	7	2.42
8. სებასტიან როდე	აინტრახტი	8	2.44
9. ილქაი გიუნდოგანი	ბორუსია (დ)	5	2.50
10. ტონი კროსი	ბაიერნი	8	2.57

გოლს პლუს პასის რეიტინგი

ფეხბურთელი	კლუბი	თამაში	გოლი	პასი	ქულა
1. თომას მიულერი	ბაიერნი	7	6	7	13
2. უაგოლჩ ჰუშტი	ჰანოვერი	7	3	7	10
3. მარიო მანჟუკიჩი	ბაიერნი	8	7	1	8
4. იაკუბ გლაშჩიკოვსკი	ბორუსია (დ)	7	3	3	6
5. ლუის ჰოლტბი	შალკე	8	3	3	6
6. ტაკაში ინუი	აინტრახტი	8	3	3	6
7. შტეფან კისლინგი	ლევერკუზენი	8	5	1	6
8. ალექსანდერ მაიერი	აინტრახტი	8	5	1	6
9. ბასტიან ოჩიპკა	აინტრახტი	8	0	6	6
10. მარკო როისი	ბორუსია (დ)	8	4	2	6

VIII ტურის გმირი

ფრანკ რიბერი (ბაიერნი, 2)

მარიო მანჟუკიჩმა ანგარიში რიბერის მოხდენილი ჩაწოდების შემდეგ გახსნა, თომას მიულერმა სხვაობა სამამდე ფრანგთან გათამაშების შემდეგ გაზარდა, რაფინიამ მატჩს წერტილი ასევე რიბერის იდეალური პასით დაუსვა. ერთ მატჩში სამი საგოლე გადაცემა უკვე სერიოზული მოვლენაა, მაგრამ ესეც რომ არ გაეკეთებინა, „ბაიერნის“ ფრანგ გარემარბს მაინც ტურის საუკეთესო ფეხბურთელად დავასახელებდით, რადგან რიბერიმ დიუსელდორფში სრულყოფილი ფეხბურთი ითამაშა. ამასთან, ფრანკი პირველი ფეხბურთელია ბუნდესლიგის მიმდინარე სეზონში, რომელმაც ტურის გმირის სტატუსი მეორედ (თანაც, ზედიზედ მეორედ) დაიმსახურა. ცხადია, რიბერი „კიკერმაც“ ტურის საუკეთესოდ აღიარა - სხვათა შორის, მეათედ და აქვე ვთქვათ, რომ მასზე ხშირად ეს სტატუსი მხოლოდ გერდ მიულერს, კარლ-ჰაინც რუმენიგეს (ორივე 12-ჯერ) და ჯოვანი ელბერს (11) მოუპოვებიათ.

VIII ტურის სიმბოლური ნაკრები ლელოს ვერსიით

● დორტმუნდის ბორუსია

პიშჩეკის ახალი კონტრაქტი

პოლონელმა მარჯვენა მცველმა **ლუკაშ პიშჩეკმა** გერმანიის მოქმედ ჩემპიონ დორტმუნდის „ბორუსიასთან“ ახალი კონტრაქტი გააფორმა და BVB-ის თავისი ბედი 2017 წლის 30 ივნისამდე დაუკავშირა.

„ორი წელია, რაც დორტმუნდში ვთამაშობ და მიმაჩნია, რომ ეს ჩემი კარიერის საუკეთესო წლებია. აქედან წასვლა, რა თქმა უნდა, არ მინდა და ახალი ხელშეკრულების გაფორმებას უყოყმანოდ დავთანხმდი,“ - უთხრა პიშჩეკმა „კიკერს“.

ლუკაში „დორტმუნდმა“ 2010 წელს, ბერლინის „ჰერთადან“ გადაიბირა. იმასაც გაგახსენებთ, რომ პიშჩეკი „ჰერთაში“ თავის დროზე თავდამსხმელის სტატუსით გადავიდა, მაგრამ ჯერ კიდევ ბერლინში გადასწიეს მარჯვენა ფლანგზე, „დორტმუნდში“ კი მარჯვენა მცველი გახდა და დღეს ამ პოზიციის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელია. 27 წლის პიშჩეკს ბუნდესლიგის 140 მატჩში 8 გოლი აქვს გატანილი.

გვერდი მოამზადა
გოტფრიდ ლენცმა

ლუკაშ პიშჩეკი

სერია A. VIII ტურის შეჯამება

გმირები მოედანზე და მოედნის მიღმა



ვალტერ მაცარი "იუვენტუსთან" მატჩის მსვლელობისას შეშინებული უფრო ჩანდა, ვიდრე საბრძოლველად შემართული

სანამ ტურის სიმბოლურ ნაკრებზე და სხვა საინტერესო ამბებზე გადავალთ, აუცილებლად უნდა გამცნოთ, რომ "ჯენოას" მთავარი მწვრთნელის პოსტზე 55 წლის ჯიჯი დი კანიოს 62 წლის ლუიჯი დელ ნერი შეცვლის. დიახ, "რომასთან" საშინაო მარცხი გენუელთა პრეზიდენტისთვის უკანასკნელი წვეთი გამოდგა - ენრიკო პრეციოზიმ დი კანიოს კარისკენ მიუთითა და მისი შემცვლელიც მალე მოძებნა. დელ ნერი ბოლოს "იუვენტუსს" ედგა სათავეში, თუმცა ტურინი 2011 წლის ზაფხულს უსახელოდ დატოვა.

ტურის გმირი

ტურის გმირად, როგორც წესი, ფეხბურთელებს ვასახელებთ, მაგრამ ამჯერად, არჩევანი მწვრთნელზე უნდა შევაჩეროთ. ყველაზე მეტად სწორედ **მასიმო კარერამ** გაიბრწყინა, რომლის გონივრულმა და დროულმა გადაწყვეტილებებმა მატჩის ბედი ტურინელთა სასარგებლოდ გადაწყვიტა.

"იუვენტუსმა" "ნაპოლი" ორი უპასუხო ბურთის წყალობით დაამარცხა, ეს ორივე გოლი კი შესცვლაზე შესულმა ფეხბურთელებმა გაიტანეს. ჯერ **მარტინ კასერესი** გამოირჩა, შემდეგ კი დიდებული გოლი **პოლ პოგბამ** შეაგდო. არადა, ბევრს გაუკვირდა, როდესაც ასეთ პრინციპულ შეხვედრაში მწვრთნელი სრულიად ახალგაზრდა პოგბას ენდო. ვერ გეტყვით, რა წვლილი მიუძღვის კონკრეტულად ამ გადაწყვეტილებებში **ანტონიო კონტეს**, მაგრამ რადგან ოფიციალურად გუნდს მასიმო კარერა გაუძღვა, გმირის სტატუსიც მას უნდა მივანიჭოთ.

საერთოდ, კონტეს დისკვალიფიკაციამ კარერას წისქვილზე დაასხა წყალი - ბევრისთვის მოულოდნელად, სამწვრთნელო ტალანტი გამოავლინა და წარმატებულად უძღვება ტურინულ გრანდს. ანტონიო კონტემ განაცხადა კიდეც, მასიმოს ბოლომდე ვენდობი და ვიცი, რომ თავის საქმეს იდეალურად გააკეთებსო. ჯერჯერობით, ასეცაა. აქვე ვიტყვით, რომ ამ ტურში კარერა უკვე დისკვალიფიკაციამოხდილ **ანჯელო ალესიოსთან** ტანდემში უძღვებოდა „იუვეს".

გმირობა მოედანს მიღმა

საგულისხმო ამბავი მოხდა "იუვენტუსი"-"ნაპოლის" მატჩამდე... **ლეონარდო ბონუჩი** მეგობარ გოგოსთან ერთად, ახალი მანქანის საყიდლად იყო წასული და როდესაც ავტოფარეხიდან გამოვიდა, თავს შეიარაღებული პირი დაესხა - კრიმინალმა ლეონარდოს საათის მოხსნა და საფულის ამოღება მოსთხოვა, რაზეც უარი მიიღო... მოულოდნელად, ბონუჩიმ ქურდს ხელი დაუჭირა, სახეში დაარტყა და ძირს დაანარცხა. ქურდი სამართალდამცავებმა დააკავეს, დაკითხვაზე კი შემდეგი განაცხადა - შემეძლო მომეკლა, მაგრამ ეს ჩემი მიზანი არ იყო და არ გავისროლეო. იქვე, ქურდმა გაოცება გამოხატა ბონუჩის ვაჟკაცური საქციელის გამო. როდესაც ჟურნალისტებმა ლეონარდოს ამ მამაცური საქციელის შესახებ ჰკითხეს, უპასუხა: კონტე მუდმივად იმას გვეუბნება, რომ ყველაზე რთულ ვითარებაშიც კი უნდა ვიბრძოლოთო. აი ასეთი სასარგებლოა კონტეს შეგირდობა.

ტურის მატჩი

ტურის მატჩი ტურინში გაიმართა, სადაც ერთმანეთის პირისპირ ლიდერები "იუვენტუსი" და "ნაპოლი" წარდგნენ. გამარჯვება მასპინძლებს დარჩათ, რამაც კიდევ უფრო განამტკიცა ვარაუდი იმის შესახებ, რომ "იუვე" მიმდინარე სე-

ლუიჯი დელ ნერი "ჯენოას" ჩაუდგება სათავეში

ზონეშიც მიუწვდომელი იქნება. რაც შეეხება კონკრეტულად განვლილ შეხვედრას, "გაძეტა დელო სპორტი" საინტერესო მოსაზრებას გვთავაზობს... "ნაპოლის" ჯერ კიდევ არ სჯერა, რომ შეუძლია სკუდეტოსთვის ბრძოლა და სანამ ამას არ დაიჯერებს, ასეთ მნიშვნელოვან შეხვედრებში ყოველთვის დამარცხდება. ავტორიტეტული გამოცემა გვახსენებს თუ რა სახე ჰქონდა მატჩის მსვლელობისას **ვალტერ მაცარის** - მწვრთნელი არა საბრძოლოდ შემართული, არამედ შეშინებული უფრო ჩანდა და რაც დრო გადიოდა, თითქოს ეს შიში მით უფრო მატულობდა. მაცარი შესანიშნავი ტაქტიკოსია, მაგრამ ჯერ ვერ შეძლო შეგირდებში გამარჯვებულის მენტალიტეტი ჩაენერგა.

ტურის მოვლენა

მიუხედავად იმისა, რომ ტურის ცენტრალური შეხვედრა ტურინში გაიმართა, ტურის მოვლენად მაინც "მილანის" მორიგი მარცხი უნდა მივიჩნიოთ. "როსონერის" მდგომარეობა კი მართლაც გაოცებას იწვევს: რვა შეხვედრაში ხუთი მარცხი ვერავითარ ჩარჩოში ვერ ჯდება და ყველაზე უკეთ ეს თავად "მილანელებმა" იციან. ყველაზე რთულ მდგომარეობაში მაინც კლუბის მესვეურები არიან, რომლებსაც უჭირთ წარუმატებლობის მწვრთნელზე გადაბრალება, რადგან ზაფხულის სატრანსფერო პერიოდში, ის წამყვანი ფეხბურთელების გარეშე დატოვეს. ამიტომ, **ადრიანო გალიანი მასიმილიანო ალეგრის** მხარდაჭერას უცხადებს და ამბობს, რომ მთავარი მწვრთნელის შეცვლის საკითხი არ დგას დღის წესრიგში. არადა, უკვე აქტიურად საუბრობენ იმის შესახებ, რომ ლომბარდიულ გრანდს **პეპ გვარდიოლა** ჩაუდგება სათავეში.

„მილანის" თავკაცი განაგრძობს ძიებას და ბოლო პერიოდში, ტაქტიკა-შემადგენლობას აქტიურად ცვლის. ხან **ბოიან კრკიჩს** აწესებს შეტევის წინა ხაზზე და ხან **ჯამპაოლო პაცინის**... ხან ორი ფორვარდით უტევს და ხანაც სამით, თუმცა ამ ყველაფრისგან ხეირი ცოტაა. კარგად მხოლოდ **სტეფან ელ შაარავი** თამაშობს, რომელიც გუნდის ლიდერად მოგვევლინა. სატურნირო ცხრილში, "მილანი" მე-15 ადგილზეა და ამით, ყველაფერია ნათქვამი.

ციფრები და ფაქტები

- პოლ პოგბამ "იუვენტუსიდან", **ნაინჯელ დე იონგმა** "მილანიდან: და **გონსალო როდრიგესმა** "ფიორენტინადან" პირველი გოლები გაიტანეს სერია A-ში.
- "იუვენტუსი" საუკეთესოა იტალიაში როგორც გატანილი გოლების სიმრავლით, ისე გაშვებული გოლების სიმცირით.
- "ნაპოლი" პირველად დამარცხდა მიმდინარე სეზონში.
- ნეაპოლელმა **პაოლო კანავარომ** მე-400 მატჩი ჩაატარა პროფესიულ კარიერაში.
- "მილანს" 8 მატჩში 5 მარცხი აქვს, ასეთი უარყოფითი შედეგი გუნდს ბოლოს 1941 წელს ჰქონდა.
- **პაბლო დანიელ ოსვალდომ** მიმდინარე ჩემპიონატში ყველა შეხვედრაში გაიტანა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო.
- "რომამ" 1991 წლის შემდეგ პირველად მოიგო გასვლითი მატჩი, რომელშიც ორი ბურთის სხვაობით მარცხდებოდა.
- "კატანიას" არასდროს მოუგია "ინტერისთვის" გასვლითი შეხვედრა... ეს გუნდები "ჯუზეპე მეაცაზე" ერთმანეთს 16-ჯერ შეხვდნენ;
- "კალიარიმ" მიჯრით ორი შეხვედრა პირველად მოიგო გასული წლის სექტემბრის შემდეგ.
- "კალიარიმ" პირველად მოიგო საკუთარ მოედანზე აპრილის შემდეგ.
- "ბოლონიას" "კალიარისთან" გასვლითი მატჩი 1998 წლის შემდეგ არ მოუგია.
- "ფიორენტინას" მეკარე **ემილიანო ვივიანომ** მე-100 შეხვედრა ჩაატარა სერია A-ში.
- მიმდინარე სეზონის დაწყებიდან სულ 8 ტურია გასული, "პარმას" კარში კი უკვე 6 პენალტი დაინიშნა.

ლაშა წიკლაური

VIII ტურის სიმბოლური ნაკრები ლელოს ვერსიით



რეალი

იკერის საიუბილეო 400

მადრიდის „რეალის" კაპიტანმა **იკერ კასილიასმა** „სელტასთან" გამარჯვებით კლუბის მაისურით საიუბილეო, მე-400 მოგება მოიპოვა. სხვათა შორის, იკერი მხოლოდ მესამე რეალელია, ვინც ამ ბარიერს უწია **რაულისა** (427 გამარჯვება) და **სანჩისის** (412) შემდეგ. კასილიასმა ახლახან ლა ლიგაში მე-300 ტრიუმფი იზეიმა. იკერის 400-ეული ამათგან შედგება: 301 მოგება ლა ლიგაში, 73 - ევროთასებზე, 18 - კოპა დელ რეიზე, 4 - ესპანეთის სუპერთასზე, 2 - მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატზე და თითო ევროპის სუპერთასზე და საკონტინენტთაშორისო თასზე. კასილიასმა პირველი გამარჯვება 1999 წელს იზეიმა. 14 სეზონის განმავლობაში ყველაზე „მოსავლიანი" ის წლები ჰქონდა, როცა **ჟოზე მოურინიო** წვრთნიდა (სეზონში სულ მცირე, 40 გამარჯვება).

კასილიასს სულ რაღაც 27 გამარჯვება რჩება რაულ გონსალესის რეკორდამდე. ამის მიღწევა კი მას ამ სეზონშივე შეუძლია. ამასობაში „რეალთან" ერთად გოლკიპერს 15 ტიტული დაუგროვდა: ჩემპიონთა ლიგა ორჯერ (2000, 2002), საკონტინენტთაშორისო თასი ორჯერ (1998, 2002), ევროპის სუპერთასი (2002), ლა ლიგა ხუთჯერ (2001, 2003, 2007, 2008, 2012), კოპა დელ რეი (2011), ესპანეთის სუპერთასი 4-ჯერ (2001, 2003, 2008, 2012). ინდივიდუალურ ტიტულებს ხომ თვლა არ აქვს.

მარსელო ჰოლანდიაშია

სანამ „რეალი" „სელტას" ამარცხებდა ლა ლიგის VIII ტურში, გუნდის ბრაზილიელი მარცხენა მცველი **მარსელო** ჰოლანდიაში ოპერაციას იკეთებდა. 24 წლის მარსელოს ექიმმა **ნიკ ვან დეიკმა** ამსტერდამის კლინიკაში ფეხზე მე-5 მეტატარსული ძვლის მოტეხილობის ოპერაცია გაუკეთა. ოპერაცია წარმატებული გამოდგა, თუმცა მარსელო 23 ოქტომბრამდე კლინიკაში დარჩება შემდეგ კი ესპანეთის დედაქალაქში დაბრუნდება. წლეულს ბრაზილიელის თამაში გამორიცხულია.

ვარანის ზედიზედ მე-17 მოგება

19 წლის **რაფაელ ვარანი** ჟოზე მოურინიომ გამოცდილ **რაულ ალბიოლს** არჩია და დაცვის ცენტრში **პეპეს** შეუწყვილა. ფრანგი ფეხბურთელი ჯერჯერობით დაუმარცხებელია „რეალში" - სულ 18 მატჩში მოირგო თეთრი მაისურა და აქედან 17-ში „რეალმა" იმარჯვა, ერთი კი ფრედ დაასრულა. ვარანს ურთი წლის წინათ, 21 სექტემბერს, „რასინგთან" მატჩში ჰქონდა დებიუტი. სხვათა შორის, ის შეხვედრა დასრულდა ფრედ და მას მერე, თუკი ვარანი მოედანზეა, „რეალი" აუცილებლად იგებს ზედიზედ 17 მატჩია. 18-დან 16 მატჩში ფრანგი სასტარტოში იყო და შვიდ შემთხვევაში „რეალმა" კარი „მშრალად" შეინახა. ეს სტატისტიკაც მეტყველებს რომ ლილელი ჭაბუკი, რომელიც „რეალმა" 10 მილიონ ევროდ იყიდა „ლანსისგან", „სამეფო კლუბის" მომავალია.

ზიზუ მოუსთან უთანხმოებას უარყოფს

ფრანგული ფეხბურთის ლეგენდა **ზინედინ ზიდანი** უარყოფს ხმებს, თითქოს მას პრობლემები ჰქონდეს „რეალის" თავკაც ჟოზე მოურინიოსთან. მეტიც, ზიდანი ამბობს, რომ ძალიან ბევრი ისწავლა პორტუგალიელი სპეციალისტისგან. „საფრანგეთში დაბრუნება და დამოუკიდებელი მწვრთნელობის დაწყება ჩემი ინიციატივა იყო. ჩემი სურვილია ყოველდღიურად ვიყო მოედანზე, ჩავება ფეხბურთის ორომტრიალში ეს კი მწვრთნელობით არის შესაძლებელი", - განუცხადა 40 წლის ზიდანმა „სპორტ 365"-ს.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ბარსელონა

მესი, სტატისტიკის მეფე

ედისონ არანტეს დო ნასიმენტომ შორეულ 1959 წელს ოფიციალურ თამაშებში „სანტოსისა" და ბრაზილიის ნაკრების ფორმით 75 გოლი გაიტანა. საფეხბურთო მეფედ შერაცხილი **პელეს** ეს რეკორდი ამაყად იდგა ხელშეუხებელი 52 წელიწადი, მაგრამ 53-ეზე უთუოდ დაეცემა - 25 წლის **ლიონელ მესიმ** „ბარსელონასა" და არგენტინის ნაკრების ოფიციალურ მატჩებში 2012 წელს უკვე გაიტანა 71 ბურთი. ალბათ მხოლოდ ტრავმა თუ შეუშლის „ლა პულგას" რეკორდის დამხობაში, წლის ბოლომდე ხომ ჯერ ძალიან ბევრი მატჩი რჩება.

მესი, რის მესი იქნებოდა, რომ მხოლოდ ერთ რეკორდს დამუქრებოდა. იხილეთ მისი სხვა მიღწევებიც „დეპორტივოსთან" 5:4 მოგებული მატჩის შემდეგ:

- შაბათის ჰეთთრიკით მან საკუთარივე რეკორდი გააუმჯობესა - 2010 კალენდარულ წელს მესიმ ლა ლიგის მატჩებში 58 გოლი გაიტანა, ახლა უკვე ერთით მეტი აქვს.
- მესი 11 გოლით 2012/13 წლების სეზონის ბომბარდირთა დავას სათავეში ჩაუდგა. აქამდე 8-8 გოლით პირველობას **რადამელ ფალკაოსთან** და **კრიშტიანო რონალდოსთან** ერთად. ამ ორმა მე-8 ტურში მხოლოდ თითო გოლი გაიტანა და არგენტინელს ორ-ორით ჩამორჩა.
- ეს იყო ლეოს პირველი ჰეთთრიკი სეზონში, თუმცა მე-15 ლა ლიგაში. ამით მან **სესარს** (14 ჰეთთრიკი) გადაუსწრო.

ნიკოლოზ ნეფარიძე

თავისუფალი ჭიდაობა. საკონტინენტთაშორისო თასი

ბოლო ტურნირის შუქჩრდილები

საკანდელიძის მეოთხე ტრიუმფი

ვინ შეაჩერებს საკანდელიძეს? - ეს იკითხვა კვირას რამდენჯერმე გაისმა ჩვენს მეზობელ ჩრდილო კავკასიაში. მოგეხსენებათ, ამ უქმეებზე დაღესტნურმა ხასავიურტმა საკონტინენტთაშორისო თასს უმასპინძლა თავისუფალ ჭიდაობაში, სადაც ჩვენმა მძიმეწონოსანმა კიდევ ერთხელ, ბოლო ერთი თვის განმავლობაში უკვე მეოთხედ გაიფინა მეტოქეები ფეხქვეშ და ზედიზედ მეოთხე ტურნირზე იმარჯვა. ამ კითხვას სვამდნენ რიგითი, თუმცა კი ჭიდაობის ყადრის ჩინებულად მცოდნე ქომაგებიც ინტერნეტფორუმებზე და დაღესტანის ჭიდაობის ფედერაციის საიტიც, რომელიც სრულიად სამართლიანად აფეტიშებს თავის ფალავნებს, ასეთ პირობებში კი კონკურენტზე კარგი იოლად არ დასცდება. „გადამწყვეტ შეხვედრაში ნურასილოვს კლასი არ ეყო. ის ტექნიკით ჩამორჩებოდა თავის მოწინააღმდეგე გიორგი საკანდელიძეს. ქართველი ფიზიკურად ძლიერი იყო და მის გამარჯვებაში არაფერია მოულოდნელი, რადგან მან ხასავიურტში ჩასვლამდე ბაქოსა და კორკინის მემორიალზე გაიმარჯვა“ - ასე აფასებს აღნიშნული საიტი მძიმეწონოსანთა ფინალს, თუმცა საკანდელიძის მიერ ყაზახეთის ტურნირის მოგება რატომღაც ავიწყდება. თუმცა იქნებ ეს გასაგებიც იყოს - ისინი ყურადღებას მხოლოდ სოლიდურ შეჯიბრებებზე ამახვილებენ, ყაზახური კი ამ კატეგორიას არ მიეკუთვნებოდა.

საკანდელიძე ხასავიურტში პირველ წრეში ისვენებდა, ასპარეზობაში კი მეოთხედფინალიდან ჩაერთო, სადაც დაღესტნელი **ასლან მალცაგოვი** ორ პერიოდში დაამარცხა - 4:0; 2:0. ნახევარფინალში ოსეთის ნაკრების წევრ **ალან ხუგაევსაც** ძირითად დროში აჯობა - 2:0; 2:1, ფინალში კი მასპინძელთა ჯილა **მაგომედგაჯი ნურასილოვს** ისევ ძირითადში 1:0; 4:0 მოუგო. ეს მახაჩყალელი ბიჭი რუსეთის დამსახურებული მწვრთნელის, **იბრაგიმ საიდოვის** აღმზრდელ **კასუმ ნასრუდინოვის** შეგირდია. შარშან ის ახალგაზრდებში 96-ში გახდა მსოფლიოს პრიზიორი, წლეულს კი მძიმე წონაში გადაინაცვლა და მსოფლიოზე გაიმარჯვა, თან ჩვენი გამწვრთნელიც მოასწრო - ნახევარფინალში **გენო პეტრიაშვილს** ძალზე მცირე უპირატესობით აჯობა. ხასავიურტულ ფინალში საკანდელიძე რომ ფავორიტი იყო, ამას შეხვედრის დაწყებამდე იქაური ქომაგებიც აღიარებდნენ - გამოცდილებას რომ თავი დავანებოთ, ავარელი წონითაც ჩამორჩებოდა ჩვენებურს, რომელიც ცოტ-ცოტას იკლებს კიდეც. ანგარიშიდანაც ჩანს, რომ ქართველმა მართლაც უპრობლემოდ მოიგო.

ქართველის მონაგარი

სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, რომ საკანდელიძის მიერ მოგებული ოთხი ტურნირიდან არც ერთი არ იყო ტოპ-კლასის - ნაოლიმპიადევია და წამყვან ფალავანთა უმეტესობა ისვენებს. სხვებს თავი დავანებოთ და კონკრეტულად ამ წონაში არც ჩვენი მსოფლიოს მედალოსანი, ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონი **დავით მოძმანაშვილი** ჩაბმულა ჯერ შეჯიბრებებში. ამის მიუხედავად, ნამდვილად არ შეიძლება იმის თქმა, თითქოს საკანდელიძე სუსტ ტურნირებს იგებს ან უმართლებს. ამ ოთხიდან ყველაზე სუსტი ყაზახური ასპარეზობა იყო, რომელიც ჯამბილის რაიონის ხელმძღვანელობამ ჩაატარა და ძირითადად ყაზახი სპორტსმენები მონაწილეობდნენ, თუმცა 7 უცხოური ქვეყანაც იყო ჩასული. რომ არა საპრიზო ფონდი - გამარჯვებული 5 ათას დოლარს იღებდა, იქნებ ჩვენები იქ არც ნასულიყვნენ, თუმცა სატურნირო პრაქტიკაშიც წაადგათ. მაინცდამაინც ძლიერი არც ამ ოთხეულიდან პირველი - ბაქოში გამარჯვებული „ოქროს დიდი პრიზის“ ფინალური ტურნირი იყო. ის რანგით კი ჟღერს, მაგრამ წლეულს წამყვან ფალავანთა უმეტესობა ოლიმპიადისთვის ემზადებოდა და ამ შეჯიბრებას ძირითადად თავს არიდებდნენ. ამიტომ ბაქოშიც აკლდათ ლიდერთა დიდი ნაწილი, თუმცა საკანდელიძემ არცთუ ურიგო ფალავნებს აჯობა - მასპინძლებს, ახალგაზრდებში ორგზის ვიცე-ჩემპიონ **ასლან ძებისოვსა** და ამჟამად უკვე ჩამოწერილ, მაგრამ მაინც უფროსებში მსოფლიოს პრიზიორ **ალი ისაევს**, აგრეთვე რუს **ალექსანდრ ბაზროვს** მოუგო. აღსანიშნავია, რომ ჩვენებურმა ძებისოვს 2010 წელს ევროპის პირველობის ფინალშიც აჯობა.

ამ ოთხეულიდან ყველაზე ძლიერი მაინც ირკუტსკში გამართული კორკინის მემორიალი და ხასავიურტული შეჯიბრება იყო. წამყვანი ლიდერები არც აქ გამოდიოდნენ, მაგრამ მონაწილეთა უმეტესობას რუსეთის რეგიონების გუნდები წარმოადგენდნენ, მათი სათადარიგოებიც კი ბევრი გუნდისთვის სანატრელია. ირკუტსკში მან პეტრიაშვილი, რუსი **კირილ გოტოვცევი** და ახალგაზრდებში ბელარუსთა ევროპის შარშანდელი ჩემპიონი **იგორ დიაჩკო** დაამარცხა. ჩამოსაწერი არც ერთი მათგანია, გოტოვცევი კი რუსთა ეროვნული ნაკრების კანდიდატია. ამიტომ ეთვლება ეს შეჯიბრებები საკანდელიძეს აქტივში, რაც ამ წონაში ჩვენს ნაკრებს კონკურენციის გაზრდის სასიამოვნო პერსპექტივას უქადის. ახლა განსაკუთრებით საინტერესოა ნოემბერში გასამართი საქართველოს პირველობა, თუმცა ჯერ არაა გარკვეული, იასპარეზებს თუ არა იქ მოძმანაშვილი. ეს ორთაბრძოლა ახლა რომც არ შედგეს, მათი უშუალო თუ არაპირდაპირი დაპირისპირება მომავალში გარდაუვალია, რაც ქომაგს საინტერესო ვნებათაღელვას უქადის.

ხინჩეგაშვილმა მეტოქეებიც გააკვირვა

სამწუხაროდ, ოლიმპიადისა და ევროპის ვიცე-ჩემპიონმა **ვლადიმერ ხინჩეგაშვილმა** პუბლიკა ამჯერად არადამაჯერებელი გამოსვლით გააკვირვა და არა ძველებურად კარგი ჭიდაობით. მოგეხსენებათ, მან ოლიმპიადის დამთავრებისთანავე წონა შეიცვალა - 60-ში გადავიდა და ჯერ ადაპტაციას გადის. ამის მიუხედავად, ცოტა ხნის წინ კიევში მეორე ადგილზე მაინც გავიდა, როცა ფინალი მასპინძელთა უტიტულოვანეს ფალავანთან, ევროპის სამგზის ჩემპიონთან, მსოფლიოსა და ოლიმპიადის ვერცხლის მედალოსან **ვასილ ფედორიშინთან** დათმო.

ხასავიურტში ხინჩეგაშვილი სუსტად გამოვიდა - პირველივე წრეში დამატებით დროში წააგო აზერბაიჯანელ **აგაჰუსეინ მუსტაფაევთან**, რაც დაღესტნურმა საიტმა დღის მთავარ მოულოდნელობად მიიჩნია. მათ მოჰყავთ ქართველი მწვრთნელების სიტყვები, რომლებიც თავიანთი ფავორიტის ასეთ სუსტ გამოსვლას ადაპტაციის პრობლემით ხსნიან, მაგრამ იქვე გაკვირვებულები დასძენენ, კიევში სავსებით ნორმალურად გამოიყურებოდა და ფინალშიც გავიდა, სადაც თანაბარ ბრძოლაში დამარცხდაო.

ადაპტაცია მართლაც გასათვალისწინებელია, მაგრამ ხინჩეგაშვილმა ეს პერიოდი სწრაფად და უმტკივნეულოდ უნდა გაიაროს, თორემ კონკურენტები არ დააცლიან. ევროპის ვიცე-ჩემპიონსა და ოლიმპიადის მონაწილე **მალხაზ ზარქუას** თავი რომ დავანებოთ, აგერ, ხასავიურტში ქუთაისელმა **ბექა ლომთაძემაც** კარგად იასპარეზა - ვერცხლიც მოიპოვა და იქაურთა სიმპათიებიც დაიმსახურა. მან დაღესტნელი **რასულ მურთაზალიევი** და მისი თანაგუნდელები, **იმამ აჯიევი** და ამ ტურნირის მომავალი ბრიჯაოს პრიზიორი **შამხალ ხიზრიევი** დაამარცხა, თუმცა ფინალი ღესტნელ **ჰამიდ ნაბიევთან** და მის თანაგუნდელ **ოლეგ ისაკოვთან** კი იმარჯვა, მაგრამ 1/4-ფინალში მომავალ ბრინ ჯაოს მედალოსანთან, კრასნოიარსკელ (მის არზრდაში დიდი წვლილი ექნებათ შეტანილი ამ ციმბირულ ქალაქში მომუშავე **დიმიტრი მინდიაშვილსა** და **ვლადიმერ მოდოსიანს**) **ისა დაუდოვთან** წააგო და უმეძლოდ დარჩა. გასაგებია, რომ ის ჯერ არაა ფორმაში, მაგრამ აუცილებლად უნდა იზრუნოს სტილის გამრავალფეროვნებაზე და ცოტა მეტი აგრესიაც სჭირდება, თორემ ინიციატივას ნებით არავინ დაგითმობს.

ამ წონაში ერთი საყურადღებო გამარჯვება მოიპოვა **იაკობ მაქარაშვილმა** - ოსეთის ნაკრების წევრ **საბა ხუბეჟტის** აჯობა, მაგრამ დაღესტნელ **კამალ მალიკოვთან** წააგო.

დიდად სასურველი სურათი არც 66-შია, სადაც **ოთარ თუშიშვილის** ღირსეული შემცვლელია საჭირო - **მალხაზ ქურდიანიც** (თუმცა აქამდე ესეც 60-ში გამოდიოდა) და დავით ბერძნიშვილიც მალევე დამარცხდნენ, თუმცა ქვედა წონებში ახალგაზრდებიდან საკმაოდ კარგი თაობა მოდის. იმედია, აქ ჩავარდნა არ გვექნება.

ირაკლი თავაძე



გიორგი საკანდელიძე

ჩოგბურთი

ანა ისევ 50-ეა

ანა ტატიშვილი

ქართველმა ჩოგბურთელმა **ანა ტატიშვილმა**, როგორც გაუწყეთ, ტრავმების გამო სეზონის ნაადრევი დასრულება გადაწყვიტა. მის აქტივშია 1162 ქულა. წინა კვირის მონაცემებით ჩვენებურმა კვლავ 50-ე ადგილზე აინაცვლა, რადგან ესპანელი ანაბელ მედინა გარიგესი 11 ადგილით ჩამოქვეითდა და ანას 2 ქულით ჩამორჩება.

WTA-ს განახლებულ რეიტინგში შვიდი ქართველიღა ფიგურირებს, ტატიშვილის გარდა, კლასიფიკაციაში არიან: 283 (284). **სოფიო შაფავათა** (174 ქულა). 375 (327). **მაკა ჩახნაშვილი** (106), 391 (391). **სოფიო ქვაცაბაია** (98), 457 (456). **ეკატერინე გორგოძე** (74), 536 (539). **ოქსანა კალაშნიკოვა** (52), 660 (656). **ნათია გეგია** (33). ამჯერად რეიტინგში ადგილი დაკარგა ანი გოგვაძემ, რომელიც წინა კვირას 3 ქულით 1158-ე ადგილზე იყო. ამ დღეებში გოგვაძე **თამარ ჭალაგანიძესთან** ერთად აშქელონში (ისრაელი) იმყოფება და ქალთა 10.000-იან საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობს. ძირითადი ბადის პირველ წრეში იგი სოფია ვაინბერგს (რუსეთი) დაპირისპირდება. ჭალაგანიძე ერთეულთა შეჯიბრებაში საკვალიფიკაციო ეტაპიდან ჩაება და სტარტზევე მასაპინძლე იანა ტშაივთან დამარცხდა - 6:1, 3:6, 3:6.

ჩვენმა გოგონებმა ვერც წყვილებში იყოჩაღეს: ჭალაგანიძე და უკრაინელი ქრისტინა კაზიმოვა ეკატერინა ტოურსა (ისრაელი) და ალექსანდრა ტრესკუნოვას (რუსეთი) დანებდნენ - 3:6, 5:7, ხოლო გოგვაძე - ალექსანდრა პისკუნის (უკრაინა) დუეტმა კსენია კირილოვას (რუსეთი) და ანასტასია ვასილევას (უკრაინა) წყვილთან წააგო - 1:6, 0:6.

ვაჟა დანელია

წყალბურთი. ჩემპიონთა ლიგა

1/8-ფინალისკენ

ევროპის წყალბურთელთა 21 საუკეთესო კლუბი ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალის 16 საგზურისთვის 4 ქვეჯგუფში იბრძვის. გასულ უქმეებზე მესამე ტურის შეხვედრები გაიმართა. უკვე გაუწყეთ, რომ საქართველოს სამგზის ჩემპიონმა „ლიგამუსი-თბილისმა“ A ჯგუფის ერთ-ერთ ფავორიტ ვოლგოგრადის „სპარტაკს“ უმასპინძლა და 8:15 (3:5, 1:5, 1:3, 3:2) დამარცხდა. ჯგუფის დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: უნგრეთის „ეგერი“ - ჰანოვერის „ვასპო-98“ 16:5, საბერძნეთის „ვულიაგმენი“ - ჰოლანდიის „შუურმანი“ 12:4.

სამი ტურის შემდეგ: „ვულიაგმენი“ - 9 (41:14), „სპარტაკი“ - 6 (31:26), „შუურმანი“ - 6 (23:27), „ეგერი“ - 3 (23:15), „ლიგამუსი-თბილისი“ - 0 (18:28), „ვასპო-98“ - 0 (14:40).

14 ნოემბერს ითამაშებენ: „ვულიაგმენი“ - „ეგერი“, „შუურმანი“ - „სპარტაკი“, „ვასპო-98“ - „ლიგამუსი-თბილისი“.

B ჯგუფი. „დუბროვნიკი“ (ხოვატია) - „კრეიზლინგენი“ (შვეიცარია) 29:7, „ცრვენთა ზვეზდა“ (ბელგრადი) - „მონპელიე“ (საფრანგეთი) 10:8.

3 ტურის შემდეგ: „ოლიმპიაკოსი“ - 6 (26:12), „დუბროვნიკი“ - 6 (39:13), „ცრვენა ზვეზდა“ - 6 (42:25), „მონპელიე“ - 0 (15:21), „კრეიზლინგენი“ - 0 (19:70).

14 ნოემბერი. „ოლიმპიაკოსი“ - „ცრვენა ზვეზდა“, „მონპელიე“ - „დუბროვნიკი“.

C ჯგუფი „ბარსელონეტა“ (ესპანეთი) - „მარსელი“ (საფრანგეთი) 15:4, „სინთეზი“ (ყაზანი) - „ვოივოდინა“ (ნოვი სადი) 9:10.

3 ტურის შემდეგ: „ბარსელონეტა“ - 9 (34:15), „მარსელი“ - 3 (13:22), „ბრეშა“ - 3 (20:18), „ვოივოდინა“ - 3 (23:31), „სინთეზი“ - 0 (16:20).

14 ნოემბერი. „მარსელი“ - „სინთეზი“, „ბრეშა“ - „ბარსელონეტა“.

D ჯგუფი. „პარტიზანი“ (ბელგრადი) - „ორადეა“ (რუმინეთი) 8:7, „გალათასარაი“ (თურქეთი) - „შპანდაუ 04“ (ბერლინი) 10:7.

3 ტურის შემდეგ: პარტიზანი“ - 7 (26:22), „ბეტონი“ - 6 (22:14), „გალათასარაი“ - 4 (15:12), „ორადეა“ - 0 (16:22), „შპანდაუ 04“ - 0 (22:31).

14 ნოემბერი. „ბეტონი“ (უნგრეთი) - „პარტიზანი“ (ბელგრადი), „ორადეა“ (რუმინეთი) - „გალათასარაი“ (სტამბოლი).

ვაჟა დანელია

დიდი სპორტის კარიბჭესთან

ალექსანდრე ებრალიძე

ჭადრაკი

დაიბადა 1996 წლის 17 მაისს.

სწავლობს თბილისის კერძო სკოლა „ერუდიტის“ XI კლასში.

ჭადრაკში ვარჯიშობს 2002 წლიდან, ჯერ მაკა ხანთაძისა და გივი გოგიჩაიშვილის, ახლა კი ხვიჩა ბახტაძისა და ხვიჩა სუპატაშვილის ხელმძღვანელობით.

შედეგები. 2005 წ. შოთა ინწკირველის მემორიალი - I ადგილი, 2007 და 2010 წ.წ. თეიმურაზ ლომაიას მემორიალი - I ადგილები, 2010 წ. ნანა ალექსანდრიას თასის გათამაშება - II ადგილი, ბუხუტი გურგენიძის პირველი მემორიალი - I ადგილი, თანატოლებში თბილისის ორგზის ჩემპიონი და სამგზის პრიზიორი, 2012 წ. სტამბოლის საჭადრაკო ფესტივალი: 16-წლიანებში I ადგილი, 18-წლიანებში - III ადგილი.

გატაცებულია ფეხბურთით, ბილიარდით.

ჰობი. მოგზაურობა.

კერპი. მსოფლიოს მე-13 ჩემპიონი გარი კასპაროვი.

მიზანი. უახლოეს ორ-სამ წელიწადში დიდოსტატობის, 18-20-წლიანებში მსოფლიოს ჩემპიონობის მოპოვება.

ვაჟა დანელია

ავტორის ფოტო

კოლეგა

არაჩვეულებრივი გამოფენა

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში ოთხი დღე იყო გამოფენილი ცნობილი ქართველი ფოტოხელოვანისა და ჟურნალისტის **ჯემალ კასრაძის** პირველი პერსონალური გამოფენა. სულ წარმოდგენილი იყო 100-ზე მეტი ერთმანეთზე უკეთესი ფოტო, რაც ავტორის 35 წლის მოღვაწეობის ნაყოფია.

ჯემალ კასრაძის შემოქმედებითი გზა „მართვესა“ და „ლელოში“ დაიწყო, იმთავითვე გამოირჩეოდა ორიგინალური ხელწერით, მახვილი თვალით. მას არასოდეს უმუშავია ხალტურაზე, მისი ყველა ფოტო მაღალმხატვრული ოსტატობის ნიმუშია.

ჯემალს არაჩვეულებრივი, სადა იუმორი აქვს. იგი ხშირად ერთდროულად რამდენიმე რედაქციაში მუშაობდა და სულ გადარბენაზე იყო. სადმე რომ დაიგვიანებდა, რა ვქნა, ბატონო სამ-სახური მაქვსო, ანუ სამგან ვმუშაობ, აბა, სამსახური სხვას რას ნიშნავსო, უპასუხებდა ენამოსწრებით. ასთმიანი ვარო, იცის ხოლმე ხუმრობა, ანუ ასი ღერი თმაღა შემრჩაო. ერთხელ, ჩვენი ქვეყნისთვის ძალიან სავალალო და სამარცხვინო პერიოდში, მოვიდა რედაქციაში და მომილოცეთ, ორდენოსანი გავხდიო. გავგიჟდით, ქვეყანა ინგრევა და ჯემალის ორდენი ვის გაახსენდაო. თურმე, ბინაში ორი ფიდერიდან შეუყვანია დენი.

რამდენიმე წლის წინათ ჯემალ კასრაძემ მშვენიერი წიგნი გამოსცა „ჩიტებით სავსე ყუთი“. წიგნის სათაურშიც ეტყობა, რომ მისი ავტორი ფოტოგრაფია. ხომ გახსოვთ, სურათის გადაღების დროს, ატირებულ ბავშვებს რომ ანყნარებენ ხოლმე, ახლა იმ ყუთიდან ჩიტი გამოფრინდებაო.

ერთი სიტყვით, იმის თქმა გვინდა, რომ ერთობ ნიჭიერ კაცთან გვაქვს საქმე და ამაში აქ დაბეჭდილი მისი ფოტოებიც დაგარწმუნებენ.

ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია, მივულოცოთ მეგობარს ეს გამოფენა და ვუსურვოთ, სამი წლის შემდეგ, მის საიუბილეო წელს (ასაკმა არ შეგაშინოთ, ეს 67 წლის კაცი ახლაც ნამეტნავად ახალგაზრდულად გამოიყურება) უფრო მეტი ფოტო გამოეფინოს, უამრავი ნამუშევარი ხომ იმ ჩიტების ყუთში აქვს გადანახული.

მეგობრების სახელით
დავით ჭელიძე

კადრები ჯემალ კასრაძის ფოტოსურათების გამოფენიდან

გეკითხება „ლელოს“

შეკითხვა: გთხოვთ მიპასუხოთ, რა დამსახურებისთვის ენიჭება სპორტის მუშაკს საქართველოს სპორტის დამსახურებული მოღვაწის წოდება, ვინაა უფლებამოსილი აღძრას შუამდგომლობა, შემდეგ ვინ განიხილავს საკითხს და როგორ ხდება იურიდიულად წოდების გაფორმება.

ლევან კახელიშვილი
რუსთავი

პასუხი: საქართველოს სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 2012 წლის 15 ივნისის №01/129 ბრძანებით, „სპორტის სფეროში საპატიო წოდებების დამტკიცების შესახებ“ მე-12 მუხლის შესაბამისად, საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკის წოდების მინიჭების საკითხს საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსთან არსებული კომისია განიხილავს აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების შესაბამისი სამთავრობო დანესებულებების ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების შესაბამისი სპორტის სამსახურების, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ან საქართველოს ეროვნული სპორტული ფედერაციების შუამდგომლობის საფუძველზე.

სპორტის სფეროში საპატიო წოდებების მინიჭების საკითხის განხილვისას საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსთან არსებული კომისიის სხდომაზე შეიძლება მონვეულ იქნენ შუამდგომლობის წარმდგენი დანესებულებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლები.

სპორტის სფეროში საპატიო წოდებები, გარდა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის წოდებისა, ენიჭებათ მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებს.

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი სპორტის სფეროში საპატიო წოდების მინიჭების თაობაზე გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსთან არსებული კომისიის შესაბამისი გადაწყვეტილებიდან ერთი თვის ვადაში.

სპორტის სფეროში საპატიო წოდებების მფლობელებს გადაეცემათ წოდების მინიჭების აღმნიშვნელი სპეციალური მოწმობა. საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის, საქართველოს სპორტის დამსახურებული მოღვაწისა და საქართველოს სპორტის რაინდის წოდებები შეიძლება მიენიჭოთ პირებს გარდაცვალების შემდეგ.

ამ ბრძანების ძალაში შესვლის დღიდან ძალადაკარგულად გამოცხადდა „სპორტის სფეროში საპატიო წოდებების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 2011 წლის 2 ივნისის №72 ბრძანება.

სპორტსმენები საზოგადოებრივ სარბიელზე

შიდა ქართლის სპორტული კანონმდებლები



ლერი ხაბელოვი



შოთა ხაბარელი

ვალერი გელაშვილი

სოსო ვახტანგაშვილი

საქართველოს ახალი მოწვევის პარლამენტში, რომელიც 21 ოქტომბერს შეიკრიბა, ტიტულოვანი სპორტსმენების, სპეციალისტების და სპორტში მოღვაწე ადამიანების სიმრავლეა.

ჩვენი ქვეყნის რეგიონებიდან ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით შიდა ქართლის გამორჩევა შეიძლება. აქედან საქართველოს საკანონმდებლო ორგანოში მოხვედრილ დეპუტატთაგან სპორტის სამყაროში ყველაზე მეტად ცნობილი თავისუფალ ჭიდაობაში მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი **ლერი ხაბელოვია.** იგი ადრე სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილედ და ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტად მუშაობდა. ბატონი ლერი კენჭს ქარელის რაიონში იყრიდა და, მართალია, ის იქაური არაა, კონკურენტებს მაინც დამაჯერებლად აჯობა. როგორც წინასწარ არის ცნობილი, ხაბელოვი პარლამენტში სავარუდოდ სპორტის კომიტეტს ჩაუდგება სათავეში.

გორის რაიონმა მაჟორიტარ დეპუტატად აირჩია **სოსო ვახტანგაშვილი,** რომელიც რამდენიმე წლის წინათ საფეხბურთო კლუბ თამარაშენის „ლიახვის“ პრეზიდენტი იყო. მაშინდელი „ლიახვი“ ერთხანს თავის მშობლიურ ხეობაში თამაშობდა და საგულისხმოა, რომ ქართველი და ოსი ეროვნების ფეხბურთელები ერთმანეთის გვერდიგვერდ თამაშობდნენ.

თავისუფალი სტილის მოჭიდავე იყო ხაშურის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი **ვალერი გელაშვილი.** იგი ადგილობრივ სასპორტო სკოლაში მწვრთნელ **ვახტანგ კვინიკაძესთან** აღიზარდა. წარმატებები ჰქონდა საქართველოს, საბჭოთა კავშირის და საერთაშორისო ასპარეზზე. კარიერის დასრულების შემდეგ გელაშვილმა ბიზნესს მიჰყო ხელი და თავისი საქმიანობით მოპოვებული შემოსავალი სპორტსაც მოახმარა. მისი დაფინანსებით ხაშურში აგებულ დიმიტრი ყიფიანის სახელობის სასულიერო სემინარიის შენობაში სამხალიჩიანი სპორტული დარბაზია, სადაც გახსნის დღიდან ხაშურის სასპორტო სკოლის თავისუფალი ჭიდაობის სექცია ფუნქციონირებს გია კვინიკაძის ხელმძღვანელობით. გელაშვილი ხაშურელებს წინასაარჩევნოდ მათთვის დიდი ხნის მტკივნეული თემის - ძალიან ცუდ მდგომარეობაში მყოფი ადგილობრივი სტადიონის გარემონტებას დაჰპირდა.

ამ რეგიონში არ უყრია კენჭი, მაგრამ თბილისიდან (კრწანისის რ-ნი) მაჟორიტარად შევიდა პარლამენტში კიდევ ერთი შიდაქართლელი ცნობილი სპორტული მოღვაწე **შოთა ხაბარელი.** იგი ოლიმპიური ჩემპიონი და ძიუდოში საქართველოს ნაკრების მწვრთნელის ამპლუაში ყველაზე წარმატებული სპეციალისტია. ქარელის სპორტული შეჯიბრებების პროფილის ერთადერთი დარბაზი, რომელიც ადგილობრივ სასპორტო სკოლას ეკუთვნის, სწორედ ხაბარელის სახელობისაა. მიუხედავად იმისა, რომ საკუთარი საარჩევნო კამპანიის გამართვა დედაქალაქში უწევდა, ბატონ შოთას, ქარელის რაიონელები წინასაარჩევნო პერიოდისას უყურადღებოდ მაინც არ დაუტოვებია, მშობლიურ სოფელ ძლევისჯვარში (ქარელის რ-ნი) მან რამდენჯერმე მიიღო მონაწილეობა ქართული ჭიდაობის შეჯიბრებების ორგანიზებაში.

შიდაქართლელი ამომრჩეველი იმედოვნებს, რომ საკანონმდებლო ორგანოში შესული ყოფილი სპორტსმენები და სპორტში მოღვაწე ადამიანები ქვეყნის განვითარებისთვის გარჯასთან ერთად მათთვის საყვარელ სფეროშიც ნაყოფიერად იღვაწებენ.

ვასილ ბალახაძე

ჭადრაკი

თასი ფანცულაიამ და ხურცილავამ მოიპოვეს

ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხის 60-მდე წარმომადგენელი მონაწილეობდა მოჭადრაკეთა საქართველოს თასის გათამაშებაში (საპრიზო ფონდი 8800 ლარი), რომელსაც თბილისის ჭადრაკის სასახლემ უმასპინძლა.

ვაჟებში ყველას აჯობა ეროვნული ნაკრების წევრმა **ლევან ფანცულაიამ** - 9 შესაძლებლიდან მან 7,5 ქულას მოუყარა თავი და პირველ ადგილთან ერთად 2000 ლარიც დაიმსახურა. გამარჯვებულს ნახევარი ქულით ჩამორჩა **ლუკა პაიჭაძე** (1500 ლარი), რომელსაც მეორე ადგილი ერგო. 6,5 ქულით მე-3 ადგილზე **შოთა აზალაძე** (1000 ლ.) გავიდა. 6-6 ქულით მეოთხე-მეხუთე ადგილები **გაიოზ ნიგალიძემ** (600) და **ბაჩანა მორჩილაშვილმა** (400) გაინაწილეს.

ქალებში საქართველოს თასი და 1000 ლარი 6 ქულით საერთაშორისო ოსტატს **ინგა ხურცილავას** ხვდა. ნახევარ-ნახევარი ქულით ნაკლები მოაგროვეს და, შესაბამისად, მეორე-მესამე ადგილები დიდოსტატებმა - **სოფიკო ხუხაშვილმა** (700 ლ) და **ნინო ხურციძემ** (400 ლ) გაიყვეს.

ვაჟა დანელია

ინგა ხურცილავა

ლევან ფანცულაია

ხელმოწერთა -ს საყურადღებოდ!

ხელმოწერის გამარტივებული პროცესი, დროული და გარანტირებული მიწოდება.
დარეკეთ: 238 26 73; 238 26 74.
კვირის გარდა.

● ლეგიონის კვირა

MVP ვიქტორი უცნაურ ვითარებაში

ელისმა სპორტული ფეხსაცმელი ლურსმანს მიაბარა

იტალია

ვიქტორ სანიკიძე კვლავ საუკეთესოა: გამოცემა „ბასკეტინსაიდმა“ ქართველი ფორვარდი „მონტეპასკი“-„პესაროს“ მატჩის საუკეთესო კალათბურთელად დაასახელა. მისასალმებელია, სასიამოვნოა, მაგრამ ამავე დროს უცნაური. რატომ უცნაური? - ვიქტორმა 18 წუთი ითამაშა, 9 ქულა და 7 მოხსნა მოაგროვა. ასეთი სტატისტიკის კალათბურთელებს MVP-ად იშვიათად ასახელებენ. თუმცა შესაძლოა, გადამწყვეტ მომენტში იმოქმედა საოცრად და მატჩის ბედის გადაწყვეტის გამო სხვებისგან გამოარჩიეს... მაგრამ სანიკიძის არც ბოლო წუთებზე უთამაშია. მეტსაც გეტყვით - იგი მეოთხე პერიოდში მოედანზე არ გამოჩენილა.

მოკლედ, ციფრები და სტატისტიკა ამ შემთხვევაში არაფრისმთქმელია. საჭიროა მატჩის სრული სურათის აღდგენა. მე-15 წუთზე სანიკიძემ ჩატენვით სხვაობა ცხრამდე დაიყვანა (23:32), თუმცა მალე მწვრთნელის გადაწყვეტილებით სათადარიგოთა სკამზე დაჯდა. ზუსტად ორ წუთში პესაროელებმა სოლიდური უპირატესობა მოიპოვეს (36:23) და „მონტეპასკის“ დამრიგებელი **ლუკა ბანკი** იძულებული გახდა მოედანზე დაებრუნებინა ვიქტორი, რომელიც მეტოქეს არც მოხსნას ანებებდა და შეტევაშიც აქტიური იყო. მისი სამქულიანისა და ზედიზედ ჩაგდებული ოთხი საჯარიმოს შემდეგ ანგარიში გათანაბრდა - 43:43.

28-ე წუთისთვის სანიკიძე ესტონელმა **კრისტიან კანგურმა** შეცვალა და მას მერე მოედანზე აღარ გამოჩენილა. ვფიქრობთ, ყველაფერი გასაგებია: მესამე პერიოდში სწორედ 13-ქულიანი ჩამორჩენის აღმოფხვრისთვის (რამაც საბოლოო შედეგზე დიდი გავლენა მოახდინა) გამოარჩიეს ვიქტორი.

ერთი შეხედვით მაინც უცნაურად ჩანს მწვრთნელის გადაწყვეტილება - მეოთხე პერიოდის უსანიკიძეოდ ჩატარებასთან დაკავშირებით. თუმცა საიტ „ოლრაუნდს“ თუ ვენდობით, ვიქტორმა კოჭის მცირე ტრავმა მიიღო და ბოლოს ამიტომაც დაისვენა. მატჩის შედეგს კი ცხრილში გაეცნობით.

■ ■ ■

მანუჩარ მარკოიშვილის „კანტუს“ შეხვედრის სცენარიც მონტეპასკისეული იყო: მასპინძელი კანტუელები მატჩის შუაში მეტოქე „ბრინდისის“ 13 ქულით (39:26) ჩამორჩნენ, თუმცა მესამე პერიოდიდან მანუს გუნდმა ძალა მოიკრიბა და თამაშიც შემოატრიალა - 84:80. მატჩის საუკეთესოდ ბელგიელი **ჯონათან ტაბუ** დაასახელეს, რომელმაც 3 სამქულიანი ჩააგდო და 17 ქულას მოუყარა თავი.

ქართველმა უკანახაზელმა კი მოედანზე 33 წუთი გაატარა და 11 ქულა ჩააგდო (6-დან 4 ორქულიანი, 4-დან 3 საჯარიმო).

■ ■ ■

კვირას ითამაშა „ნაპოლიმაც“, დაძაბულ შეხვედრაში ადგილობრივი პუბლიკის წინაშე „აგეტთან“ მინიმალური სხვაობით დამარცხდა - 72:73.

როგორც მიხვდით, უნდა მოგახსენოთ, რომ ნეაპოლელთა გუნდშიც ქართველმა ითამაშა, მაგრამ ასე არ მოხდა. **ნიკა მეტრეველი** გუნდში კი ვარჯიშობს, მაგრამ კვირას განაცხადში არ გამოჩენილა.

- *„ნეაპოლში“ ჩემი გადასვლა გადაწყვეტილი იყო, თუმცა გუნდში მოულოდნელად სიტუაცია აირია - მენეჯერებსა და ხელმძღვანელობას შორის უკმაყოფილებაა და სიტუაციის დალაგებას ველი. ამ კვირაში ყველაფერი გაირკვევა და იმედი მაქვს, მომდევნო შეხვედრაში მონაწილეობას მივიღებ,* - გვითხრა ნიკა მეტრეველმა და დასძინა: „ნაპოლიში“ ჩემი ამპლუის კალათბურთელი სჭირდებათ და სათამაშო დრო საკმარისად უნდა მქონდესო.

ისღა დაგვრჩენია, ნიკასთან ერთად მოვლენების განვითარებას დაველოდოთ.

უკრაინა

წარუმატებელი კვირეული გამოუვიდა **გიორგი ცინცაძის** „ბუდიველნიკს“. თუ მანამდე გუნდს უკრაინის ჩემპიონატში ხუთივე მატჩი მოგებული ჰქონდა, 19 და 21 ოქტომბერს ორივე გასვლითი შეხვედრა დათმო. თან, ვერ ვიტყვით, რომ მისი მეტოქე „კრივბასბასკეტი“ შეჯიბრების ფავორიტი იყო. რაც შეეხება „ფეროს“, ეს გუნდი სატურნირო ცხრილის სათავეშია (6 გამარჯვება, 1 მარცხი).

კრივბასელები სასწაულად დაუსხლტნენ „ბუდიველნიკს“ (70:69): მეოთხე პერიოდის დაწყებამდე ცინცაძის თანაგუნდელები 59:51-ს იგებდნენ. როგორც წესი, **აინარს ბაგაცკისის** გუნდს დიდი ჩავარდნები არ ახასიათებს და იყო იმედი რომ „ბუდიველნიკი“ მატჩს გამარჯვებამდე მიიყვანდა. თუმცა 36-ე წუთისთვის **კალისტას ეზიუკვუს** ზუსტი ტყორცნის შედეგად „კრივბასი“ 65:63 დაწინაურდა. შეგახსენებთ, რომ ეზიუკვუ რამდენიმე წლის წინათ გიორგი ცინცაძესთან ერთად ესტონური „ტარტუ როკის“ ღირსებას იცავდა. ბოლო წამებზე **დარიუს შელენგას** დრიბლინგის შედეგად „ბუდიველნიკი“ 69:68 დაწინაურდა. მასპინძლებს შეტევისთვის საკმარისი დრო არ ჰქონდათ, თუმცა **ჯეიმს ფლორესმა** სირენამდე 4 წამით იოლად შეაღწია მეტოქის ფარქვეშ და კრივბასელები წინ გაიჭრნენ - 70:69. დარჩენილ დროში სტუმარი **მაკოლმ დილეინის** ტყორცნა არაზუსტი გამოდგა და გამარჯვება „კრივბასბასკეტს“ დარჩა.

გიორგი ცინცაძე ბოლო წუთებზე მოედანზე არ იყო. მართალია, მხოლოდ 1 ქულა ჩააგდო, მაგრამ ვინც თამაშს უყურა, დაგვეთანხმება, რომ ურიგოდ არ გარჯილა.

ესპანეთი

პირენეებზე **ბექა ბურჯანაძის** „კახასოლმა“ სეზონის პირველი მატჩი მოიგო. ქართველმა ახალგაზრდამ მეტოქის კალათის მიმართულებით ერთი ორქულიანი ისროლა და ისიც კალათში მოათავსა. სწორედ ამ ტყორცნის ამსახველ ფოტოს გთავაზობთ ამავე გვერდზე.

ამერიკა

16 ოქტომბერი **თორნიკე შენგელიას** მუდამ ემახსოვრება. სწორედ ამ დღეს შედგა მისი დებიუტი „ბრუკლინის“ შემადგენლობაში. პირველივე მატჩში მან 11 ქულა ჩააგდო და გადამწყვეტ მომენტში ეფექტური ჩატენვით დაგვამახსოვრა თავი. თორნიკესა და **ზაზა ფაჩულიას** შესახებ გასულ კვირას ვრცლად ვილაპარაკეთ და ამჯერად აღარ განვმეორდებით. დაველოდოთ მომდევნო მატჩებს. „ატლანტა“ 26 ოქტომბერს დეტროიტში „პისტონსთან“ ითამაშებს, ხოლო „ბრუკლინი“ 24-ში „ნიუ იორკს“ უმასპინძლებს.

ისრაელი

გიორგი შერმადინის „მაქაბისთვის“ იოლი ნადავლი გამოდგა „აშქელონი“. თელავიველებმა 100 ქულა ჩააგდეს. გიორგის მონაგარს კი ცხრილში გაეცნობით.

კვირას დაძაბულ ბრძოლაში დამარცხდა ჯეიკობ პულენის „ჰაპოელი“. საქართველოს ნაკრების უკანახაზელმა 35 წუთი ითამაშა და 17 ქულა ჩააგდო.

ლიტვა-ირანი

გუშინ ლიტვური „პალანგა“ ბალტიის ლიგაზე „შიაულიაისთან“ 71:95 დამარცხდა. პალანგელთა განაცხადში არ იყო სერგო ათუაშვილი, რომელმაც სეზონი ზღვისპირულ გუნდში დაიწყო.

გუშინვე გავრცელდა ინფორმაცია, რომლის თანახმად სერგომ „პალანგა“ დატოვა და ირანს მიაშურა. იგი უმაღლესლიგურ „ესტაღლალში“ ჩაირიცხა. შეგახსენებთ, რომ ირანშივე ითამაშებს ნიკა ცქიტიშვილი, რომელიც „მაჰანის“ ღირსებას იცავს და ამჟამად თურქულ შეკრებაზეა.

ვაჟა სიმონიშვილი

კალათბურთი
GBF
2012-13
27 ოქტომბერი
არმია – ქუთაისი 14:00
შსს – სოხუმი 16:00
თსუ – სტუ 18:00
www.facebook.com/GeoBasketball
www.gbf.ge
www.superleague.ge

ელისი აღარ ელის

საქართველოს ნაკრების ყოფილი უკანახაზელი **ტაირონ ელისი** კალათბურთიდან წავიდა. იგი გასულ სეზონში ესპანური „ალიკანტეს“ ღირსებას იცავდა, თუმცა გაზაფხულზე ფეხის ტრავმა მიიღო და ექიმებმა დასვენება ამა წლის სექტემბრამდე ურჩიეს. დაზიანება სერიოზული აღმოჩნდა, ტაირონმა მოცდას თქმა ამჯობინა - ტრავმის შემდეგ ფორმის აღდგენისთვის დიდი დრო დამჭირდება, ისეთ ასაკში არ ვარ, ბევრი ვიცადო, უმჯობესია სპორტული ფეხსაცმელი ლურსმანს მივაბაროო.

- *უკვე ოფიციალურად შემიძლია განვაცხადო - პროფესიული კალათბურთიდან წავედი. ღმერთმა მომცა საშუალება უმაღლეს დონეზე 11 წელი მეთამაშა. საკუთარი კარიერით კმაყოფილი ვარ. მწვრთნელობას ვაპირებ: „ოკლაჰომას“ მეორე მწვრთნელმა NBA-ს განვითარების ლიგაში ასისტენტობა შემომთავაზა. ასე რომ, ამიერიდან „ტულსა 66-ში“ ვიმუშავებ, რაც ნამდვილად საინტერესოა,* - განაცხადა ტაირონმა.

იგი 2006 წელს საქართველოს ნაკრებში **გორდონ ჰერბერტმა** ჩამოიყვანა. ნატურალიზებულთა შორის ჩვენი ნაკრების მაისურით ყველაზე მეტი სწორედ ტაირონს აქვს ნათამაშები - „ჯვაროსანთა“ ღირსებას სამი წლის განმავლობაში იცავდა (18 მატჩი). 2009 წელს A დივიზიონში გადასვლაში ელისმა დიდი წვლილი შეიტანა. ელისი საქართველოს ნაკრების რეკორდსმენია რეალიზებულ შორეულ ტყორცნებში. მის ანგარიშზე 63 სამქულიანია.

ტაირონ ელისი

დაიბადა: 5.10.1977
სიმაღლე: 196 სმ
ამპლუა: უკანახაზელი

კარიერა

2001-02	ჰანსტვილი (აშშ)
2002-03	ხირონა (ესპანეთი)
2003-05	ფრანკფურტი (გერმანია)
2005-06	ბეშიქთაში (თურქეთი)
2006-07	ნაპოლი (იტალია)
2007-10	კახასოლი (ესპანეთი)
2010-11	ესტუდიანტესი (ესპანეთი)
2011-12	ალიკანტე (ესპანეთი)

ელისი (ბურთით) ნავაროს წინააღმდეგ

მოთამაშე	გუნდი	თარიღი	შეჯიბრება	VS	ანგარიში	წუთი	ქულა	მოხსნა	პასი	ჩაჭრა	დაფარება
ზაზა ფაჩულია	ატლანტა (NBA)	16.10	NBA	ინდიანა VS	102:98	30	6	7	2	3	0
		18.10	NBA	VS ნიუ ორლეანი	97:68	17	6	4	1	0	0
		20.10	NBA	VS დალასი	109:94	არ უთამაშია					
თორნიკე შენგელია	ბრუკლინი (NBA)	15.10	NBA	VS ვაშინგტონი	98:88	არ უთამაშია					
		16.10	NBA	ბოსტონი VS	96:97	26	11	2	2	2	1
		18.10	NBA	VS ბოსტონი	85:113	10	0	0	2	1	0
		19.10	NBA	VS ფილადელფია	96:106	არ უთამაშია					
მანუჩარ მარკოიშვილი	კანტუ (იტ)	18.10	ევროლიგა	პანათინაიკოსი (საბ) VS	78:76	29	17	1	3	0	0
		21.10	იტალიის ჩემპ.	VS ბრინდისი	84:80	33	11	4	4	1	0
ვიქტორ სანიკიძე	მონტეპასკი (იტ)	18.10	ევროლიგა	მაქაბი (ისრ) VS	70:68	20	7	12	0	0	0
		21.10	იტალიის ჩემპ	VS პესარო	65:60	18	9	7	1	0	0
გიორგი შერმადინი	მაქაბი (ისრ)	18.10	ევროლიგა	VS მონტეპასკი (იტა)	70:68	10	4	1	1	0	0
		22.10	ისრაელის ჩემპ.	აშქელონი VS	67:100	16	4	4	0	0	0
გიორგი ცინცაძე	ბუდიველნიკი (უკრ)	19.10	უკრაინის ჩემპ	ფერო-ზნტუ VS	97:78	17	5	3	3	2	0
		21.10	უკრაინის ჩემპ	კრივბასბასკეტი VS	70:69	15	1	2	3	1	0
ბექა ბურჯანაძე	კახასოლი (ესპ)	20.10	ესპანეთის ჩემპ.	VS გრან კანარია	74:63	3	2	0	0	1	0
ჯეიკობ პულენი	ჰაპოელი (ისრ)	21.10	ისრაელის ჩემპ.	VS ჰაპოელი (თელ-ავივი)	77:84	35	17	0	3	3	0

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერები

რვიდან ხუთი ჯგუფის ლიდერია

ევროთასების გათამაშებაში მეორე ტურის შეხვედრები გაიმართა. გამოიკვეთა ის გუნდები, რომლებიც, სავარაუდოდ, პლეი ოფში გასვლისთვის იბრძოლებენ. ყველაზე პრესტიჟულ „ჰაინეკენის თასზე" ქართველ მორაგბეთა ექვსი გუნდიდან წარმატებით ოთხი ასპარეზობს და მეორე ეტაპზე გასვლის შანსი აქვს. ესენია: „ტულონი", „ტულუზი", „კლერმონი" და „მონპელიე".

მარჯვენივ მამუკა გორგოძე

A ჯგუფში საქართველოს ნაკრების მესამეხაზელ **დიმიტრი ბასილაიას** „ედინბურგმა" სტუმრად ითამაშა ჯგუფის ერთ-ერთ ფავორიტთან, ირლანდიურ „მანსტერთან" და მშრალი ანგარიშით 0:33 დამარცხდა. ედინბურგელებმა მეტოქეს მეტ-ნაკლები წინააღმდეგობა პირველ ტაიმში გაუწიეს და პირველი ნახევარი მხოლოდ 6 ქულით დათმეს - 0:6. შესვენების შემდეგ მასპინძლებმა დიდი სათამაშო უპირატესობის მოპოვება შეძლეს და ოთხი ლელო გაიტანეს.

ბასილაია სათადარიგოთა შორის იყო და თამაშში 51-ე წუთიდან ჩაერთო. ამავე ჯგუფში ლიდერმა, ინგლისურმა „სარასენზმა" შინ დაამარცხა ფრანგული „მეტრო რასინგი" - 30:13.

B ჯგუფს ორი თამაშიდან ორი მოგებით **ჯაბა ბრეგვაძისა** და **ვასილ კაკოვინის** „ტულუზი" ლიდერობს. ფრანგული რაგბის გრანდმა მეორე ტურში სტუმრად დაამარცხა იტალიური „ბენეტონი" - 33:21. თამაში დაძაბულ, უშელავათო ბრძოლაში წარიმართა. მატჩის არბიტრმა ორივე გუნდის ორ-ორი მორაგბე გაასინბინა, შერკინების კვაჭ **კრისტოფერ ტოლოფუას** კი წითელი ბარათი უჩვენა.

ალსანიშნავია, რომ იტალიურმა გუნდმა პირველი ტაიმი 18:9 მოიგო. შესვენების შემდეგ კი ტულუზელები მთელი სიმძლავრით ამოქმედდნენ და მეტოქეს სამი ლელო გაუტანეს. ბრეგვაძე და კაკოვინი ტრავმირებული არიან. ამავე ჯგუფში ინგლისურმა „ლესტერ ტაიგერზმა" შინ დაამარცხა უელსური „ოსფრიზი" - 39:22.

პირველი გამარჯვება მოიპოვა მიმდინარე გათამაშებაში **ანტონ ფეიქრიშვილის** „კასტრამ". ჩვენებურის გუნდმა შინ მოუგო ინგლისურ „ნორსჰემპტონს" - 21:16. კასტრელები მატჩის დასაწყისიდანვე უპრატესობას დაეუფლნენ და მეტოქისთვის ანგარიშში დაწინაურების შანსი ერთხელაც არ მიუციათ.

ფეიქრიშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 53-ე წუთზე შეცვალეს. ამავე ჯგუფში, გათამაშების ლიდერმა, ირლანდიურმა „ალსტერმა" სტუმრად დაამარცხა შოტლანდიური „გლაზგო" - 19:8.

E ჯგუფის ლიდერია **დავით ზირაქაშვილისა** და **ვიქტორ კოლელიშვილის** „კლერმონი", რომელმაც მეორე ტურშიც შესანიშნავად ითამაშა. „ვულკანებმა" სტუმრად ინგლისურ „ექსეტერს" ექვსი ლელო გაუტანეს და დიდი ანგარიშით 46:12 მოუგეს. არადა მატჩის პირველი ნახევარი მასპინძელთა გამარჯვებით დასრულდა - 12:10. მეორე ტაიმში კლერმონელებმა დაცვაში ზედმიწევნით ყურადღებით ითამაშეს და მეტოქეს მონაგრის გაზრდის საშუალება არ მისცეს.

ზირაქაშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 62-ე წუთზე შეცვალეს, კოლელიშვილს არ უთამაშია. ამავე ჯგუფში კიდევ ერთმა ფავორიტმა, ირლანდიურმა „ლენსტერმა" სტუმრად დაამარცხა უელსური „ჰლანეჰლი" - 20:13.

F ჯგუფში სატურნირო ცხრილის პირველი ორი საფეხური ქართველ მორაგბეთა კლუბებს „ტულონსა" და „მონპელიეს" უკავიათ. **დავით ქუბრიაშვილის, კონსტანტინე მიქაუტაძისა** და **ლევან ჩილაჩავას** „ტულონმა" ზედიზედ ორი შეხვედრა მოიგო. ჩვენებურთა ამ გუნდმა სტუმრად დაამარცხა უელსური „კარდიფი" - 22:14. ისევე როგორც ზემონახსენებ მატჩებში, ამ შეხვედრაშიც, პირველი ტაიმი მასპინძლებმა მოიგეს - 8:6. თუმცა საბოლოოდ გამარჯვება მაინც ფავორიტს დარჩა.

ქუბრიაშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 51-ე წუთზე შეცვალეს, ჩილაჩავა და მიქაუტაძე განაცხადში არ იყვნენ.

მამუკა გორგოძის, გიორგი ჟღენტისა და **მიხეილ ნარიაშვილის** „მონპელიემ" კი შინ დაამარცხა ინგლისური „სეილ შარქსი" - 33:18 და ახლა 4 ქულით მეორე ადგილზეა. გორგოძემ ძირითად შემადგენლობაში ითამაშა და 49-ე წუთზე შეცვალეს, ნარიაშვილი ტრავმირებულია, ჟღენტი განაცხადში არ იყო.

ჰაინეკენის თასი

A ჯგუფი

სარასენზი-მეტრო რასინგი 30:13, მანსტერი-ედინბურგი 33:0.

სატურნირო მდგომარეობა

1. სარასენზი - 9 ქულა, 2. მანსტერი - 6, 3. მეტრო რასინგი - 4, 4. ედინბურგი - 0.

III ტური

მანსტერი-სარასენზი, მეტრო რასინგი-ედინბურგი.

B ჯგუფი

ბენეტონი-ტულუზი 21:33, ლესტერი-ოსფრიზი 39:22.

სატურნირო მდგომარეობა

1. ტულუზი - 8 ქულა, 2. ოსფრიზი - 5, 3. ლესტერი - 5, 4. ბენეტონი - 0.

III ტური

ტულუზი-ოსფრიზი, ლესტერი-ბენეტონი.

C ჯგუფი

ბიარიცი-ზებრე 38:17, ქონოთი-ჰარლიქვინზი 22:30.

სატურნირო მდგომარეობა

1. ჰარლიქვინზი - 9 ქულა, 2. ბიარიცი - 5, 3. ქონოთი - 4, 4. ზებრე - 0.

III ტური

ქონოთი-ბიარიცი, ზებრე-ჰარლიქვინზი.

D ჯგუფი

გლაზგო-ალსტერი 8:19, კასტრი-ნორსჰემპთონი 21:16.

სატურნირო მდგომარეობა

1. ალსტერი - 9 ქულა, 2. ნორსჰემპთონი - 6, 3. კასტრი - 4, 4. გლაზგო - 0.

III ტური

გლაზგო-კასტრი, ნორსჰემპთონი-ალსტერი.

E ჯგუფი

ჰლანეჰლი-ლენსტერი 13:20, ექსეტერი-კლერმონი 12:46

სატურნირო მდგომარეობა

1. კლერმონი - 10 ქულა, 2. ლენსტერი - 8, 3. ექსეტერი - 1, 4. ჰლანეჰლი - 1.

III ტური

ჰლანეჰლი-ექსეტერი, კლერმონი-ლენსტერი.

F ჯგუფი

კარდიფი-ტულონი 14:22, მონპელიე-სეილ შარქსი 33:18.

სატურნირო მდგომარეობა

1. ტულონი - 9 ქულა, 2. მონპელიე - 4, 3. სეილ შარქსი - 4, 4. კარდიფი - 1.

III ტური

სეილ შარქსი-ტულონი, კარდიფი-მონპელიე.

„ემლინ ჩელენჯ კაპის" გათამაშებაში მოასპარეზე „ორი ქართული" გუნდიდან წარმატებით მხოლოდ ერთი, **ზურაბ ჟვანიას** „სტად ფრანსე" ასპარეზობს. პარიზელებმა ორი თამაშიდან ორივე მოიგეს და E ჯგუფს ცხრა ქულით ლიდერობს. მეორე ტურში „სტად ფრანსემ" ფრანგულ „გრენობლს" უმასპინძლა და დაძაბულ ბრძოლაში 28:25 მოუგო.

ჟვანია ძირითად შემადგენლობაში იყო და 56-ე წუთზე შეცვალეს. ამავე ჯგუფში იტალიურმა „პრატომ" შინ წააგო ინგლისურ „ლონდონ ველშთან" - 31:32.

ორი მატჩიდან ორივე წააგო A ჯგუფში მოასპარეზე **თამაზ მჭედლიძის** „მონ დე მარსანმა". მეორე ტურში ჩვენებურის გუნდმა სტუმრად დიდი ანგარიშით დათმო ინგლისურ „ლონდონ აირიშთან" - 26:69. ამავე ჯგუფში ინგლისურმა „გლოსტერმა" შინ დაამარცხა ფრანგული „ბორდო" - 25:13.

ჩელენჯ კაპი

A ჯგუფი

გლოსტერი-ბორდო 25:13, ლონდონ აირიში-მონ დე მარსანი 69:26.

ბურთით გურამ კავთიძე

სატურნირო მდგომარეობა

1. ლონდონ აირიში - 10 ქულა, 2. გლოსტერი - 9, 3. მონ დე მარსანი - 1, 4. ბორდო - 0.

III ტური

ბორდო-მონ დე მარსანი, ლონდონ აირიში-გლოსტერი

B ჯგუფი

ვორსტერი-როვიგო 90:3, პერპინიანი-გერნიკა 90:12

სატურნირო მდგომარეობა

1. ვორსტერი - 10 ქულა, 2. პერპინიანი - 10, 3. როვიგო - 0, 4. გერნიკა - 0.

III ტური

ვორსტერი-პერპინიანი, გერნიკა-როვიგო.

C ჯგუფი

ნიუპორტი-ბაიონი 19:22, მოლიანო-ვოსფსი 12:59

სატურნირო მდგომარეობა

1. ვოსფსი - 10 ქულა, 2. ბაიონი - 9, 3. ნიუპორტი - 1, 4. მოლიანო - 0.

III ტური

მოლიანო-ნიუპორტი, ბაიონი-ვოსფსი.

D ჯგუფი

აჟენი-ბასი 22:27, ბუქარესტი-კალვიზანო 42:27.

სატურნირო მდგომარეობა

1. ბასი - 10 ქულა, 2. აჟენი - 6, 3. ბუქარესტი - 5, 4. კალვიზანო - 2.

III ტური

ბუქარესტი-აჟენი, ბასი-კალვიზანო.

E ჯგუფი

პრატო-ლონდონ ველში 31:32, სტად ფრანსე-გრენობლი 28:25.

სატურნირო მდგომარეობა

1. სტად ფრანსე - 9 ქულა, 2. გრენობლი - 6, 3. ლონდონ ველში - 4, 4. პრატო - 2.

III ტური

გრენობლი-ლონდონ ველში, პრატო-სტად ფრანსე.

■ ■ ■

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ, მეორე დივიზიონში მერვე ტურის მატჩების შემდეგ პლეი ოფში გასვლისთვის ქართველ მორაგბეთა ხუთი გუნდი იბრძვის. ესენია: „ლიონი", „ბრივი", „ორიაკი", „ალბი" და „ტარბი".

გურამ კავთიძის „ლიონმა", რომელიც 26 ქულით მეორე ადგილზეა, გალიდერების შანსი დაკარგა. ჩვენებურის გუნდმა სტუმრად წააგო „ოშთან" - 10:13. კავთიძე ძირითად შემადგენლობაში იყო და 47-ე წუთზე შეცვალეს.

ლიონელებს ერთი ქულით ჩამორჩება და მესამე ადგილზეა **ლევან დათუნაშვილის, კარლენ ასეიშვილისა** და **გიორგი ნაცარაშვილის** „ორიაკი", რომელმაც შინ დაამარცხა აუტსაიდერი „ექსი" - 17:10. ასეიშვილი თამაშში 49-ე წუთიდან ჩაერთო, დათუნაშვილი მატჩის დასრულებამდე ორი წუთით ადრე შეცვალეს, ნაცარაშვილი განაცხადში არ იყო.

დავით ხინჩაგიშვილის, ირაკლი ნატრიაშვილისა და **გოდერძი შველიძის** „ბრივი" 24 ქულით მე-4 ადგილზეა. ბრიველებმა სტუმრად უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოიპოვეს უშუალო კონკურენტთან, **გიორგი ჩხაიძის, გიორგი ნემსაძის, ირაკლი მირცხულავასა** და **დავით დადუნაშვილის** „ტარბთან" დაპირისპირებაში - 26:15.

ნემსაძემ თავიდან ბოლომდე ითამაშა, ხინჩაგიშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 47-ე წუთზე შველიძემ შეცვალა. ნატრიაშვილს, ჩხაიძეს, მირცხულავასა და დადუნაშვილს არ უთამაშიათ.

21 ქულა აქვს და მეშვიდე ადგილზეა **ვახტანგ მაისურაძის, ალექსანდრე თოდუას, ვახტანგ ახობაძის, კახაბერ კობერიძისა** და **გიორგი თეთრაშვილის** „ალბი", რომელმაც სტუმრად წააგო **ბექა შეყლაშვილის** „ბეზიესთან" - 13:25.

კობერიძე ძირითად შემადგენლობაში იყო და 48-ე წუთზე შეცვალეს, მასთან ერთად მოედანი დატოვა მაისურაძემაც, რომელიც 38-ე წუთზე გაასინბინეს, ძირითად შემადგენლობაში იყო შეყლაშვილიც, რომელიც 78-ე წუთზე შეცვალეს, თოდუას, ახობაძეს და თეთრაშვილს არ უთამაშიათ.

დავით აშვეთიასა და **შალვა სუთიაშვილის** „მასიმ" შინ წააგო გათამაშების ლიდერ „ოიონაქსთან" - 16:29. აშვეთიამ ძირითად შემადგენლობაში ითამაშა და 68-ე წუთზე შეცვალეს, სუთიაშვილი მოედანზე 45-ე წუთიდან გამოჩნდა.

ტარიელ რატიანიძის „დაქსმა", რომელიც აუტსაიდერია შინ დაამარცხა „პო" - 15:9. რატიანიძემ სრულად ითამაშა და 58-ე წუთზე არბიტრმა სინბინში გაუშვა.

მარცხნივ დავით ზირაქაშვილი

II დივიზიონი

VIII ტური

ორიაკი-ლა როშელი 17:10, ბეზიე-ალბი 25:13, დაქსი-პო 15:9, კოლომიე-ექსი 28:9, ტარბი-ბრივი 15:26, ნარბონი-კარკასონი 28:13, მასი-ოიონაქსი 16:29, ოში-ლიონი 13:10.

სატურნირო მდგომარეობა

1. ოიონაქსი - 31 ქულა, 2. ლიონი - 26, 3. ორიაკი - 25, 4. ბრივი - 24, 5. პო - 23, 6. ოში - 22, 7. ალბი - 21, 8. ლა როშელი - 20, 9. ტარბი - 20, 10. კარკასონი - 17, 11. კოლომიე - 15, 12. ნარბონი - 14, 13. ბეზიე - 14, 14. დაქსი - 11, 15. მასი - 9, 16. ექსი - 8.

IX ტური

ბრივი-პო, ნარბონი-ექსი, ლა როშელი-ბეზიე, ლიონი-კოლომიე, ალბი-ოში, კარკასონი-დაქსი, მასი-ტარბი, ოიონაქსი-ორიაკი.

ბესიკ ჯანგავაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოური სპორტი

ჩოგბურთი. WTA-ის ჩემპიონატი

წითელი ჯგუფი

ვიქტორია აზარენკა (ბელარუსი, 1)

აზარენკა vs დანარჩენი TOP8 2012 წელს: 14-5

აზარენკა vs დანარჩენი TOP8 კარიერაში: 31-26

აზარენკა vs თანაჯგუფელებთან: 1-10 vs უილიამსი, 2-0 vs კერბერი, 4-4 vs ლი

ტიტულები 2012 წელს: 6 - სიდნეი, ავსტრალიის ღია, დოჰა, ინდიან უელსი, პეკინი, ლინცი

საუკეთესო შედეგი სლემზე 2012 წელს: მოგება ავსტრალიის ღიაზე

აზარენკა WTA-ის ჩემპიონატზე

მეოთხე მონაწილეობა (5-6 კარიერაში)

2009: ჯგუფში ჩარჩა

2010: ჯგუფში ჩარჩა

2011: ფინალი

ფრაზა: *„ყოველი მატჩი ძალიან დაძაბული იქნება. ჩემთან ჯგუფში დიადი ჩემპიონები მოხვდნენ. ეს მეტ სტიმულს მაძლევს და მოუთმენლად ველი ტურნირის დაწყებას“.*

სერენა უილიამსი (აშშ, 3)

უილიამსი vs დანარჩენი TOP8 2012 წელს: 9-1

უილიამსი vs დანარჩენი TOP8 კარიერაში: 35-5

უილიამსი vs თანაჯგუფელებთან: 10-1 vs აზარენკა, 1-1 vs კერბერი, 5-1 vs ლი

ტიტულები 2012 წელს: 6 - ჩარლსტონი, მადრიდი, უიმბლდონი, სტენფორდი, ოლიმპიადა, აშშ-ის ღია

საუკეთესო შედეგი სლემზე 2012 წელს: მოგება უიმბლდონზე და აშშ-ის ღიაზე

უილიამსი WTA-ის ჩემპიონატზე

მეშვიდე მონაწილეობა (15-5 კარიერაში)

1999: ტრავმა

2000: ტრავმა

2001: ჩემპიონი

2002: ფინალი

2003: ტრავმა

2004: ფინალი

2007: ჯგუფში ჩარჩა

2008: ჯგუფში ჩარჩა

2009: ჩემპიონი

2010: ტრავმა

ფრაზა: *„სანამ თამაში შემიძლია, არ ვინტერესდები ვისთან და როდის ვთამაშობ. წითელ ჯგუფში ვარ ვიქტორიასთან ერთად, რაც ძალიან კარგია“.*

ანჟელიკ კერბერი (გერმანია, 5)

კერბერი vs დანარჩენი TOP8 2012 წელს: 6-12

კერბერი vs დანარჩენი TOP8 კარიერაში: 8-18

უილიამსი vs თანაჯგუფელებთან: 0-2 vs აზარენკა, 1-1 vs უილიამსი, 1-5 vs ნა ლი

ტიტულები 2012 წელს: 2 - პარიზი, კოპენჰაგენი

საუკეთესო შედეგი სლემზე 2012 წელს: 1/2 ფინალი უიმბლდონზე

კერბერი WTA-ის ჩემპიონატზე

პირველი მონაწილეობა

ფრაზა: *„არ აქვს მნიშვნელობა რომელ ჯგუფში ითამაშებ. აქ რვა საუკეთესო ჩოგბურთელია შეკრებილი და ყველა მატჩი რთული იქნება. ჩემთვის დიდი პატივია აქ ყოფნა და ყველა მატჩისგან სიამოვნებას მივიღებ. ეს არის პრემია კარგად ჩატარებული წლის გამო. როცა ამ სეზონს ვიწყებდი, ვერ წარმოვიდგენდი, რომ მსოფლიოს მეხუთე ჩოგანი გავხდებოდი და აქ ვითამაშებდი“.*

ნა ლი (ჩინეთი, 8)

ლი vs დანარჩენი TOP8 2012 წელს: 7-8

ლი vs დანარჩენი TOP8 კარიერაში: 26-23

ლი vs თანაჯგუფელებთან: 4-4 vs აზარენკა, 1-5 vs უილიამსი, 5-1 vs კერბერი

ტიტულები 2012 წელს: 1 - ცინცინატი

საუკეთესო შედეგი სლემზე 2012 წელს: IV წრე ავსტრალიის ღიასა და როლან გაროსი

ლი WTA-ის ჩემპიონატზე

მეორე მონაწილეობა (1-2 კარიერაში)

2011: ჯგუფში ჩარჩა

ფრაზა: *„აქ მხოლოდ რვა საუკეთესო ჩოგბურთელი თამაშობს. აი, ეს არის მთავარი და კარგი პრობლემა“.*

მარცხნიდან: ნა ლი, კერბერი, კვიტოვა, აზარენკა, შარაპოვა, უილიამსი, რადვანსკა, ერანი

დღეს იწყება

WTA-ის წლის შემაჯამებელი ტურნირი, პრესტიჟულობის მიხედვით მეხუთე მოვლენაა საჩოგბურთო სეზონში “დიდი სლემის” ჩემპიონატების შემდეგ. მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ხშირად, ამ ტურნირზე წლის მიხედვით რეიტინგის პირველი ადგილი თამაშდება, ამ ჩემპიონატის მნიშვნელობა იზრდება.

2011 წლიდან, სეზონის რვა უძლიერესი მოთამაშის მასპინძლობის უფლება სტამბოლმა მიიღო. თამაშები სპორტკომპლექს Sinan Erdem Dome-ში ტარდება, რომლის მთავარი არენა 15 ათას მაყურებელს იტევს.

ჩემპიონატის ფორმატი უკვე დიდი ხანია უცვლელია: რვა სპორტსმენი ორ ჯგუფად იყოფა, რომლებშიც წრიული ტურნირი ტარდება. საუკეთესო ორი ჩოგბურთელი ნახევარფინალში გადის, რასაც მოჰყვება ტიტულისთვის მატჩი.

მიმდინარე სეზონში წითელ ჯგუფს სათავეში ჩაუდგა **ვიქტორია აზარენკა**. პირველ ეტაპზე მისი მეტოქეები იქნებიან – **სერენა უილიამსი, ანჟელიკ კერბერი** და **ნა ლი**. ისე მოხდა, რომ ერთ ჯგუფში ალმოჩნდა ორი ჩოგბურთელი, რომელიც წელს ყველაზე ეფექტურ და მძლავრ ჩოგბურთს თამაშობდა.

2012 წელს ვიქტორიამ და სერენამ 6-6 ტურნირი მოიგეს, მაგრამ მათ შორის ურთიერთშეხვედრები კარგს არაფერს უქადის ბელარუსს – 10:1 ამერიკელის სასარგებლოდ. სამაგიეროდ, ბოლო მატჩმა აზარენკასა და უილიამსს შორის (აშშ-ის ღია ფინალი), ვიქტორიას გულშემატკივრებს იმედი გაუჩინა, რადგან ის არაფერში ჩამორჩებოდა ლეგენდარულ მეტოქეს.

ამ ეპიკური დაპირისპირების ფონზე იკარგებიან ანჟელიკ კერბერი და ნა ლი. თუმცა მათ შეუძლიათ ფავორიტთა ბრძოლაში ჩარევა. ყოველ შემთხვევაში, გერმანელი ერთადერთი მონაწილეა ტურნირზე, ვისაც სერენასთან შეხვედრებში თანაბარი ბალანსი აქვს – 1:1.

მეორე მხრივ, კერბერმა წააგო აზარანკასთან ორივე პირადი შეხვედრა, ნა ლისთან კი საერთოდ, 1:5-ს აგებს. თავად ჩინელი კი კარგად თამაშობს ვიქტორიას წინააღმდეგ – 4:4, მაგრამ ექვსიდან ხუთი მატჩი დათმო უმცროს უილიამსთან.

დასასრულს, უნდა ალვნიშნოთ, რომ ამ ჯგუფში მთავარი ბრძოლა, რა თქმა უნდა, უილიამსსა და აზარენკას შორის უნდა წარიმართოს. თუმცა არავინ იცის, სად გადის კერბერის შესაძლებლობების ზღვარი, ნა ლის კი ესმის, რომ 2012 წელი, შესაძლოა, მისი “გედის სიმღერა” გახდეს, ამიტომაც მაქსიმალურად ეცდება თავისი საუკეთესო თვისებების წარმოჩენას.

■ ■ ■

თეთრი ჯგუფის აშკარა ფავორიტად მოსჩანს **მარია შარაპოვა**, რომელმაც 2012 წელს სამი ტურნირი მოიგო და ჯგუფში სამივე მეტოქესთან – **აგნიეშკა რადვანსკასთან, პეტრა კვიტოვასთან** და **სარა ერანისთან** დადებითი ბალანსი აქვს.

ამასთან, მიმდინარე სეზონში შარაპოვას სამივე ტიტული გრუნტზე აქვს მოპოვებული, თანაც მასზე ერთგვარი ზეწოლა ექნება იმ ფაქტს, რომ რუსს კიდევ რჩება რეიტინგში პირველობის მოპოვების შანსი.

რადვანსკასაც სამი ტიტული აქვს წელს, მაგრამ პოლონელმა აშკარად უკლო სეზონის საშემოდგომო ნაწილში. ის აგებს შარაპოვასთან (2:7) და კვიტოვასთან (0:3) ურთიერთშეხვედრებში და მხოლოდ ერანისთან ლიდერობს – 5:1. თუმცა აგნიეშკას სეზონის მაჟორულ ნოტაზე დასრულების უდიდესი მოტივაცია აქვს.

რაც შეეხება კვიტოვას, ერთი წლის წინ, ის დაუმარცხებელი ჩანდა დარბაზის ტურნირებზე, ექსპერტები კი ახალგაზრდა ჩეხს ტურში დომინირებას უწინასწარმეტყველებდნენ. 12 თვის შემდეგ, კვიტოვა თავის ჯგუფშიც კი არ მოიაზრება ფავორიტად.

2012 წელს ჩეხმა მოიგო ორი ტურნირი, უგებს ურთიერთშეხვედრებში რადვანსკასა და ერანის (3:0), მაგრამ მარცხდება შარაპოვასთან (2:4). ამასთან, პეტრას გონებაში ექნება ფედერაციის თასის ფინალი, რომელშიც მას ტიტულის დაცვა მოუწევს თავისი ნაკრებისთვის. დარბაზში თამაში კვიტოვას არ ესწავლება, ასე რომ, მას შეუძლია ჯგუფიდან გასვლა.

დაბოლოს, სარა ერანი, რომელმაც ბრწყინვალე სეზონი ჩაატარა, მაგრამ, ერთი შეხედვით, თეთრი ჯგუფის აუტსაიდერად მოსჩანს. დიახ, მან მოიგო წელს ოთხი ტურნირი, მაგრამ ყველა გრუნტის საფარზე. თუმცა აპენინელს ჰარდზე კარგი თამაშიც შეუძლია. ამის დამამტკიცებელია მეოთხედფინალი ავსტრალიის ღიაზე და ნახევარფინალი აშშ-ის ღიაზე.

ერანის წინააღმდეგ დამატებითი ფაქტორია მისი სტატისტიკა ურთიერთშეხვედრებში: 0:1 შარაპოვასთან, 1:5 რადვანსკასთან და 0:3 კვიტოვასთან. ასევე არ უნდა დავივიწყოთ, რომ ერანის პარალელურად, წყვილთა თანრიგში მოუწევს გამოსვლა, სადაც ის **რობერტა ვინჩისთან** ერთად აშკარა ფავორიტია. ასე რომ, სარამ სავსებით შეიძლება მთავარი აქცენტი წყვილთა ტურნირზე გადაიტანოს.

თეთრი ჯგუფი

მარია შარაპოვა (რუსეთი, 2)

შარაპოვა vs დანარჩენი TOP8 2012 წელს: 11-8

შარაპოვა vs დანარჩენი TOP8 კარიერაში: 29-25

შარაპოვა vs თანაჯგუფელებთან: 7-2 vs რადვანსკა, 4-2 vs კვიტოვა, 1-0 vs ერანი

ტიტულები 2012 წელს: 3 - შტუტგარტი, რომი, როლან გაროსი

საუკეთესო შედეგი სლემზე 2012 წელს: მოგება როლან გაროსზე

შარაპოვა WTA-ის ჩემპიონატზე

მეექვსე მონაწილეობა (13-7 კარიერაში)

2004: ჩემპიონი

2005: 1/2 ფინალი

2006: 1/2 ფინალი

2007: ფინალი

2011: ჯგუფში ჩარჩა

ფრაზა: *„როცა აქ ჩამოდიხართ, უკვე წინასწარ იცით, რომ ჯგუფის დონე, ნებისმიერ შემთხვევაში, ძალიან ძლიერი იქნება. შესაბამისად, ყოველ მატჩში დიდი ბრძოლა იქნება. სერიოზული გამოცდა გველის“.*

აგნიეშკა რადვანსკა (პოლონეთი, 4)

რადვანსკა vs დანარჩენი TOP8 2012 წელს: 5-10

რადვანსკა vs დანარჩენი TOP8 კარიერაში: 17-32

რადვანსკა vs თანაჯგუფელებთან: 2-7 vs შარაპოვა, 0-3 vs კვიტოვა, 5-1 vs ერანი

ტიტულები 2012 წელს: 3 - დუბაი, მაიამი, ბრიუსელი

საუკეთესო შედეგი სლემზე 2012 წელს: ფინალისტი უიმბლდონზე

რადვანსკა WTA-ის ჩემპიონატზე

მეოთხე მონაწილეობა (3-2 კარიერაში)

2008: ჯგუფში ჩარჩა

2009: ჯგუფში ჩარჩა

2011: ჯგუფში ჩარჩა

ფრაზა: *„არსებობს რვა საუკეთესო მოთამაშე მსოფლიოში, ასე რომ, არნაირი იოლი ჯგუფი და არანაირი იოლი მატჩი. იმედია, რამდენიმე კარგ შეხვედრას ვითამაშებ“.*

პეტრა კვიტოვა (ჩეხეთი, 6)

კვიტოვა vs დანარჩენი TOP8 2012 წელს: 5-7

კვიტოვა vs დანარჩენი TOP8 კარიერაში: 15-13

კვიტოვა vs თანაჯგუფელებთან: 2-4 vs შარაპოვა, 3-0 vs რადვანსკა, 3-0 vs ერანი

ტიტულები 2012 წელს: 2 - მონრეალი, ნიუ ჰევენი

საუკეთესო შედეგი სლემზე 2012 წელს: 1/2 ფინალი ავსტრალიის ღიაზე და როლან გაროსზე

კვიტოვა WTA-ის ჩემპიონატზე

მეორე მონაწილეობა (5-0 კარიერაში)

2011: ჩემპიონი

ფრაზა: *„თქვენ არ შეგიძლიათ აირჩიოთ ჯგუფი. რვავე მოთამაშე - ძალიან ძლიერია, რომლებსაც შესანიშნავი სეზონი ჰქონდათ. მაქსიმალურად მოვინდომებ. მახსოვს ის დიდი მხარდაჭერა, რომელიც გასულ წელს მქონდა. იმედია, ახლაც ასე იქნება“.*

სარა ერანი (იტალია, 7)

ერანი vs დანარჩენი TOP8 2012 წელს: 2-8

ერანი vs დანარჩენი TOP8 კარიერაში: 4-23

ერანი vs თანაჯგუფელებთან: 0-1 vs შარაპოვა, 1-5 vs რადვანსკა, 0-3 vs კვიტოვა

ტიტულები 2012 წელს: 4 - აკაპულკო, ბარსელონა, ბუდაპეშტი, პალერმო

საუკეთესო შედეგი სლემზე 2012 წელს: ფინალისტი როლან გაროსზე

ერანი WTA-ის ჩემპიონატზე

პირველი მონაწილეობა

ფრაზა: *„რა თქმა უნდა, ეს ძალიან ძლიერი ჯგუფია. უბრალოდ, შევეცდები ვაჩვენო ჩემი საუკეთესო თამაში. ჩემი აქ ყოფნა ძალიან გასაკვირია“.*

ბერდიხი მეექვსეა

გასულ კვირას ჩატარებული ტურნირების შემდეგ გაირკვა მამაკაცთა წლის შემაჯამებელი ჩემპიონატის კიდევ ერთი მონაწილე.

ჩეხმა **ტომაშ ბერდიხმა** კვირას ფინალში დაამარცხა ფრანგი **ჟო-ვილფრიდ ცონგა** და სტოკჰოლმის ტურნირის ჩემპიონი გახდა. ამით, ტომაში შეუერთდა **როჯერ ფედერერს, ნოვაკ ჯოკოვიჩს, რაფაელ ნადალს, ენდი მიურეისა** და **დავიდ ფერერს**, რომლებმაც უფრო ადრე მოიპოვეს ლონდონში თამაშის უფლება.

ტომაშ ბერდიხი

ამ სეზონში ბერდიხმა მოიგო მონპელიესა და სტოკჰოლმის ტურნირები, გავიდა ფინალში მადრიდსა და უინსტონ-სალემში და აგრეთვე, ნახევარფინალში ითამაშა აშშ-ის ღია პირველობაზე.

„მინდა მივულოცო ტომაშს ზედიზედ მესამედ ATP-ის შემაჯამებელ ტურნირზე მოხვედრა. გასულ წლებში მან დაამტკიცა, რომ მაღალი დონის ჩოგბურთელია, რაც ამ სეზონშიც კიდევ ერთხელ დადასტურდა“, - განაცხადა ATP-ის პრეზიდენტმა ბრედ დრიუიტმა.

ალვნიშნავთ, რომ გასულ წელს, ბერდიხმა ლონდონის ტურნირზე ნახევარფინალამდე მიაღწია, სადაც ორ პარტიაში წააგო ცონგასთან.

წელს, ATP-ის შემაჯამებელი ტურნირი 5-12 ნოემბერს, კვლავ ლონდონში გაიმართება.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ველოსპორტი

GAME OVER

გუშინ, ლენს არმსტრონგს ოფიციალურად ჩამოართვეს ყველა ტიტული

"ლენს არმსტრონგისთვის არ არის ადგილი ველოსპორტში. ის დავიწყებას იმსახურებს", - განაცხადა ველოსპორტთა საერთაშორისო კავშირის (UCI) პრეზიდენტმა **პეტ მაკუეიდმა** გუშინდელ პრესკონფერენციაზე, რომელიც არმსტრონგის საქმეს მიეძღვნა. სხვა სიტყვებით, ირლანდიელმა ჩინოვნიკმა შეგვატყობინა, რომ UCI მთლიანად ეთანხმება აშშ-ის ეროვნული ანტისადოპინგო სააგენტოს (USADA) პოზიციას, რომელმაც გაიუქმა 1998 წლის პირველი აგვისტოდან ამერიკელის ყველა შედეგი (მათ შორის შვიდი მოგება ტურ დე ფრანსზე) და მას სამუდამო დისკვალიფიკაცია მისცა.

UCI-ის ამგვარი გადაწყვეტილება, რომელთანაც არმსტრონგს ყოველთვის მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა, შეიძლება ამერიკელის საბოლოო კაპიტულაციად მივიჩნიოთ. რთულია იმაზე ლაპარაკი, არსებობდა თუ არა სინამდვილეში პოზიტიური ტესტი შვეიცარიის ტურზე, რომლის შესახებაც ლაპარაკია USADA-ის ლეგენდარულ ანგარიშში და რომელიც დამალა ფედერაციის მაშინდელმა პრეზიდენტმა **ჰაინ ფერბრიუგენმა**. ასევე რთულია იმაზე ლაპარაკი, რამდენად მჭიდროდ თანამშრომლობდა არმსტრონგი UCI-ის შეფებთან, მაგრამ აბსოლუტურად ცხადია ერთი რამ – რადგან ადამიანები, რომლებთანაც ლენსს ხშირად დაულევია ლუდი, ასეთ პრესკონფერენციას აწყობენ, ისინი კედელთან არიან მიყენებულნი და სხვა გამოსავალი არ გააჩნიათ.

UCI-ის გუშინდელი ვერდიქტი მხოლოდ ერთ რამეზე ლაპარაკობს – არმსტრონგი დამნაშავეა, თანაც ყველა მუხლში. მის გარშემო მართლაც იყო შექმნილი დოპინგ-ქსელი, რომელიც, სინამდვილეში, ყველაზე მასშტაბური და პროფესიული გახლდათ სპორტის ისტორიაში. USADA-ის 200-გვერდიანი მამხილებელი დოკუმენტი არანაირ ეჭვს არ ტოვებს იმაზე, რომ ტექსასელი მართლაც დამნაშავეა, მაგრამ ეს ახლა, ოფიციალურადაც არის დადასტურებული. UCI, ალბათ, გადაწყვეტს – უნდა დააბრუნოს თუ არა არმსტრონგმა საპრიზო თანხები, მიიღებენ თუ არა სხვა ველომრბოლები ლენსისთვის ჩამორთმეულ ტიტულებს, მაგრამ ამას აღარ აქვს დიდი მნიშვნელობა.

ლენს არმსტრონგი იმ ადამიანებს შორისაა, რომლებმაც შექმნეს ველოსპორტის დიადი ისტორია. თავის დროზე, ერთ-ერთ უნიჭიერეს მრბოლელს კიბოს დიაგნოზი დაუსვეს, მაგრამ მან შეძლო ამ სენის დამარცხება, რის შემდეგაც ზედიზედ შვიდჯერ მოიგო ტურ დე ფრანსი. ბევრი ადამიანისთვის ამერიკელი გახდა მიბაძვის საგანი, მისი ფონდი Livestrong კი ერთ-ერთი უმსხვილესი ორგანიზაციაა კიბოსთან ბრძოლაში.

ალბათ, ეს არის ძალიან ლამაზი ისტორია იმისთვის, რომ ის სიმართლე იყოს. ცხოვრებაში ასეთი რამ არ ხდება, მსგავსი ამბების უკან რაღაც ყოველთვის იმალება. არმსტრონგის საქმე არ ყოფილა გამონაკლისი. მან უბრალოდ გამოაჩინა ის, რაც სინამდვილეში ხდებოდა ველოსაჯინიბო U.S. Postal Service-ის შიგნით. დაგვანახა, თუ რას აკეთებდა სინამდვილეში დიადი ველომრბოლი და მისი ლეგენდარული მენეჯერი **იოჰან ბრიუნელი**.

სიმართლე ითქვას, ველოსპორტში კარგად ჩახედული ადამიანებიდან ცოტა ვინმეს თუ ეპარებოდა ეჭვი, რომ U.S. Postal Service-ში კარგად ორგანიზებული დოპინგ-სისტემა მუშაობდა, რომელსაც პროფესიულად ხელმძღვანელობდა არმსტრონგისა და ბრიუნელის დუეტი. ეს ყველამ კარგად იცოდა და თუ არ იცოდა, მინიმუმ ხვდებოდა ამას. მაგრამ ვეღარავინ წარმოიდგენდა, რომ ასეთ მასშტაბებთან ჰქონდათ საქმე. ვერავინ გაიფიქრებდა, რამდენად გლობალური და პროფესიული იყო მაფიოზური სტრუქტურა, რომელიც არმსტრონგის გარშემო იყო აშენებული.



ლენს არმსტრონგი

არაფერი გასაკვირი არ არის იმაში, რომ USADA-ის ანგარიშის წინააღმდეგ ვერაფერი თქვა UCI-მ, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რამდენად მძიმე ბრალდებები წაუყენეს ფერბრიუგენსა და კომპანიას. არმსტრონგს, ფერბრიუგენსა და მაკუეიდს ერთად ბევრი ლუდი აქვს დალეული, მაგრამ ასეთი ანგარიშის წინააღმდეგ ვერც ფერბრიუგენი და ვერც მისი მემკვიდრე მაკუეიდი წავიდოდნენ.

მაგრამ არის სხვა ხასიათის საკითხი. UCI-ის შეუძლია რამდენსაც მოისურვებს, გადაწეროს შედეგები და ცვალოს გვარები ოქმებში, მაგრამ ისტორია დაწერილია. დაწერილია ლენს არმსტრონგის მიერ. არ არსებობს არც ერთი გადაწყვეტილება, რომელიც გააქრობს ყველაფერ იმას, რაც შვიდ ტურ დე ფრანსზე ვიხილეთ. და პეტ მაკუეიდი არ უნდა ლაპარაკობდეს იმაზე, რომ არმსტრონგმა დავიწყება დაიმსახურა, რადგან ტექსასელის გარშემო მანიპულაციებში ის და ფერბრიუგენიც იყვნენ ჩართულები. მათ მინიმუმ, შესანიშნავად იცოდნენ რაც ხდებოდა და არაფერს აკეთებდნენ.

ახლა, ლენს არმსტრონგს მოქმედების რამდენიმე ვარიანტი აქვს. ერთი მხრივ, მას შეუძლია ჩაუშვას UCI, თუ მოყვება თავის ურთიერთობებზე ფერბრიუგენთან და მაკუეიდთან. აგრეთვე ახსენოს საიდუმლო ფულადი გადარიცხვა, რომელიც დროში საოცრად ემთხვევა შვეიცარიის ტურზე სავარაუდო პოზიტიურ ტესტს. თუმცა მოვლენათა ამგვარი განვითარება ნაკლებად სავარაუდოა. UCI-ის ხელმძღვანელობა დიდი ხანი იცავდა ამერიკელს და ახლა, მაკუეიდს უბრალოდ სხვა არჩევანი არ ჰქონდა. სავარაუდოდ, ლენსი არ უნდა იყოს გაბრაზებული UCI-ზე. თუმცა ვინ იცის.

მეორე მხრივ, არმსტრონგს შეუძლია უბრალოდ აღიაროს და არაფერი თქვას კორუფციულ სქემებზე. ლენსს უკვე დიდი ხანია უნდა მოეყოლა სიმართლე, რადგან დუმილი, კიდევ უფრო აზარალებს მის იმიჯს. მას ნებისმიერ დროს შეუძლია აღიარება, მაგრამ შეიძლება ლენსს უკვე ვეღარ გაუგონ.

ფორმულა 1

მაკლარენი და მერსედესი იყრებიან



ფორმულა 1-ის ერთ-ერთი წამყვანი გუნდი - „მაკლარენი" ძრავების ახალ მიმწოდებელს ეძებს, რადგან „მერსედესთან" პარტნიორობაზე მიმდინარე ხელშეკრულება მალე ამოიწურება და ის იგივე კლიენტი გახდება გერმანული კომპანიისთვის, როგორიც, მაგალითად, „ფორს ინდიაა". შეგახსენებთ, რომ ბრიტანული საჯინიბო „მერსედესის" ძრავებს 1995 წლიდან იყენებს.

„მაკლარენისთვის" ალტერნატიული ვარიანტი შეიძლება გახდეს „ჰონდას" ძრავებზე გადასვლა, მით უმეტეს, რომ 2014 წელს ძალაში შედის ახალი ტექნიკური რეგლამენტი, რომელიც ექვსცილინდრიანი ტურბირებული ძრავების გამოყენებას ითვალისწინებს.

„თვალს ვადევნებ წესებს და თუ შესაძლებლობა მოგვეცემა, ფორმულა 1-ში აუცილებლად დავბრუნდებით", - განაცხადა ცოტა ხნის წინ „ჰონდას" ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა **იოსიჰირო იამამოტომ**.

„გაზეთ „სანის" ცნობით, „მაკლარენი" მართლაც მზად არის, შეწყვიტოს თანამშრომლობა „მერსედესთან" და „ჰონდასთან" დაიწყოს პარტნიორობა.

„აღარ არსებობს იმის შესაძლებლობა, რომ „მაკლარენი" განვიხილოთ „მერსედესის" კლიენტის რანგში", - წერს ერთ-ერთი ანონიმური წყარო.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ცხელი ხაზი

ფეხბურთი

ინგლისის თასი

ილკესტონი-ფაილდი 0:1

იტალია

სერია B

ბარი-ბრეშია 1:1

სერია C1/A

ტრაპანი-ლეჩე 0:1

ესპანეთი

სევილია-გალიორკა 3:2

გერმანია

II ბუნდესლიგა

მიუნხენი-აუე 1:1

საფრანგეთი

II დივიზიონი

ნანტი-დიჟონი 2:0

პოლანდია

II დივიზიონი

სპარტა-ვოლენდამი 2:1

პორტუგალია

II დივიზიონი

გენფიკა B-გიმარაეში B 2:1

დანია

აგფ ორჰუსი-რანდერსი 1:1

ნორვეგია

ფრედრიკსტადი-ბრანი 3:4

შვედეთი

იურგორდენი-გაის 3:0
სირიანსკა-სუნდსვალი 1:1

II დივიზიონი

იონჩოპინგი-ასირისკა 2:0
ტრელეგორგი-ფალკენბერგი 3:1

ფინეთი

იარო-მარიეჰამნი 3:3
ჰაკა-ჰონკა 1:0
ჰიკ-ლაჰტი 2:0
ინტერი-ტურკუ 0:0
კუოპიო-ვაასა 2:1
მიუპა-იუვიასკიულა 2:1

შვეიცარია

ჩელენჯლიგა

ვინტერტური-ლოკარნო 2:1

საბერძნეთი

პლატანიასი-ოფი 1:2

თურქეთი

ძაისერი-გუიუშსპირი 0:1

II დივიზიონი

გიოზთეფე-ადანა 0:0

კვიპროსი

აპოელ-ოლიმპიაკოსი 4:0

ჩეხეთი

ლიბერეცი-ბოლესლავი 2:0

რუსეთი

კრ. სოვეტოვი-ვოლგა 0:1

II დივიზიონი

ხიმკი-ტორპედო 2:4
სიბირი-ვოლგარი 1:0
ტომი-სალუტი 2:0
უფა-სკა ენერგია 1:1
შინიკი-ურალი 1:1
როტორი-პეტროტრესტი 2:0
ნეფტიხიმიკი-ენისეი 1:0
ბალტიკა-ნალჩიკი 1:0

პოლონეთი

პოგონი-ლეგია 0:3

რუმინეთი

იაში-კონკორდია 0:1
დინამო-რაპიდი 2:1

ისრაელი

ჰაპოელი (თ-ა)-მაკაბი (ჰ) 3:0

ჩრ. ირლანდია

კოლრეინი-ლინფილდი 3:2

ჩემპიონთა ლიგა

პლეი. 1/2 ფინალი

ალ იტიჰადი-ალ აჰლი 1:0

კალათბურთი

საბერძნეთი

პანათინაიკოსი-ოლიმპიაკოსი 60:64

იტალია

მილანი-რომა 87:82

თურქეთი

ჰაჩეთეფე-ეფესი 54:87

საფრანგეთი

შალონი-ნანსი 76:61

ადრიატიკის ლიგა

ოლიმპია-ცედევიტა 71:75

ჰოკეი

კჰლ

ლოკომოტივი-დინამო (მ) 0:3
სევერსტალი-უშგრა 4:3
ატლანტი-სკა 2:3
ვიტიაზი-ბარისი 3:2 (ბ)
დინამო (მნ)-ავანგარდი 3:2 (ო)
დონბასი-ავტომობილისტი 4:2
დინამო (რ)-მეტალურგი (მ) 2:5

ჩოგბურთი

ATP. ბაზელი

კუბოტი-ლაჩკო 6:4, 6:4
კუზნეცოვი-ბენეტო 6:4, 3:6, 3:6
ფედერერი-ბეკერი 7:5, 6:3
გასკე-ჰაასე 4:6, 6:3, 6:2

ATP. ვალენსია

გოფენი-ანდუხარი 6:2, 6:2
მონაკო-ჰიუიტი 3:6, 4:6
კოლშრაიბერი-დოდიგი 2:6, 6:7
ვერდასკო-რობრედო 6:3, 6:4
ისნერი-ფონინი 6:3, 6:7, 7:5
რამოსი-რამი 6:3, 6:3

TV პროგრამა

23 ოქტომბერი. სამშაბათი

GMG-ფეხბურთი

10:00 გერმანიის ჩემპიონატი. VIII ტურის მიმოხილვა.
11:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. IX ტურის მიმოხილვა.
12:00 ინგლისის ჩემპიონატი. VIII ტური. სანდერლენდი-ნიუკასლი.
14:00 არგენტინის ჩემპიონატი. XI ტური. რასინგი-ნიუელსი.
16:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. IX ტური. ეინდჰოვენი-ვილემი.
18:00 პროგრამა - იმედის ფსონი.
19:00 ინგლისის ჩემპიონატი. VIII ტურის მიმოხილვა.
20:00 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. სპარტაკი-ბენფიკა (LIVE).
22:00 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტურის წინ.
22:45 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. ლილი-ბაიერნი (LIVE).
00:45 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. მანჩესტერ იუნ-ბრაგა.

GMG-სპორტი 1

10:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნ-სტოკი.
12:00 სპორტ-NEWS.
12:15 კალათბურთი. NBA. 2011-2012 წლების სეზონი. მაიამი-ოკლაჰომა.
15:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ჰოფენჰაიმი-ფიურტი.
17:00 რაგბი. ჰაინეკენის თასი. კასტრი-ნორთჰემპტონი.
19:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
19:30 სპორტ-NEWS.
20:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
20:40 კალათბურთი. ევროლიგა. რეგულარული სეზონი. მონტეპასკი-ალბა.
22:40 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. ON-LINE. ყველა მატჩის საუკეთესო მომენტები (LIVE).
00:45 კალათბურთი. NBA. 2011-2012 წლების სეზონი. მაიამი-ოკლაჰომა.

I არხი

22:40 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. ბარსელონა-სელტიკი (LIVE).

ამინდის პროგნოზი

თბილისი	12	22	(მზე)
ქუთაისი	17	27	(მზე)
ბათუმი	17	27	(მზე)
ფოთი	16	27	(მზე)
ზუგდიდი	12	26	(მზე)
გორი	8	25	(მზე)
თელავი	12	24	(მზე)
სიღნაღი	11	23	(მზე)
ბაკურიანი	3	18	(მზე)
ბორჯომი	4	23	(მზე)
მესტია	2	20	(მზე)

ვალუტის კურსი

1 ევრო	2.1654
1 ამერიკული დოლარი	1.6564
1 ბრიტანული ფუნტი	2.6569
100 რუსული რუბლი	5.3591

ეროვნული ბიბლიოთეკა

სეზონის წინ: ვაშინგტონ უიზარდსი

ვაშინგტონ უიზარდსი 2011-12

თავდასხმა: საშუალოდ 97,8 ქულა - 28-ე ლიგაში

დაცვა: საშუალოდ 103,8 ქულა - 24-ე ლიგაში

წინა ხაზი

ტრევორ არიზასა და **ემეკა ოკაფორის** ვეტერანული გამოცდილება ნამდვილად დაეხმარება „უიზარდს" შარშანდელზე მეტი გამარჯვების მოპოვებაში. მაგრამ მათ საკმაოდ „მძიმე კონტრაქტები აქვთ, ასე რომ, უახლოესი ორი წლის განმავლობაში, გუნდის ფინანსური შესაძლებლობები შეზღუდული იქნება.

შეფასება: 3

უკანა ხაზი

ბრედლი ბილი შესანიშნავი პარტნიორი იქნება **ჯონ უოლისთვის**, მაგრამ დაცვაში მათ გარკვეული პრობლემები შეექმნებათ ფიზიკურად უფრო ძლიერი მოთამაშეების წინააღმდეგ. აუცილებელია, რომ უოლი გუნდის ნამდვილი ლიდერი გახდეს დამდეგ სეზონში.

შეფასება: 4

დაცვა

ფრონტლაინმა, რომელიც არიზასგან, **ნენესგან** და **ოკაფორისგან** შედგება, გუნდი სულ სხვა დონეზე გაიყვანოს. ასეთი მოთამაშეებით, „ვაშინგტონმა" შეიძლება ყველაზე დიდი პროგრესი განიცადოს დაცვაში თამაშის მხრივ. დამატებითი პლიუსი იქნება დიდი რაოდენობით დაფარება და ჩაჭრა, რაც სწრაფი კონტრშეტევების ორგანიზებას შეუწყობს ხელს. ჯონ უოლი კი სწორედ ექსპერტი გახლავთ სწრაფი შეტევების მხრივ.

შეფასება: 5

სათადარიგოთა სკამი

სათადარიგო მოთამაშეები საკმაოდ ახალგაზრდები არიან, მაგრამ ნიჭი გამოარჩევთ და ძირითადში გამოსვლის გამოცდილებაც გააჩნიათ. განსაკუთრებით მისასალმებელია „მაღლების" სიმრავლე - **იან ვესელი, ტრევორ ბუკერი, კევინ სერაფინი.** ისინი ეფექტურად შეცვლიან სასტარტო ხუთეულის ვეტერანებს.

შეფასება: 4

მწვრთნელი

მას შემდეგ, რაც **რენდი უიტმანმა** შეცვალა **ფლიპ სონდერსი**, გუნდის შეტევა ოდნავ გაძლიერდა. ხოლო დღევანდელი შემადგენლობა უფრო მორჩილია პროდუქტიული ვარჯიშებისა და სწავლის მიმართ.

შეფასება: 3

საბოლოო შეფასება

მხოლოდ ლიგის ერთ გუნდს აქვს ბოლო ოთხ წელიწადში უფრო მეტი მოგება - „მინესოტას" (82). „ვაშინგტონის" ანალოგიური მაჩვენებელია - 88 მოგება. მაგრამ, ახლა, დედაქალაქურ კლუბში გარდაქმნის ეპოქა დგას.

20 თვე გახდა საჭირო იმისთვის, რომ გასახდელიდან გაეძევებინათ ყველა ჩხუბისთავი, რომლებიც ავნებდნენ გუნდურ სულს. ახლა, შემადგენლობაში არსებობს ვეტერანი მოთამაშეებისა და ახალგაზრდა ტალანტების საინტერესო მიქსი. ოკაფორმა და არიზამ უნდა შეუმსუბუქონ ჯონ უოლს საქმე შეტევაში. მაგრამ, მაინც, გუნდის მომავალი ახალგაზრდობაზეა დამოკიდებული, რომელიც უოლის ხელმძღვანელობით, რამდენიმე წელიწადში, კონკურენტუნარიან შემადგენლობად უნდა ჩამოყალიბდეს.

საერთო შეფასება: 4

ჯონ უოლი, ნენე და ბრედლი ბილი

ინდიანა ჩემპიონი

ინდიანა პირველად!

დასრულდა სეზონი ქალთა ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში (WNBA). პირველად თავისი არსებობის ისტორიაში, ჩემპიონი „ინდიანა ფივერი" გახდა.

ფინალურ სერიაში ამ გუნდმა ოთხ მატჩში დაძლია „მინესოტა ლინქსის" წინააღმდეგობა. სხვათა შორის, ეს უკანასკნელი WNBA-ის მოქმედი ჩემპიონი იყო.

სერიის მეოთხე მატჩი გუშინ გაიმართა. „ინდიანა" სერიაში 2:1-ს ლიდერობდა. მეოთხე შეხვედრაში მომავალმა ჩემპიონმა ცხრა ქულით - 87:78 (25:18, 22:24, 16:16, 24:20) გაიმარჯვა.

მატჩის ყველაზე შედეგიანი კალათბურთელი გახდა **ტამიკა კენტჩინგსი**, რომელმაც 25 ქულა ჩააგდო. 33 წლის ამერიკელი WNBA-ის პლეი ოფის საუკეთესო მოთამაშე გახდა.

„ინდიანა" 2000 წელს არის დაარსებული და ეს საჩემპიონო ტიტული პირველია მის ისტორიაში, „მინესოტამ" კი ვერ შეძლო მეორე ტიტულის მოგება.

ლეიკერსი: 0-6

კალიფორნიულ გრანდს სუპერმენის დებიუტმაც ვერ უშველა

„ლეიკერსმა",როგორც იქნა, შეკრიბა ოპტიმალური შემადგენლობა. "საკრამენტოსთან" **დუაიტ ჰოვარდის** მოედანზე გამოჩენას ყველა ოვაციით შეხვდა. „სუპერმენმაც" შესაბამისი თამაშით უპასუხა ამ მისალმებას. მისი პირველი სამი შეხება ბურთთან ნაყოფიერი გამოდგა: ჯერ მისი პასით **კობი ბრაიანტმა** სამქულიანი ჩააგდო, შემდეგ თავად ორი ხელით ჩატენა, მესამე შეხებით კი შედეგიანი გადაცემა გაუკეთა **პაუ გასოლს**.

საერთო ჯამში, ჰოვარდს არ ეტყობოდა ექვსთვიანი უთამაშებლობა, მაგრამ, რა თქმა უნდა, კომუნიკაცია პარტნიორებთან ჯერ მოიკოჭლებს. რაც მთავარია, „სუპერმენი" დაბრუნდა და სადებიუტო შეხვედრაში ორმაგი დუბლი შეასრულა - 19 ქულა და 12 მოხსნა, რასაც ოთხი დაფარებაც დაუმატა. ასევე, ჰოვარდის ანგარიშზე იყო ხუთი შეცდომა, თუმცა ამ მხრივ, მთელი „ლეიკერსი" სცოდავდა - გუნდმა 22 შეცდომა დაუშვა.

კალიფორნიული გრანდი წინასასეზონო მატჩების ნამდვილი აუტსაიდერია. „საკრამენტოსთან" შეხვედრამდე მას ხუთიდან ხუთი წაგება ჰქონდა და ვერც ამჯერად შეწყვიტა ეს უსიამოვნო სერია.

ამჯერად, „ლეიკერსი" თითქოს ახლოს იყო მიზანთან. კობიმ და პარტნიორებმა მეორე მეოთხედში 18:4 გაქცევა მოაწყვეს და დიდი შესვენებისთვის სოლიდური უპირატესობა მოიპოვეს. მაგრამ „კინგზმა" მესამე მეოთხედში გაათანაბრა თამაშიც და ანგარიშიც და ყველაფერი მეოთხე მეოთხედს უნდა გადაეწყვიტა.

დასკვნით 12-წუთეულში მცირე უპირატესობა „ლეიკერსს" ჰქონდა. მასპინძლებს მოედანზე სასტარტოს წევრები ჰყავდათ და მათ ბოლო წუთისთვის თავიანთ გუნდს სამქულიანი უპირატესობა მოუტანეს - 92:89. მაგრამ „საკრამენტომ" ამას 10 უპასუხო ქულა დაუპირისპირა. თამაშში გარდატეხა **დამარკუს კაზინსმა** შეიტანა, რომელმაც ზედიზედ ორი ორქულიანი მოათავსა კალათში, **ნეშმა** და ბრაიანტმა კი თავიანთი ტყორცნები ააცილეს.

„ლეიკერსმა" სეზონის წინ მეექვსე შეხვედრა ჩაატარა და მეექვსედ დამარცხდა.

■ ■ ■

„ნიუ იორკ ნიქსის" ფორვარდი **ამარე სტაუდმაიერი** ორ-სამ კვირას გამოტოვებს, - წერს ამერიკული პრესა. მაგნიტო-რეზონანსულმა ტომოგრაფიამ აჩვენა, რომ მოთამაშეს მუხლი აქვს დაზიანებული. ამარეს ოპერაცია არ სჭირდება, მაგრამ ექიმებმა ვარჯიშებისგან თავის შეკავება ურჩიეს. ასე რომ, სტაუდმაიერი გამოტოვებს სეზონის დასაწყისს და მას მძიმე ფორვარდის პოზიციაზე, სავარაუდოდ, **კარმელო ენტონი** შეცვლის.

ორლანდო-სან ანტონიო 104:100

22:24, 28:17, 29:31, 25:28

ო: ნიკოლსონი (18), დევისი (17), რედიკი (14+5 პასი), მური (14+8 პასი), ნელსონი (12+ 5 პასი).

ს-ა: გრინი (13), ჯინობილი (12), პარკერი (10), ჯექსონი (10), ნილი (10).

ბოსტონი-ფილადელფია 79:88

22:21, 19:30, 21:15, 17:22

ბ: გრინი (12+10 მოხსნა+4 დაფარება), რონდო (12+10 პასი), ბასი (10), ლი (10).

ფ: რაიტი (20+5 მოხსნა), ნ. იანგი (15+6 მოხსნა), ჰაუსი (12), ჰოლიდეი (10+6 მოხსნა+5 პასი+3 ჩაჭრა), ტერნერი (10+5 მოხსნა).

ოკლაჰომა-დენვერი 108:101

30:19, 27:31, 24:31, 27:20

ო: დურანტი (16+6 მოხსნა+5 პასი), ჰარდენი (16), იბაკა (16+3 დაფარება), კუკი (13), უესტბრუკი (11+9 პასი), ჯექსონი (10).

დ: გალინარი (26+5 მოხსნა), ლოუსონი (17+11 პასი), ბრიუერი (15), ფარიდი (12), მაკგი (10).

ლეიკერსი-საკრამენტო 92:99

29:28, 28:18, 15:28, 20:25

ლ: ბრაიანტი (21+5 მოხსნა), ჰოვარდი (19+12 მოხსნა+4 დაფარება), გასოლი (14+8 მოხსნა+5 პასი), უორლდ პისი (14+4 ჩაჭრა).

ს: კაზინსი (16+6 მოხსნა+4 ჩაჭრა), ბრუქსი (16), ტორნტონი (15+6 მოხსნა), ევანსი (12).

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ლელო
დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი;** მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.** ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: **გია თვალაბეიშვილი**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com; lelo@palitra.ge ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:24

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608